


178
1970/2



სახვითა სამაკრთაღი

საქართველოს კვ. ინფორმაციის კომისიის გამომცემლობა

1970 **6**



საბჭოთა სამართალი

№ 6

ნომბერი—დეკემბერი

1970 წელი

გამოცემის XVII წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ ე რ ნ ა ლ ი

ზ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგები 3

საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისათვის

საბჭოთა მართლმსაჯულების სათავეებთან 7

საბჭოთა სომხეთის 50 წლისთავისათვის

შ. პეტროსიანი — საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნა და განმტკიცება სომხეთში 22

ფრიდრიხ ენგელსის დაბადების 150 წლისთავისათვის

- გ. ასათიანი — ფრიდრიხ ენგელსი 29
- გ. ინჭკირველი — სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები ფრიდრიხ ენგელსის შრომებში 39
- გ. ჟვანია — გაერო და თანამედროვეობის საერთაშორისო სამართლებრივი პრობლემები 49
- ვ. შარაშენიძე — ზოგიერთი სიახლე საბჭოთა შრომის კანონმდებლობაში 58

მოწინავეთა კორტრეტები

ალ. გაბუნია — იურიდიული სამსახურის ამადარი მუშაი 66

ოფიციალური მასალა 67

მოთხრობა

ა. შარაშენიძე — დაღუპული სიცოცხლე 78

ინფორმაცია 86

ნეკროლოგი 96

11.706



СО Д Е Р Ж А Н И Е

Результаты выборов народных судей Грузинской ССР	3
<u>К 50-ЛЕТИЮ СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ И КОМПАРТИИ ГРУЗИИ</u>	
У истоков Советского правосудия	7
<u>К 50-ЛЕТИЮ СОВЕТСКОЙ АРМЕНИИ</u>	
Ш. Петросян — Образование и упрочение Советской государственности в Армении	22
<u>К 150-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ ФРИДРИХА ЭНГЕЛЬСА</u>	
Г. Асатиани — Фридрих Энгельс	29
Г. Инцирвели — Вопросы государства и права в трудах Фридриха Эн- гельса	39
Г. Жвания — ООН и современные международные правовые проблемы	49
В. Шарашенидзе — Новое в Советском трудовом законодательстве	58
<u>ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ ЛЮДЕЙ</u>	
А. Габуния — Ветеран юридической службы	66
Официальный материал	67
<u>РАССКАЗ</u>	
А. Шарашидзе — Погибшая жизнь	78
Информация	86
Некролог	96

სარედაქციო კოლეგია


შპ. № 4028
ტირაჟი 18.200
შპ 01624

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), გ. აბაშმაძე,
ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი,
აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე,
ზ. რატინი, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩხია,
თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—99-09-62

გადაეცა წარმოებას 30 XII-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/ I-71 წ., ქალაქის
ზომა 70×108 1/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირბითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4.

საქ. კბ ცვ-ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14



სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგები

დიდი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში ჩაიარა სახალხო მოსამართლეთა არჩევნებმა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში.

დღის 12 საათისათვის საქართველოს სამი ათასზე მეტ საარჩევნო უბანში ძირითადად დამთავრდა სახალხო მოსამართლეთა კანდიდატებისათვის ხმის მიცემა.

ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 2.768.065-ს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.760.341 ამომრჩეველმა.

სახალხო მოსამართლეთა კანდიდატების სასარგებლოდ ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,9 პროცენტმა.

არჩეულია 154 სახალხო მოსამართლე, აქედან 24 ქალია, რაც შეადგენს მოსამართლეთა 15,5 პროცენტს, უმაღლესი განათლება აქვს 151 კაცს, საშუალო იურიდიული — ერთს, საშუალო — ორს.

ახლად არჩეულ მოსამართლეთა რიცხვი შეადგენს 34 კაცს.

საქართველოს სსრ სახალხო მოსამართლეთა სია

ქ. თბილისი

ლენინის რაიონი

1. აგლაძე ოთარ გალაქტიონის ძე
2. ბელიავეცკაია ლილია ვლადიმერის ასული
3. სტურუა ალექსანდრე ლუკას ძე
4. ლლონტი ოთარ ნიკოლოზის ძე
5. ჭოლოშვილი რევაზ სერგის ძე
6. ხაბეიშვილი გულა ბესარიონის ასული

2. ბერიძე გენო ივანეს ძე
3. სულავა ავთანდილ დომენტის ძე

ორჯონიძის რაიონი

1. გოგილაშვილი ივანე ზაქარაის ძე
2. ლასურაშვილი გიორგი ივანეს ძე
3. სვანიძე თინათინ პარმენის ასული
4. ცინცაძე რევაზ ვლადიმერის ძე
5. ქეღია გიორგი ესტატეს ძე

1 მაისის რაიონი

1. გუმბარიძე შოთა ისიდორეს ძე
2. ინსარაძე თამარ ივანეს ასული
3. ისაკაძე ოთარ აკაკის ძე
4. მლოროვა სიმონ ამოლონის ძე
5. ჭიპაშვილი ოთარ ნიკოლოზის ძე

კირკვის რაიონი

1. გაბიაშვილი შალვა ალექსანდრეს ძე
2. მგალობლიშვილი ნანული ვახილის ასული
3. უვანია ვახტანგ გრიგოლის ძე

ოძტომბარის რაიონი

1. ბოსტოლანაშვილი სოლომონ ბესარიონის ძე
2. გოგბერაშვილი აკაკი ლევანის ძე
3. კერესელიძე ვალერიან რუბენის ძე
4. ნაშორაძე ნინო ივანეს ასული

26 კომისრიის რაიონი

1. ანდლულაძე ნოდარ ილარიონის ძე
2. ბაგდასარივა ამალია სულეიმანის ასული
3. გეგია აბელ ვლადიმერის ძე
4. მესხიშვილი იროდიონ ივანეს ძე
5. ხარატიშვილი ივანე იოსების ძე
6. ჯაფარიძე ოთარ ნიკოლოზის ძე

პალინინის რაიონი

1. არავიაშვილი ბარბარე (ვარა) იოსების ასული

ქ. გორი


1. ამბოკაძე ნიკოლოზ პეტრეს ძე
2. მეზვრიშვილი არტემ ილიას ძე

ქ. რუსთავი

1. მეტრეველი რაჟდენ ისმაილის ძე
2. ორდენიძე გივი დავითის ძე
3. ქორიძე კონსტანტინე აბესალომის ძე
4. ცქიტიშვილი ზურაბ ფილიპონის ძე

ქ. ჭუჭღიძი

1. ქანთარია ვალერიან პროკოფის ძე
2. ქანტურია პაატა გაბრიელის ძე



ბ. ტყიბული

1. გუჭეჩიანი დიმიტრი სარდიონის ძე
2. კუტივაძე ვარლამ ვლადიმერის ძე

ბ. ფოთი

1. აბუევა ლეილა შამილის ასული
2. კოკია ნუგზარ ანტონის ძე

ბ. ჭუთაისი

1. იობიძე ალექსანდრე გიორგის ძე
2. სტურუა ბიძინა ფილიპეს ძე
3. ტუკვაძე ქსენია სევერიანეს ასული
4. ცხელაშვილი ბონდო დავითის ძე
5. ჭაფარიძე გივი დომენტის ძე

ბ. ჰინათურა

1. თევზაძე გიორგი აპოლონის ძე
2. ოზოლაძე გრიგოლ გიორგის ძე

რაიონის სახალხო მოსამართლეები

ამგროლაურის რაიონი

1. რეხვიაშვილი თედორე სარდიონის ძე

აბაზის რაიონი

1. ჩაგანავა კარლო ივანეს ძე

აღიგენის რაიონი

1. გოშაძე რევაზ ნიკიფორეს ძე

ასშემტის რაიონი

1. ოსეფაშვილი გიორგი ალექსის ძე

ასპინძის რაიონი

1. კაკაურიძე დავით ალექსანდრეს ძე

ახალციხის რაიონი

1. ცხადაძე აკაკი ნიკოლოზის ძე
2. ჭლარკავა ლევან გიორგის ძე

ახალქალაქის რაიონი

1. სააკიანი ხაჩატურ ლევანის ძე

ბოგლანოვკის რაიონი

1. ბიბილურიძე ივანე ივანეს ძე

ბოლნისის რაიონი

1. შიშნაშვილი უშანგი ალექსანდრეს ძე

ბორჯომის რაიონი

1. ჭაფარიძე თენგიზ პავლეს ძე

ბეგეჭკორის რაიონი

1. გახუიძე მურმან მერდიას ძე

ბორის რაიონი

1. გიორგაძე სტეფანე ანტონის ძე

ბურჯანის რაიონი

1. ბეზარაშვილი ვახტანგ მოსეს ძე
2. მათიაშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე
3. ყაველაშვილი გიორგი ამბაკოს ძე

ბარღაზის რაიონი

1. თოფურია გიორგი ივანეს ძე
2. იაშვილი დემონი კალისტრატეს ძე
3. კვიციანი შოთა კირილეს ძე
4. სულთანოვა სარა სადიკის ასული

ვანის რაიონი

1. წულუკიანი ალექსანდრე გიორგის ძე

ღუშეთის რაიონი

1. გათენაშვილი აკაკი დიმიტრის ძე

ღმანის რაიონი

1. ციხელაშვილი დიმიტრი ლევანის ძე

ჯესტაშონის რაიონი

1. გველესიანი არჩილ ვალერიანის ძე
2. სამხარაძე ვლადიმერ მინაგოს ძე

ჯუგდიდის რაიონი

1. აღშიბაია ნათელა ალექსანდრეს ასული
2. სარია შოთა ისიდორეს ძე

თელავის რაიონი


1. აბულაშვილი სალომე ვასილის ასული
2. მალრაძე გორჯასპი სიმონის ძე

თერჯოლის რაიონი

1. მამულაშვილი გივი რაფიელის ძე

თეთრიწყნაროს რაიონი

1. ონოფრიშვილი არჩილ გიორგის ძე



თიანეთის რაიონი

1. არჩემაშვილი ივანე იოსების ძე

კასპის რაიონი

1. თარხნიშვილი გიორგი ივანეს ძე
2. შაყულაშვილი იოსებ ილიას ძე

ლაგოდეხის რაიონი

1. წიქარაძე გიორგი ივანეს ძე

ლანჩხუთის რაიონი

1. მეგრელიშვილი ქეთევან ვასილის ასული

ლენტეხის რაიონი

1. უშხვანი ოღლა ხოგრატის ასული

მესტიის რაიონი

1. კვიციანი შოთა ესტატეს ძე

მარნეულის რაიონი

1. კაზაროვი ედუარდ მნაცვანის ძე
2. მამედოვი მამედ გასან ისმაილ ოღლი

მახარაძის რაიონი

1. გობრონიძე ნინო ყარამანის ასული
2. სალუქვაძე ვახტანგ პეტრეს ძე

მინაპოვსკის რაიონი

1. ჟვანია ქუჩუკი ნიკოლოზის ძე

მცხეთის რაიონი

1. აღანია აკაკი ნიკოლოზის ძე
2. ბიბილაშვილი გიორგი ივანეს ძე

ორჯონიკიძის რაიონი

1. გულაძე კლარა ილიას ასული

ონის რაიონი

1. საბანაძე ნოე დიმიტრის ძე

სამტრედიის რაიონი

1. კობრეიძე აზა ისიდორეს ასული
2. სტურუა მიხეილ ბარნაბის ძე
3. ფახურიძე დიომიდე აკაკის ძე

საბარაქოს რაიონი

1. ესაიაშვილი ვახტანგ ნიკოლოზის ძე

სახჩერის რაიონი

1. სტურუა ოთარ პარმენის ძე

სიღნაღის რაიონი

1. კოჭლამაზაშვილი იოსებ თომას ძე
2. რობიტაშვილი ნიკოლოზ ზაქარიას ძე

ქარელის რაიონი

1. სუხიშვილი ქრისტეფორე აკაკის ძე

ჟაზგეზის რაიონი

1. ფაჩიშვილი ვალერიან ივანეს ძე

ჟგერის რაიონი

1. ზირაქიშვილი ვარდიკო ალექსანდრეს ასული

ცხაპიანის რაიონი

1. როგავა ჯუმბერ ალექსანდრეს ძე
2. ხუცურიანი შალვა გრიგოლის ძე

ცაგერის რაიონი

1. ჭაბუკიანი ვაჟა ზაქარიას ძე

წულუკიძის რაიონი

1. ზამბახიძე ალექსანდრე ვარდენის ძე

წვალთბოს რაიონი

1. ესაძე თამარ გიორგის ასული

წითელწყაროს რაიონი

1. სეფიაშვილი ალექსანდრე იოსების ძე

წალენჯიხის რაიონი

1. გაბუნია პროკოფი მარტიანეს ძე
2. გეთია ივანე იასონის ძე

წალკის რაიონი

1. პოპოვი მოსე აბრამის ძე

ჩოხატაურის რაიონი

1. გაბეჩავა ომარი გიორგის ძე

ჩხოროწყუს რაიონი


1. გახარია ნიკოლოზ ალექსის ძე

ხაშურის რაიონი

1. ყვარელაშვილი ნიკოლოზ დავითის ძე
2. გაგნიძე შოთა პლატონის ძე

ხოვის რაიონი

1. ჭანჭღავა დავით ივანეს ძე



აფხაზეთის ასსრ

გალის რაიონი

1. აბაშია პარმენ ერასტის ძე
2. ბლიაძე მარიაშ ვასილის ასული
3. ჩარგაზია დემიანე ბოკის ძე

გუდაუთის რაიონი

1. ბიგვავა აკაკი მიხეილის ძე
2. შენგელია გივი დავითის ძე

გულრიფშის რაიონი

1. ეხვია სერაფიონ ზოსიმეს ძე
2. თოდრია ვალერიან არსენის ძე

სოხუმის რაიონი

1. დიდიძე რობერტ ვასილის ძე

ოჩამჩირის რაიონი

1. კეცბაია ჯუმბერ ივანეს ძე
2. შარია ალექსი როსტის ძე

ქ. სოხუმი

1. ლაშხია შოთა ვასილის ძე
2. მანაგაძე დავით ტარასის ძე
3. შამბა მიხეილ მირონის ძე

ქ. ტყვარჩელი

1. კუპრავა კონია თეიმურაზის ძე
2. ხაშბა მორეც ვასილის ძე

ბაგრის რაიონი

1. ვარდია ვიქტორ ვიქტორის ძე
2. პატარაია ნათელა ილარიონის ასული

აჭარის ასსრ

ქობულეთის რაიონი

1. გაბეჩავა გიგლა ივსიხის ძე
2. ცეცხლაძე ნური მამედის ძე

შუახევის რაიონი

1. გოგუაძე გიორგი ალექსანდრეს ძე

ხულოს რაიონი

1. სირაძე სერგო იოსების ძე

ქედის რაიონი

1. დიასამიძე მიხეილ აქვსენტის ძე

ქ. ბათუმი

1. ბერძენიშვილი ვალერიან ფრიდონის ძე
2. ჩხარტიშვილი დავით კალისტრატეს ძე
3. წულუკიძე ვლადიმერ შაქირის ძე

ხელშეჩაბურის რაიონი

1. სურმანიძე ისრაფილ ფიქრის ძე

სამხრეთ ოსეთის

ავტონომიური ოლქი

ჯნაურის რაიონი

1. გაჯაფეი აზა დიმიტრის ასული

ლენინგორის რაიონი

1. დემეტრაშვილი სარა გიორგის ასული

ჯავის რაიონი

1. ოდიკაძე ვლადიმერ სტეფანეს ძე

ქ. ცხინვალი

1. გასიევი გრიგოლ პავლეს ძე
2. ფუხაევი პავლე პეტრეს ძე

ცხინვალის რაიონი

1. პლიევი დიმიტრი ვლადიმერის ძე

საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისათვის

რ ე კ რ ე ზ ი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტისა

ისეთ საზოგადოებათა და კავშირთა დამტკიცებისა, რეგისტრაციისა და ზედამხედველობის წესის შესახებ, რომელნიც მოგების გამორჩენას არ მის-
ლევენ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღ-
მასრულებელი კომიტეტი ადგენს: საზოგადოე-
ბა და საზოგადოებათა შენაერთი და კავშირი
რომელიც თავისი მოღვაწეობის განხორციელებ-
ვისათვის საქართველოს სოციალისტური საბ-
ჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოგების
გამორჩენას არ მისდევს, — რეგისტრაციაში
გატარებულ უნდა იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილ
მუხლებში აღნიშნული წესით.

1. იმ საზოგადოებისა და კავშირის წესდების
პროექტი, რომლის მოქმედების რაიონიც საქა-
რთველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბ-
ლიკის ფარგლით განისაზღვრება, დასამტკიცებ-
ლად უნდა წარუდგინოს შინაგან საქმეთა სახა-
ლხო კომისარიატს სამ ცალად განცხადებით-
ურთ პროექტის დამტკიცების შესახებ. განცხა-
დებაში აღნიშნული უნდა იქნეს დამფუძნებელ-
თა სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი.
დამფუძნებელთა რიცხვი უნდა იყოს შვიდზე
არანაკლები და მათ ხელი უნდა მოაწერონ გან-
ცხადებას.

2. წესდებაში აღნიშნულ უნდა იქნეს:

1) საზოგადოების ან კავშირის სახელწოდება,
მიზანი, სამოქმედო რაიონი და მოქმედების ხა-
სიათი;

2) წევრთა ჩაწერისა და გასვლის წესი;

3) საწევრო გადასახადის რაოდენობა და მი-
სი გადახდის წესი;

4) აღმასრულებელი ორგანოების შედგენი-
ლობა და ორგანიზაცია, მათი მოწყობისა და
შეესების წესი, მათ მიერ განსაგები საქმე და
მათი სამყოფელი ადგილი;

5) საზოგადო კრებათა მოწვევის ვადა და წე-
სი. მათ მიერ განსაგები საქმე;

6) ორგანიზაციის მოქმედების ანგარიშწარ-
მოებისა და სამეურნეო ნაწილის გამგებლობის
წესი;

7) წესდების შეცვლის წესრიგი;

8) საზოგადოების ლიკვიდაციის წესი.

3. უკეთუ შინაგან საქმეთა სახალხო კომი-
სარიატი წინააღმდეგა წარდგენილი წესდების

დამტკიცებისა, იგი მოვალეა, ერთი თვის გან-
მავლობაში დღიდან წესდების წარდგენისა, აც-
ნობოს საზოგადოებისა ან კავშირის დამფუძ-
ნებელ წესდების დამტკიცება ან უარი მი-
სი დამტკიცებისა. უკანასკნელ შემთხვევაში აღ-
ნიშნულ უნდა იქნეს უარის საფუძვლები.

შენიშვნა: დამტკიცებაზე უარი უნდა
ეთქვას, უკეთუ დაარსებული საზოგადოება ან
კავშირი თავის მიზნებით ან მოქმედების მეთო-
დებით ეწინააღმდეგება საქართველოს სოცია-
ლისტური საბჭოთა რესპუბლიკის კანონებს.

4. დამტკიცების უარი დამფუძნებელთა მიერ
შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ცენტრალური
ალმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში
ერთი თვის განმავლობაში დღიდან დასაბუთე-
ბული დადგენილების მიღებისა. (მუხ. 2).

5. საზოგადოების ან კავშირის წესდების შე-
ცვლა შეიძლება ცვლილებათა ხელახალი დამტ-
კიცებით იმ წესისამებრ, რომელიც აღნიშნუ-
ლია ზემო ნაჩვენებ მუხლებში.


6. წესდების დამტკიცების შემდეგ საზოგა-
დოება ან კავშირი, ვიდრე ის მოქმედებას დაი-
წყებდეს, უნდა რეგისტრაციაში გატარებულ
იქნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატ-
ში.

7. უკეთუ დამტკიცებული და რეგისტრაცია-
ში გატარებული საზოგადოების ან კავშირის
მოქმედებაში გამოაშკარავებულ იქნა მე-4 მუ-
ხლში დასახელებული ნიშნები, შინაგან საქმე-
თა სახალხო კომისარიატმა უნდა დაადგინოს
მისი დახურვა და მოქმედების ლიკვიდაცია.

შენიშვნა: ამა მუხლში აღნიშნულ და-
დგენილებათა გასაჩივრება მოხდება მე-5 მუ-
ხლში ნაჩვენები წესით.

8. საზოგადოებისა, კავშირისა და შენაერთის
მიერ გამოცემულ ლიტერატურაზე გავრცელ-
დება ბეკვლითი გამოცემისათვის არსებული სა-
ზოგადო საცენზურო წესები.

9. უკეთუ საზოგადოებამ ან კავშირმა წეს-
დებას გადაუხვია, ისე რომ მის მოქმედებაში
არა სჩანს მე-4 მუხლში აღნიშნული ნიშნები,



მას შესაძლებლობა უნდა მიეცეს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წინადადებით მიიღოს განსაზღვრული ვადის განმავლობაში ღონისძიება, რათა მოსაზობლ იქნეს ჩადენილი დარღვევა წესდებისა. თუ ეს წინადადება არ იქნა ასრულებული, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი დახურავს ამ საზოგადოებას ან კავშირს.

10. ამ დეკრეტის გამოცემამდე დაარსებული საზოგადოება ან კავშირი და შენაერთი უკეთუ არ მოახდენს რეგისტრაციას ერთი თვის ვადაზე ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან, — დახურულად იქნება გამოცხადებული.

11. დეკრეტი ესე არ ვრცელდება სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს მიერ გაერთიანებულ პროფესიონალურ ორგანიზაციებზე, რომელთა რეგისტრაცია და ზედამხედველობა მოხდება მათთვის დადგენილი განსაკუთრებული წესით, არ ვრცელდება აგრეთვე ისეთ ორგანიზაციებზე, რომელთა მიზანსაც ეკონომიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეადგენს, (როგორც არის, მაგალითად, კოოპერაციული ორგანიზაცია) და რომელნიც სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედებენ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **მ. ცხხაბია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **პ. საბაშვილი.**

1928 წ. ივლისის 7.

თბილისი — სასახლე.

(გაზ. „კომუნისტი“ 1928 წლის 20 ივლისი № 165).

ი ნ ს ზ რ უ ქ ც ი ა

შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებისა შენობის უთადარიგოთ შენახვის გამორკვევის წესისათვის და ამ საფუძველზე შენობის მუნიციპალიზაციისათვის


თანხმად საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის ივნისის 11-ს გამოცემული და ივნისის 15-ს გამოქვეყნებული („კომუნისტი“ № 125) დეკრეტის და სამოქალაქო სამართლის კოდექსის 59 მუხ. შენიშვნისა, შენობის მუნიციპალიზაცია, როგორც საერთო ღონისძიება, 1923 წ. ივნისის 15-ის შემდეგ არ შეიძლება.

შენობის მუნიციპალიზაცია, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. სექტემბრის 26 საცხოვრებელი სადგომების შესახებ გამოცემული დეკრეტის ძალით, შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის და თანხმად რეკვიზიციისათვის მიღებული წესისა (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 და 70 მუხ. დანართი); სახელმწიფოებრივი საჭიროება კი მოითხოვდა, რომ საცხოვრებელი სადგომი წესიერად ინახებოდეს, არ ინგრეოდეს, რათა ამით საბინაო კრიზისი უფრო არ გამოწვავდეს.

ამიტომაც შენობის უთადარიგო შენახვა, რასაც თანხდევს შენობის დანგრევა, შეიძლება სა-

ბაზად და საფუძველად გახდეს მისი მუნიციპალიზაციისათვის.

მაგრამ უთადარიგოთ შენახული სახლის სამუნიციპალიზაციოდ წარდგენა დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს. აქ უნდა დატული იქნეს ვარანტია იმისა, რომ მუნიციპალიზაცია საფუძვლიანი და მიზანშეწონილია. უკეთუ სატექნიკო-საკონტროლო აპარატი აღმოაჩენს სახლის უთადარიგოდ გამგებლობას, რის გამო სახლი ინგრევა, უნდა შედგეს აქტი, სადაც აღინიშნება, თუ სახლს რა აქვს დანგრეული, აქტი უნდა შეადგინოს სატექნიკო-საკონტროლო ზედამხედველობამ. აქტის შედგენა ეცნობოს სახლის პატრონს და მოხდეს მისი თანდასწრებით, უკეთუ იგი გამოცხადდება. ამ დათვალიერების აქტის ძალით კომუნალური განყოფილება გაუგზავნის სახლის პატრონს წერილობით განცხადებას, რომ საჭიროა სახლი ისეთ მდგომარეობაში იქნეს მოყვანილი, რომ იქ შეიძლება მოხდეს ცხოვრება, რისთვისაც იმის და მიხედვით თუ რა მდგომარეობაშია სახლი და რამდენი დრო დასჭირდება მის შეკეთებას, სახლის პატრონს მიეცემა განსაზღვრული ვადა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, არა უმეტეს ერთი



წლისა, გაფრთხილებით, რომ თუ სახლი შეკეთებული არ იქნება, იგი როგორც უთადარიგოთ შენახული, წარდგენილი იქნება მუნიციპალიზაციისათვის, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახლის მუნიციპალიზაციის საკითხი გადაწყდება მარტოოდენ სახლის მდგომარეობის მიხედვით და მიუხედავად იმისა, თუ სახლი სხვა პირის მფლობელობაში გადავა. სახლის შეკეთებისათვის მიცემულ ვადის განვლისას სააღმშენებლო ზედამხედველობა მიმოიკვლევს სახლის მდგომარეობას, მიმოიკვლევა წინ და წინვე ეცნობა სახლის პატრონს და მოხდება მის თანდასწრებით, უკეთუ იგი გამოცხადდება. მიმოიკვლევის შედეგის შესახებ შესდგება აქტი, რომელსაც ხელს მოაწერს ყველა, ვინც დათვალეობას დაესწრო. იმ შემთხვევაში უკეთუ სახლის დათვალეობების დროს გამოირკვა, რომ პატრონს არსებითად არ შეუქეთებია სახლი და

თუ ეს უკანასკნელი კიდევ ინგრევა, კომუნალური განყოფილება წარუდგენს ამ გარემოებას სახალხო სასამართლოს სახლის უთადარიგოთ შენახვის ფაქტის დასადასტურებლად.

მას შემდეგ, როდესაც სახალხო სასამართლო სცნობს უთადარიგობის ფაქტს, კომუნალური განყოფილება წარადგენს მუნიციპალიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე მუნიციპალიზაციის დამტკიცების შესახებ. აღძრულ თხოვნასთან ერთად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით, წარდგენილი უნდა იქნეს სახლის დათვალეობების ყველა აქტი, სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება სახლის უთადარიგოთ შენახვის შესახებ და სხვა მასალა, რაც კი ამ საქმეს შეეხება (სამოქალაქო კოდექსის 69 და 70 მუხლის დანართი 4 და 7 მუხლი).

იუსტიციის სახალხო კომისიის მაგიერ: **მ. ოპუშკაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისიის მაგიერ: **ი. ტალახაძე.**

(გაზ. „კომუნისტი“ 1924 წ. 10 აპრილი № 81).

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 97

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სისხლის სამართლის კოდექსის შემსახვის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს შემდეგი მუხლები:

166,1 მოტაცება უქმრო ქალისა მისდაუნებურად — მასთან დასაქორწინებლად დაისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

166,2 მოტაცება ქალისა მისდაუნებურად —

მასთან სქესობრივი კავშირის დასაქერად, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლები ორი წლისა.

მოტაცება იმავე მიზნით ქალისა, რომელსაც საქორწინო სრულწლოვანებას არ მიუღწევია, მისდაუნებურად, თუ თანხმობით იქნება იგი მოტაცებული, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ხუთი წლისა.


სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: **მ. ცხაპანიძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: **პ. საბაშვილი.**

1924 წლ. ივნისის 16.

თბილისი — სასახლე.

(გაზ. „კომუნისტი“ 1924 წელი 22 ივნისი № 141).



რ ე ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 100

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

აგარაკების სამთო-სასანიტარო ოლქის ფარგლებში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ სასანიტარო-სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დასჯის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სამოქმედოდ შემოღებული იქნეს გამოქვეყნების დღიდან ამასთანავე დართული დებულება აგარაკების სამთო-სასანიტარო ოლქის ფარგ-

ლებში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ სასანიტარო სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დასჯის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: მ. ცხაპაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: პ. სხაბაშვილი.

რ ე ბ უ ლ ე ბ ა

აგარაკების სამთო-სასანიტარო ოლქის ფარგლებში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ სასანიტარო-სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დასჯის შესახებ.

1. იმ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის, რასაც ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი გამოსცემს, თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის თებერვლის 3-დეკრეტის (საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (აგარაკების) შესახებ მე-9 მუხლისა, აგარაკებზე სანიტარული მდგომარეობის დაცვის შესახებ, დამწესებულ შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული წესით სასჯელი:

- ა) ფულადი ჯარიმა არა უმეტეს 100 მანეთისა ჩერკონეცი;
- ბ) იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთლად ორ თვემდე;
- გ) გამოსახლება აგარაკიდან;

2. სავალდებულო დადგენილების დარღვევის გამო შედგენილი უნდა იქნეს ოქმი, რასაც ხელს მოაწერენ აგარაკის სასანიტარო ექიმი და სხვა. ოქმის შესადგენად უფლებამოსილი, თანამდებობის პირი, სასანიტარო კომისიის წევრები, სავალდებულო დადგენილების დამრღვევი პირი და მოწმეები. უკუთუ დადგენილების დამრღვე-

ნაჩვენები იქნეს უარის თქმის საფუძველი. ვი პირი უარს იტყვის ხელის მოწერაზე, ეს გარემოება ოქმში უნდა აღინიშნოს და თანაც


3. ოქმი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სათანადო სააგარაკო სამმართველოს, გამოტანილი უნდა იქნეს დადგენილება სავალდებულო დადგენილების დამრღვევის ადმინისტრაციული წესით დასჯის შესახებ. დადგენილება ძალაში შედის აგარაკის დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ.

შენიშვნა: უკუთუ ოქმიდან სჩანს, რომ სავალდებულო დადგენილების დამრღვევს ბრალდება ისეთი მოქმედება, რაც სასამართლო წესით უნდა იქნეს დევნილი, საქმე გადაეცემა სათანადო პროკურორს ან მის ამხანაგს შემდგომი წარმართვისათვის.

4. ადმინისტრაციული წესით სასჯელის დადების დროს დაცულ უნდა იქნეს შემდეგი:

ა) დადგენილებაში ნათლად უნდა იქნეს აღნიშნული: დადგენილების დამრღვევის ვინაობა, მის მიერ ჩადენილი დარღვევა და რა სასჯელიც მიესაჯა.

ბ) ბრალდება, რომელიც დამრღვევს ბრალდება, სისწორით უნდა შეესაბამებოდეს იმ მო-



ქმედებას, რაც უწყებულ სავალდებულო დადგენილებაშია აღნიშნული.

გ) ადმინისტრაციული წესით სასჯელი შეიძლება დაედოს დამნაშავეს ორი თვის განმავლობაში დღიდან დარღვევის გამოაშკარავებისა;

დ) უკეთუ ადმინისტრაციული წესით სასჯელის დადებამდე სავალდებულო დადგენილების დარღვევის საქმეს სასამართლო მიიღებს განსახილველად, დამრღვევი არ შეიძლება იმავე მოქმედებისათვის ადმინისტრაციული წესით დაისაჯოს.

5. დადგენილება, რომლითაც სასჯელია დადებული, წერილობითი უნდა იყოს და გამოცხადდეს იმ პირს, ვისაც ეს სასჯელი დაედო.

6. ადმინისტრაციული წესით დასჯილს, უკეთუ იგი უკმაყოფილო იქნება, შეუძლიან სთხოვოს სათანადო საკურორტო სამმართველოს გადასინჯოს მის წინააღმდეგ გამოტანილი დადგენილება ან ეს დადგენილება განსაზღვროს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში შვიდი დღის განმავლობაში დღიდან დადგენილების გამოტანისა; საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს დადგენილების სისრულეში მოყვანას.

7. სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის გადაწყვეტილი სასჯელი სისრულეში მოჰყავს ადგილობრივი მილიციის უფროსს, რომელსაც უნდა გაეგზავნოს დადგენილება სასჯელის დადების შესახებ.

უკეთუ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს სამხედრო სამსახურში მყოფი პირი, მისთვის გადაწყვეტილი სასჯელი სისრულეში მოყვანილი უნდა იქნეს სათანადო სამხედრო უფროსის მეშვეობით, რომელსაც უნდა გაეგზავნოს დადგენილება სასჯელის დადების შესახებ.

8. სასანიტარო-სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ჯარიმად დადებული ფული შედის საკურორტო სამმართველოს სალაროში და აუცილებლად მოხმარდება სათანადო ავარაკის სასანიტარო-საპოციენო საჭიროებას; ამავე მიზნისათვის გამოყენებული უნდა იქნეს აგრეთვე ის პირნი, ვისაც სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის იძულებითი მუშაობა აქვს მიხჯილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: მ. ცხაპაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: ბ. სხაპაძე.

1924 წ. ივლისის 2.

თბილისი — სასახლე

(გაზ. „კომუნისტი“ 1924 წ. 4 ივლისი, № 150).

ი ნ ს ზ რ უ ქ მ ი ა

რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისა და ამ საზოგადოებათა ყროლობის მოწვევისათვის ნებართვის გაცემის წესის შესახებ

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებს თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტისა („იმ საზოგადოებათა და კავშირთა დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესი, რომელნიც მოგების მიღებას არ მისდევენ და ამ საზოგადოებათა და კავშირთა მოქმედების მეტეალყურების წესი“ „კომუნისტი“ —165), შეუძლიათ მოაწიონ საჯაროებო და რელიგიური საზოგადოებანი და მოსახმარათ მიიღონ რელიგიური წესების შესრულებისათვის საჭირო სამლოცველო სახლები და ქონება.

შენიშვნა: რელიგიური საზოგადოების ან უკვე არსებული მრევლის წარმომადგენლნი ტაძარს (სამლოცველო სახლს) და ქონებას

უფასო სარგებლობისათვის მიიღებენ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 1921 წლის აპრილის 15 თარიღით და 21-ე ნომრით გამოცემული დეკრეტის 15 მუხლის თანახმად ადგილობრივ აღმასრულებელი კომიტეტისაგან ხელშეკრულებით, რომლის ფორმა ამა ინსტრუქციას აქვს დართული.

2. ზემოაღნიშნული რელიგიური და საეკლესიო საზოგადოებანი უნდა გატარებულ იქნან რეგისტრაციაში ამა ინსტრუქციაში აღნიშნული წესით.

3. არც ერთ რელიგიურ საზოგადოებას რაკულტისაც არ უნდა იყოს იგი, არ შეუძლიან დაიწყონ მოქმედება, თუ მისი რეგისტრაცია



არ მოხდება მზრის ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში.

4. ფაქტურად არსებული რელიგიური საზოგადოება და აგრეთვე ის მოქალაქენი, რომელთაც სურთ დაარსონ რელიგიური საზოგადოებანი, მოვალენი არიან სათანადო აღმასკომის რეგისტრაციის შესახებ განცხადებასთან ერთად წარუდგინონ სამ-სამ ცალად.

ა) საზოგადოების დამფუძნებელი კრების ოქმი,

ბ) საზოგადოების წესდება,

გ) საზოგადოების დამფუძნებელთა აღმასრულებელი ორგანოს წევრთა და საზოგადოების რელიგიური კულტის მოსამსახურეთ არჩეულ პირთა მიერ ბირადად ხელმოწერილი სია შემდეგი ფორმით:

1) გვარი, სახელი და მამის სახელი, 2) საცხოვრებელი ადგილი და მისამართი, 3) სოციალური მდგომარეობა, 4) საზოგადოებრივი და სამსახურებრივი მდგომარეობა 1914 წლიდან, 5) რა წოდებას ეკუთვნოდა რევოლუციამდე, 6) ქონებრივი მდგომარეობა, 7) როდის შეუერთდა ამ რელიგიურ კულტს, 8) სახელდობრ საღ და რას აკეთებს დღეს და საღერბო გადასახადი დაწესებულები რაოდენობისა.

შენიშვნა: რელიგიური საზოგადოების წესდება შედგენილ უნდა იქნეს იმ სანიმუშო წესდების მიხედვით, რომელიც ამ ინსტრუქციის აქვს დართული. თუ ამ ინსტრუქციის გამოცემის დროს ფაქტურად არსებულ რელიგიურ საზოგადოებას უკვე აქვს თავისი წესდება, იგი შეიძლება განსხვავდებოდეს სანიმუშო წესდებისაგან, მაგრამ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონსა და ამა ინსტრუქციის მოთხოვნას.

5. სათანადო აღმასკომმა რეგისტრაციასზე უარი უნდა უთხრას ფაქტურად არსებულ ამ ახლად დაარსებულ რელიგიურ საზოგადოებას თუ: 1) სასამართლოს მიერ უფლებებში შეუღღღველ მის წევრთა ან დამფუძნებელთა რიცხვი ადგილობრივ მცხოვრებთაგან ქალთბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში და სოხუმში 1.500 კაცზე და სხვა ადგილას 300 კაცზე ნაკლებია; 2) სარეგისტრაციოდ წარდგენილი წესდება საზოგადოებისა, მისი მიზნები და მოქმედების მეთოდები ეწინააღმდეგება საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის და კანონებს.

შენიშვნა: იმ ადგილას, სადაც მცირე და გაფანტული მოსახლეობაა, და აგრეთვე სხვადასხვა სექტანტების (მალაქნები, ღუბობორები და სხვ.) წევრთა რიცხვი შეიძლება ნაკლებიც იყოს, მაგრამ არანაკლებ 50 კაცისა.

6. უკუთუ რეგისტრაციის დამბარკოლებელი პირობები არ აღმოჩნდება, აღმასკომი აძლევს

საზოგადოებას წესდების ცალს საზოგადოების რეგისტრაციაში გატარების შესახებ, რომელიც რელიგიური საზოგადოების საქმეებთან ინახება.

7. ამა დიდგენილების გამოცემამდე ფაქტურად არსებული ის რელიგიური საზოგადოება, რომელიც ამ ინსტრუქციის გამოქვეყნების ანუ გამოქვეყნებულ ინსტრუქციის ადგილობრივ მიღების დღიდან ორი თვის განმავლობაში მე-4 მუხლში აღნიშნულ წესით არ შეიტანს სათანადო აღმასკომში განცხადებას რეგისტრაციის შესახებ, დახურულად ჩაითვლება.

8. ერთსა და იმავე კულტის რელიგიურ საზოგადოებებს შეუძლიათ მოაწიონ ადგილობრივი ან სრულიად საქართველოს ყრილობები იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 17-ივლისის დეკრეტში („კომუნისტი“ № 165).

9. რელიგიურ საზოგადოებათა ადგილობრივ და სრულიად საქართველოს ყრილობებს შეუძლიათ აირჩიონ აღმასრულებელი ორგანოები ცნობები მათ შესახებ მეოთხე მუხლის „გ“ პუნქტში ნაჩვენები ფორმის დაცვით უნდა წარუდგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

10. რელიგიური საზოგადოების წესდება, რომელიც ქვეყნდება ამ ინსტრუქციისთან ერთად, წარმოადგენს ტიპურ წესდებას და შეიძლება შეესებულები იქნეს სხვადასხვა დამატებითი მუხლებით, მაგალითად, უფრო დაწვრილებით აღნიშნულ იქნეს მოძღვრება და პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს რელიგიურ საზოგადოების დღემბატიურ დებულებას და სხვ.

11. დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ არის ძირითადი კანონი, რომელსაც უნდა დაემყაროს ადგილობრივი ხელისუფლების ყველა განკარგულება და მოქმედება.

12. იმ შემთხვევაში, უკუთუ გამოაშკარავდება რელიგიური საზოგადოების მონაწილეობა კონტრევოლუციონურ გამოსვლებში, ანდა უკუთუ გამოაშკარავდება საეკლესიო ქონების ბოროტად გამოყენება ან მისი გაფლანგვა, ხელშეკრულება ამ რელიგიურ საზოგადოებასთან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით მოიშლება, ტაძარი სხვა რელიგიურ საზოგადოებას გადაეცემა, ხოლო დანაშაულებრივი ქმედობის ჩამდენი კი მიიცემა სამართალში.

13. კულტის ასრულება, აგრეთვე ქადაგების წარმოქმნა, რამდენადაც ეს შეადგენს კულტის ღვთისმსახურების აუცილებელ ნაწილს, შეიძლება თავისუფლათ, წინასწარი ცენზურის მოუხდენლად იმ პირობით — კი რომ იგი თავისი

შინაარსით ფაქტიურათ მარტოოდენ რელიგიური ხასიათისა იყოს; აგრეთვე თავისუფლად და ისე, რომ ყოველ ცალკე შემთხვევისათვის საჭირო არ არის წინასწარი ნებართვა, მოქმედებს მლოცველთა კრება რელიგიური საზოგადოების სარგებლობაში მყოფ სადგომში, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ადამიანი მონაწილეობს ამ კრებაზე, აგრეთვე კრება მოწვეული იმ საკითხის გამო, რაც შეეხება ტაძრის დაცვა-შენახვისა და საკულტო ქონების გამაგეობას.

14. ბურჟუაზიულ-ანარქიული და სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოძღვრების რელიგიური მოძღვრების სახით გავრცელებისა და ქადაგებისათვის, რაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება მიმართული, დამნაშავე სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების ძალით, სისხლის სამართალში იქნება მიცემული.

15. რელიგიურ ორგანიზაციას, თანახმად დეკრეტისა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ, არა აქვს უფლება იქონიოს საკუთრება, აგრეთვე უფლება იურიდიული პირისა. ამის გამო რელიგიურ ორგანიზაციას, კერძოდ ყოველ კონსისტორიებს, რომელთაც ესლა სავაჭარო საბჭო, მართველობა, გამაგეობა, გენერალური კონსისტორია და სხვ. ეწოდება, რა სახელიც უნდა ერქვათ და რა კულტისაც უნდა იყვნენ არ შეუძლიათ მიითვისონ სასამართლო, დამსჯელი და საგადასახადო ფუნქციები, ვინაიდან რელიგიურ ორგანიზაციას არა აქვს იურიდიული პირის უფლება, მას არ შეუძლიან სამეურნეო, სამშენებლო, სავაჭრო და სხვ. მიზნით გასცეს მოწმობა ან მანდატი რელიგიური ორგანიზაციისა ან შენაერთის წარმომადგენლობისათვის. აგრეთვე ძალა არა აქვს ყოველგვარ ექსპერტიზას, მოწმობას და სხვა, რასაც ვაცემს ეგრეთწოდებული „რელიგიურ საზოგადოებათა დაჯგუფების გაერთიანებული საბჭო“ იმ საქმის გამო, რომელიც შეეხება რელიგიური რწმენის მიზეზით სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებას და სხვა. რელიგიურ საზოგადოებას შეუძლიან გასცეს მანდატი, მოწმობა და სხვა მარტოოდენ რელიგიური ხასიათის საქმის გამო. მარტოოდენ რელიგიური საქმეებისათვის რელიგიურ ჯგუფსა და საზოგადოებას შეუძლიან იხმაროს შტემპელი, ბეჭედი და ბლანკი.

16. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებს შეუძლიათ თავისი და თავისი ერთმორწმუნეთა სახელით მონაწილეობა მიიღონ რელიგიურ ყრილობაში, ხოლო არავითარ შემთხვევაში მას უფლება არა აქვს ამ ყრილობაზე გამოვიდეს საზოგადო, სახელმწიფო, საპროფესიო და სამრეწველო დარგის

მშრომელთა სახელით, როგორც მათი წარმომადგენელი.

17. თანახმად საკულტო შენობის უსასყიდლოთ სარგებლობის ხელშეკრულებისა, რელიგიური საზოგადოების წარმომადგენელი პასუხს აგებენ მათდამი რწმუნებულ სახალხო ქონების შენახვისა და სიმრთელისათვის, აგრეთვე ტაძარში წესიერების დაცვისათვის.

ამის გამო თვით რელიგიური საზოგადოების ნებაყოფლობით თანხმობაზეა დამოკიდებული დემოკრილოს ცენტრალურთან სავაჭარო ორგანოთა მიერ შინაგანი საეკლესიო დისციპლინის წესით ვაცემულ განკარგულებას იმდენად, რამდენადაც ეს განკარგულება შეეხება საკულტო ქონების სამეურნეო მართვას, ან ეკლესიო თანამდებობის პირთა (კულტის მსახურთა, დარაჯების და სხვ.) მიერ თავისი მოვალეობის აღსრულებას.

18. რელიგიურ საზოგადოებათა ყრილობებს და მათ მიერ არჩეულ აღმასრულებელ ორგანოებს არ შეუძლიათ დააწესონ იძულებითი გადასახადი.


19. რელიგიურ საზოგადოებათა, ყრილობათა და მათ შემაკავშირებელ ორგანიზაციათა მოქმედების მეთვალყურეობა ევალება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს.

20. ყოველი რელიგიური საზოგადოება ექვემდებარება საზოგადო დებულებით კერძო საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ, უკანასკნელისაგან იგი განირჩევა იმით, რომ არ სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით და საკუთრების უფლება არა აქვს.

21. ყოველგვარი კულტის რელიგიური საზოგადოებანი უფლებათა და მოვალეობათა მხრივ თანასწორნი არიან და არც ერთი მათგანი არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით და სუბსიდიას არ ღებულობს არც სახელმწიფოსაგან და არც მის ადგილობრივ და ავტონომიურ დაწესებულებათაგან.

22. რელიგიური საზოგადოების წევრებს, ან მათ რწმუნებულებს შეუძლიათ ნებაყოფლობით შემოიწირულების შეკრეფა საკულტო ქონების სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად, როგორც არის გათბობა, სუფთად შენახვა შენობისა და დაცვა ამ ქონებისა და სხვა, აგრეთვე შეკეთება საკულტო შენობისა.

23. თუმცა რელიგიურ საზოგადოებას არა აქვს იურიდიული პირის უფლებანი და საკუთრების უფლება, მაგრამ მას მაინც შეუძლია კერძო უფლებრივი ხასიათი ისეთი გარეგნის დადება, რომელსაც კავშირი აქვს საკულტო ქონების სარგებლობასთან, მაგალითად, ხელშეკრულების დადება მგალობელთა დაქირავე-



ბის, შეშის მოწოდება-მოტანის, წიგნების შეკეთებისა და სხვათა შესახებ.

შენიშვნა: ამგვარი გარიგების შინაარსად არ შეიძლება იყოს, ისეთი ხელშეკრულებითი ურთიერთობა, თუნდაც კულტთან დაკავშირებული, რომელიც სავაჭრო ან სამრეწველო მიზნებს მისდევდეს, როგორც არის: იჯარა სანთლის ქარხნისა, სტამბის — სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წიგნების დასაბეჭდად და სხვ.

24. თავიანთი საზოგადო კრების და დადგენილებათა შესასრულებლად, აგრეთვე საგარეო წარმომადგენლობისათვის მოქალაქეებს საქირების დაგვართ, შეუძლიათ დანიშნონ კულ-

ტის მოსამსახურენი და თავიანთ წრიდან გამოჰყონ საქირო რიცხვი რწმუნებულებისა, რომელათგანაც თვითეული იმჟმედებს მისთვის მიცემული რწმუნების ფარგლებში.

25. რელიგიური საზოგადოების დახურვის წესი განისაზღვრება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტით.

26. ინსტრუქცია ესე გამოიცემა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1923 წლის სექტემბრის 22 და დეკემბრის 20 გამოცემულ ინსტრუქციების შესაცვლელად და დასამატებლად.

იუსტიციის სახალხო კომისარი: **ი. პარძიანი.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე: **ი. ტალახაძე.**

1924 წ. ივლისის 9

ქ. თბილისი

(გაზ. „კომუნისტი“ 1924 წ. 28 ივლისი № 165, 166).

დ ე ჯ გ ე ნ ი დ ე ბ ა 103

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სასამართლოს წყობილების დებულების III კარის ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სასამართლო წყობილების დებულების მე III კარის (მე-12 თავი — სახელმწიფო პროკურატურა) 83, 84 და 86 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 83. პროკურატურის სათავეში დგას რესპუბლიკის პროკურორი — იუსტიციის სახალხო კომისარი.

რესპუბლიკის პროკურორს უშუალოდ ენიჭილება საპროკურატურო განყოფილება, რომელიც შედის იუსტიციის სახალხო კომისარიატში და საერთოდ განაგებს რესპუბლიკის პროკურატურას. საპროკურორო განყოფილებას მეთაურობს რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწე.

შენიშვნა: საპროკურატურო განყოფი-

ლების ფუნქციები განსაზღვრულია იუსტიციის სახალხო კომისარიატის დებულებით.

მუხ. 84. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პროკურორის მოვალეობის უშუალო აღსრულება დაეკისრება რესპუბლიკის პროკურორის უმცროს თანაშემწეს. რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეებს (უფროს და უმცროსს), რესპუბლიკის პროკურორის წარდგენით, დაამტკიცებს და უკან გაიწვევს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

მუხ. 86. ოლქის სასამართლოს და სამხედრო ტრიბუნალის პროკურორის მოვალეობის აღსრულება დაეკისრებათ აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორს, დასავლეთ საქართველოს პროკურორს და სამხედრო ტრიბუნალის პროკურორს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

თავმჯდომარე: **მ. ცხაპანიძე.**


სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

მდივანი: **პ. საბაშვილი.**

1924 წ. აგვისტოს 11

თბილისი — სასახლე.

(გაზ. „კომუნისტი“ 1924 წ. 20 აგვისტო № 188).



დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 101

სრულიად საპარტევლოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სასტიკი იზოლაციით თავისუფლების აღკვეთის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ვიდრე მოეწყობოდეს სპეციალური დანიშნულების იზოლატორები, რომელთა მიზანია ისეთი პირობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს სოციალურად უსაშიშრეს პატიმართა იზოლაციას, — შემოდებულ იქნეს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საპატიმროებში განსაკუთრებული წესი იმ პატიმართა მოპყრობისათვის, ვისაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით.

2. სასტიკი იზოლაცია გამოიხატება შემდეგნაირად:

ა) მსჯავრდადებული არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს გაყვანილი სამუშაოზე საპატიმროს გარეთ.

ბ) მას არავითარი შევებულება არ მიეცემა და არც მისი მივილინება შეიძლება სადმე.

გ) მას შეუძლიან თვეში ერთხელ გაგზავნონ და მიიღონ წერილი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში, საპატიმროს უფროსის ნებართვით

შეიძლება მას უფლება მიეცეს იქონიოს მიწერ-მოწერა საერთო წესისამებრ.

დ) მისი პირადად ნახვა არ შეიძლება.
3. სასტიკი იზოლაციაში მყოფი პატიმარი, რომელიც დაჯარიმებულთა რიგში ითვლება, მთელ იმ დროს განმავლობაში, ვიდრე, იგი ამ რიგში იქნება, მოკლებულია მიწერ-მოწერისა და ნახვის უფლებას.

4. დანარჩენ შემთხვევაში სასტიკი იზოლაციაში მყოფ პატიმარზე გავრცელდება ყველის დადგენილება და დებულება, რაც კი შეეხება საერთო საპატიმრო ადგილებს.

5. სასტიკი იზოლაციაში მყოფი პატიმარი შეიძლება განმანაწილებელმა კომისიამ, საპატიმროს ადმინისტრაციის თხოვნით, გაათავისუფლოს სასტიკი იზოლაციისაგან, იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი გაათავებს გამოსაცდელთა რიგში ყოფნისათვის დაწესებულ ვადას, რის შემდეგაც იგი საპატიმროს ადმინისტრაციის მიერ გადაყვანილ უნდა იქნეს გასწორების გზაზე დამდგარ პატიმართა რიგში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: **მ. ცხაპანი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: **პ. სბაბუშვილი.**

1924 წ. აგვისტოს 11

თბილისი — სასახლე.

(გაზ. „კომუნისტი“ 1924 წ. 20 აგვისტო № 188).

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემოთ მოყვანილი დებულება კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ეროვნულ

დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის შესახებ.

2. ეროვნულ დივიზიათა სამხედრო სასამართლოებისა და პროკურატურის რეორგანიზაცია ამა დებულების საფუძველზე დასრულდეს ამა 1924 წლის ოქტომბრის 1-სათვის.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:
ს. აზნავაძე

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი:
ბ. შავერდოვი.

რ ე ბ უ ლ ე ბ ა

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალისა და პროკურატურის შესახებ.

1. ყველა ეროვნულ დივიზიაში მოეწყობა სამხედრო ტრიბუნალები და პროკურატურა შტატებისა და დებულებების მიხედვით, რაც მიღებულია ნომრიანი დივიზიებისათვის.

2. საერთო ხელმძღვანელობა, მეთვალყურეობა და პასუხისმგებლობა ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის მდგომარეობისა და მუშაობისათვის დაეკისრება სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარესა და კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პროკურორს — კუთვნილებისამებრ.

3. სასამართლოს წარმოება სასამართლოში, ლაპარაკი და მიწერ-მოწერა ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებში და პროკურატურაში იქნება იმ ენებზე, რაც გათვალისწინებულია ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის და სათანადო რესპუბლიკების კანონმდებლობით ამ საგანზე დამყარებულ წესებში; ხოლო მატერიალური და საპროცესო კოდექსების ნორმებზე შეფარდებულ უნდა იქნეს ის ნორმები, რაც მოქმედებს თითოეული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

4. ნაციონალურ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის პასუხისმგებელ მომუშავეთა პირადი შედგენილობა დაინიშნება რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატების შეთანხმებით, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო ტრიბუნალებთან და პროკურატურასთან; ამასთან თავმჯდომარენი და პროკურორები დამტკიცებულ იქნებიან კავშირის რეგულაციონურ-სამხედრო საბჭოს ბრძანებით, ხოლო კოლეგიის წევრები კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რეგულაციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანებით.

5. საკასაციო-ინსტანციის ფუნქციებს ნაციონალურ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალების მიმართ განახორციელებს სათანადო რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ყველა სხვა უფლებითურთ, რაც შედის აღნიშნული სასამართლოს გამგებლობის ფარგლებში.

6. რესპუბლიკათა იუსტიციის სახალხო კომისარიატებს და პროკურორებს უფლება აქვთ შედამხედველობის წესით გამოითხოვონ ესა თუ ის საქმე, რაც სათანადო სამხედრო ტრიბუნალის წარმოებაში იქნება და აგრეთვე განასაჩივრონ როგორც აღნიშნული ტრიბუნალის განაჩენი და გადაწყვეტილება, ისე პროკურატურის დადგენილება.

7. რესპუბლიკათა იუსტიციის სახალხო კომისარიატებს და პროკურორებს უფლება აქვთ — კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარესთან ან პროკურორთან შეთანხმებით მოახდინონ რევიზია ეროვნულ დივიზიათა და სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურისა.

8. ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალები და პროკურატურა თავიანთი მუშაობის ანგარიშს წარუდგენენ სათანადო ფორმით კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს და პროკურორს; რესპუბლიკანურ იუსტიციის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს მოითხოვოს ანგარიშგება სასამართლო და საგამომძიებლო საქმეთა გამო მის მიერ დაწესებული ფორმით, როგორც პერიოდულად, ისე ცალკე მოთხოვნილებებისამებრ.


9. იმ ეროვნულ დივიზიაში, სადაც უკვე არის სამხედრო ტრიბუნალი, უკანასკნელი გადაკეთებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული წესის თანახმად.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:
 ს. აგაბარცუმიანი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი:
 ა. შავპერდოვი.

1924 წ. სექტემბრის 22.

(გაზეთი „კომუნისტი“ 1924 წ. 24 ოქტომბერი, № 244).



რ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ე 37

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

შრომის საქმეთა პროკურატურის შესახებ.

1. შრომის საქმეთა პროკურორის თანამდებობა უზენაეს სასამართლოსთან დაწესებულია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლო-წყობილების დებულების 136 მუხლის ძალით. შრომის საქმეთა პროკურორს უზენაეს სასამართლოსთან დანიშნავს რესპუბლიკის პროკურორი შრომის სახალხო კომისართან შეთანხმებით.

2. შრომის საქმეთა სფეროში მას უფლება აქვს:

ა) აღძრას შრომის კანონთა დარღვევისათვის სასამართლოს წესით დევნა თანამდებობის და კერძო პირის წინააღმდეგ (სასამართლო წყობილების დებულების 82 მუხ. „ა“ პუნქტით).

ბ) ზედამხედველობა გაუწიოს შრომის კანონთა დარღვევის საქმეთა მოკვლევასა და გამოძიებას;

გ) ვადაწყვიტოს სამართალში მიცემის საკითხი „ბ“ პუნქტში აღნიშნული ხასიათის საქმის გამო, დამტკიცოს საბრალდებლო დასკვნა ამ საქმის გამო, ხოლო, უკეთუ არ დაეთანხმება გამოძიების დასკვნას, შეადგინოს თავისი დასკვნა (სისხ. სამ. საპროცესო კოდექსის 21-232 მუხლ.).

დ) მონაწილეობა მიიღოს გამწესრიგებელ სხდომაში სამართალში მიცემისა, საქმის მოსპობისა და სხვა საკითხის განხილვის დროს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მონაწილეობას საჭიროდ მიიჩნევს. (ასამ. წყობილების დებულების 94 მუხ. „ე“ პუნქტი).

ე) ბრალდებლობა გასწიოს სასამართლოში შრომის კანონთა დარღვევის საქმის გამო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წესისამებრ.

ვ) საკასაციო წესით პროტესტი შეიტანოს სასამართლოს განაჩენზე და დადგენილებაზე (ასამ. წყობ. დებულ. 94 მუხ. „ზ“ პუნქტი).

ზ) მოითხოვოს ზედამხედველობის წესით რესპუბლიკის პროკურორის იმ თანამეშვერდით, რომელიც უზენაეს სასამართლოსთან იმყოფება, ყოველი საქმე რესპუბლიკის ყოველ სასამართლოდან, პროცესის რა სტადიაშიც უნდა იყოს იგი (სისხ. სამ. საპროცესო კოდექს. 439 მუხ.) და შეიტანოს მასზე პრო-

ტესტი სისხ. სამ. საპროცესო კოდექსის 440 მუხლისამებრ;

თ) აღძრას შრომის უფლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე სამოქალაქო საქმე და აგრეთვე ჩაერიოს ამ საქმეში პროცესის რა სტადიაშიც არ უნდა იყოს იგი (სამოქ. სამ. საპროცესო კოდექს. 2 მუხ.).

ი) აღძრას საკითხი წინა პუნქტში აღნიშნული კატეგორიის სამოქალაქო საქმის გადასინჯვის შესახებ. აგრეთვე მოითხოვს ისეთი საქმე, რომლის გამოც დადგენილი გადაწყვეტილება უკვე შესულია კანონიერ ძალაში და პროტესტი შეიტანოს მასზე რესპუბლიკის პროკურორის მეშვეობით (საქალაქო საპროცესო კოდექსი 252 და 254 მუხლ.).


კ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივ პროკურორებს შრომის საქმეთა სფეროში ამა თუ იმ საქმის გამო წინადადებებისა და განმარტების მიცემით.

შ ე ნ ი შ ე ა: განმარტება, როდესაც მას ცირკულარული ხასიათი აქვს, უნდა დამტკიცებული იქნეს რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწის მიერ.

3. შრომის საქმეთა პროკურორი თავის ფუნქციებს განახორციელებს უმეშვეოდ ან თავის თანაშემწეთა მეშვეობით, რომელთაც შრომის საქმეთა პროკურორის წარდგენით დანიშნავს რესპუბლიკის პროკურორი.

4. უზენაეს სასამართლოსთან მყოფი შრომის საქმეთა პროკურორი თავის მოქმედებაში უმეშვეოდ ემორჩილება რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეს, რომელიც უზენაეს სასამართლოსთან იმყოფება და განსაზღვრულ ვადაზე ურღვეს მას ანგარიშს.

5. უზენაეს სასამართლოსთან მყოფ შრომის საქმეთა პროკურორს მედმივი სამყოფელი აქვს შრომის სახალხო კომისარიატში, იგი სთავაზუვში უდგას შრომის სახალხო კომისარიატის, შრომის საქმეთა ზედამხედველობის ბიუროს და გამოიყენებს მის ტექნიკურ აპარატს.



6. იუსტიციის სახალხო კომისარს დავალება, შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად გამოცეს ინსტრუქციები შრომის საქმეთა პროკურატურისა და იუსტიციისა და შრომის სახალ-

ხო კომისარიატების ადგილობრივი ორგანოთა ურთიერთობის შესახებ და შრომის საქმეთა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების წესის შესახებ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: ბ. გვამბაყური.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს საქმეთა მმართველი: ალ. სალბაძე.

1924 წ. ოქტომბრის 25.

თბილისი — სასახლე.

(გაზ. „კომუნისტი“ 1924 წ. 28 ნოემბერი № 272).

დ ე რ გ ე ნ ი დ ე ბ ა 124

სრულად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ.

რათა მტკიცედ განხორციელებული იქნეს ძირითადი კანონი სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების შესახებ (1921 წ. აპრილის 15-ს და № 2 დეკრეტის, რომლითაც საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია სარწმუნოებისა და რელიგიური კულტის თავისუფლად ასრულება), სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ყველა მოქმედი დადგენილება, ინსტრუქცია და ადმინისტრაციული განკარგულება, რაც შეეხება რელიგიურ საზოგადოებათა და ზღუდავს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ რელიგიური კულტის თავისუფლად ასრულებას.

2. შემოღებულ იქნეს ქვემოთ აღნიშნული წესი იმ ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების გახსნისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთა ხელში სარგებლობისათვის გადაცემისა, რომელთა გადაცემის შესახებ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმება ჯერ არ მომხდარა; ასევე წესი შემოღებულ იქნეს აგრეთვე წინადახურული ეკლესიებისა და სამლოცველო სახლებისა გახსნისა და გადაცემისათვის, ხოლო იგი არ ვაერცულებს იმ სამხედრო ტაძრებზე, რაც სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გადაეცა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომი-


სართა საბჭოს 1923 წ. იანვრის 8 თარიღით და 68 ნომრით გამოცემული დადგენილების ძალით:

ა) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთა შეუძლიათ მიიღონ სარგებლობისათვის თავისი სარწმუნოების ტაძრები და სამლოცველო სახლები, აგრეთვე დგომისაზღუდებისა და რელიგიური წესებისათვის მიკუთვნილებული ქონება, რასთვისაც უნდა დაარსონ რელიგიური საზოგადოება, რომლის დაფუძნებულ წევრთა რიცხვი შეიღწე ნაუღბი არ უნდა იყოს.

ბ) რელიგიური საზოგადოების წარმომადგენელნი ტაძრებს, სამლოცველო სახლებს და ქონებას მიიღებენ სარგებლობისათვის ადგილობრივ აღმასრულებელი კომიტეტისაგან ხელშეკრულებით უსასყიდლოთ, უვადოთ, თანახმად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წ. აპრილის 15 თარიღით და 21 ნომრით გამოცემული დეკრეტის მე-15 მუხლისა.

გ) ხელშეკრულების დადებისას, რელიგიურ საზოგადოებას რეგისტრაცია უნდა ექნეს სათანადო მასრისა ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში.

3. ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის უარი ხელშეკრულების დადებაზე ან რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრებელი იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ



კომიტეტში ერთი თვის ვადაზე იმ დღიდან, როდესაც ჩაბარებულ იქნება წერილობით დასაბუთებული დადგენილება უარის შესახებ.

4. ამა დადგენილების გამოცემამდე დაარსებული და რეგისტრაციამწილი რელიგიური საზოგადოება განაგრძობს თავის არსებობას ახალი რეგისტრაციის მოუხდენლად.

დადგენილება ესე გავრცელდება ამ საზოგადოებაზედაც.

5. რელიგიური საზოგადოება შეიძლება დახურული იქნეს მხოლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით, იმ შემთხვევაში, უკეთეს იგი საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კომიტეტისა და კანონების საწინააღმდეგო მეთოდებით იმოქმედებს.

6. დაწესებულება და თანამდებობის პირი, რომელიც ამა თუ იმ სახის წინააღმდეგობას გაუშვებს ეკლესიას და სამლოცველო სახლის განსნას და სხვ., ან დევნას აღძრავს იმ პირის წინააღმდეგ, ვინც ეკლესიის განსნას ითხოვს, აგრეთვე ღვთისმსახურს კულტის შესრულებისათვის დევნას დაუწყებს, პასუხს აგებს, როგორც ხელისუფლების გადამეტებისათვის.

7. მეთუალყურეობა ამა დადგენილების მტკიცედ აღსრულებისათვის დაეკისრებათ იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს და მათვე დაევალებათ ამა დადგენილების განსავითარებლად გამოსცენ სათანადო ინსტრუქციები.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: მ. ცხატაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: ს. თოდუა.

1924 წლ. ნოემბრის 21.

თბილისი — სასახლე.

(გაზ. „კომუნისტი“ 1924 წ. 28 ნოემბერი. № 268).

ი ნ ს ზ რ უ ქ ც ი ა

ადმინისტრაციული წესით გადასახლების შესახებ.

(გამოცემულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. აპრილის 29-ის № 87-ის დადგენილების მე-2 მუხლის შესასრულებლად).

1. მუშურ-გლეხური მილიცია, სისხლის სამართლის მძებარი მილიციის ორგანოები და საქართველოს საგანგებო კომისიის ადგილობრივი ორგანიზაციები, ვალდებული არიან შეპკრიფონ ხოლმე დაწვრილებითი ცნობები იმ პირთა შესახებ, რომელნიც უდგებიან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილების 1-2 მუხლში ნაჩვენებ ნიშნებს, ე. ი. ვინც გასამართლებული ყოფილა ორჯერ სისხლის სამართლის კოდექსის იქ ჩამოთვლილი მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულისათვის და ვინც შეიძლება ცნობილ იქნეს სოციალურად საშიშ პიროვნებად, ან თავისი ყოფაქცევა თუნცა არ უდგება სისხლის სამართლის კოდექსის გათვალისწინებულ ამა თუ იმ დანაშაულს, მაგრამ მისი ყოფნაც განსაზღვრულ ადგილას ანდა მთლად საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში საფრთხეს წარმოადგენს რევოლუციონერ წესიერებისათვის ამ პირის მოქმედების, წარსულისა და ბოროტმოქმედთა წრესთან კავშირის გამო.


2. თვითუფლ ასეთ პირზე უნდა მოხდეს მოკლევამო იმ წესით, რომელიც მიღებულია სი-

სხლის სამართლის იმ საქმისათვის რომელთა წინასწარი გამოძიება სავალდებულო არ არის (სისხლის სამართლის სამოციქულო კოდექსის 98 მუხლი).

3. მოკლევამო უნდა მოიცავდეს:
ა) სათანადოდ შემოწმებულ დაწვრილებით ცნობებს გადასახლებული პირის სამართალში ყოფნის შესახებ და მასში შეძლებისდაგვარად აღნიშნული უნდა იყოს: როდის და რომელმა სასამართლომ გაარჩია საქმე, რა დანაშაული ედებოდა ბრალად გადასახლებულს, გამართლა სასამართლომ ბრალდებულს თუ ვაიმეტუნა. თუ ვაიმეტუნა, რა სასჯელი გადაუწყვიტა მას, და მოიხსნა თუ არა ბრალდებულმა დანიშნული სასჯელი;

ბ) სწარმოებდა თუ არა გადასახლებულის შესახებ, წინა პუნქტში აღნიშნული საქმის გარდა სხვა რომელიმე საქმე წინასწარი, გამოძიების ან მოკლევამოვის სახით. თუ სწარმოებდა, სად, რა დანაშაულის გამო, და როგორ დამთავრდა საქმე;

გ) სად, როდის და რა დანაშაულის გამო იყო დაქვრივი გადასახლებული (სარეგისტრაციო ბიუროს ან სხვა ასეთი ორგანოს მიმხიზვება).



4. გარდა ჩამოთვლილი ცნობებისა, მოკვლევაში გამორკვეული იყოს მოწმეების ჩვენებით, საჭირო საბუთების გასინჯვით, გაჩხრკევით ან ადგილობრივი დათვალიერებით, გადასახლებულის დაკითხვით და სხვ. რაში გამოიხატება გადასახლებულის საშიში ყოფაქცევა, წარსული მოქმედება, ან ბოროტმოქმედთან კავშირი.

5. მოკვლევა უნდა შეიცავდეს აგრეთვე ცნობებს გადასახლებულის ვინაობის შესახებ, განსაკუთრებული ანკეტის თანახმად.

6. ყველას, ვინცდაც დაწყებული იქნება მოკვლევა როგორც გადასახლებულ პირზე, მომკვლევა ორგანომ უნდა ჩამოართვას ხელწერილი იმის შესახებ, რომ ეს პირი ვალდებულია საჭიროებისამებრ გამოცხადდეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში და აცნობოს მომკვლევ ორგანოს ან განსაკუთრებულ კომისიას თავისი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა. ამას გარდა მომკვლევ ორგანოს უფლება აქვს მიიღოს გადასახლებული პირის წინააღმდეგ შემდეგი აღმკვეთი ზომები, რომ მან მოკვლევას და განსაკუთრებული კომისიის დადგენილების ასრულებას თავი არ აარიდოს: 1) წაუსვლელობის ხელწერილი და 2) პირადი თავდებობა. გადასახლებული პირის დაპატიმრება შეიძლება მაშინ

ა) როდესაც მისი პიროვნება გამოუტყვევებელია, ან

ბ) როდესაც ის შეეცდება გაქცევას, ან გაქცევის დროს იქნება შეპყრობილი. მხოლოდ იმ პირობით, ორივე აღნიშნულ შემთხვევაში, თუ გადასახლებული პირის თავისუფლად ყოფნა საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებრივი წესიერებისათვის.

7. მოკვლევას უნდა დაერთოს მომკვლევ ორგანოს დასვენა, რომელშიც უნდა აღინიშნოს, არის თუ არა საჭირო ამა თუ იმ მოქალაქის გადასახლება თუ საჭიროა, რა სახის გადასახლება (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების ბუხლი 4) და

ნაჩვენები იყოს მიზეზი (დასაბუთება) გადასახლების საჭიროებისა.

8. დამთავრებული მოკვლევა წარედგინება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიას, რომელზედაც გადაიბრუნდება გადასახლებული პირი თუ იგი დატუსაღებულია.

9. მოკვლევის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია განსაკუთრებული კომისიის მოთხოვნით შეავსოს მოკვლევა იმ მასლით, რომელიც მას აკლია, ან მიაწოდოს კომისიას დამატებითი ცნობები.

10. განსაზღვრულ რაიონში გადასახლებულ პირს ზედამხედველობას გაუწევს საგანგებო კომისიის ადგილობრივი ორგანო, ხოლო, სადაც ასეთი ორგანო არ არის მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოები.


აღნიშნული ორგანოები მიუჩენენ გადასახლებულს საცხოვრებელ ადგილს გადასახლების რაიონში და თვალყურს ადევნებენ როგორც მის ყოფაქცევას, აგრეთვე იმას, რომ ის არ წავიდეს გადასახლების რაიონიდან.

11. როდესაც გადასახლებულს აკრძალული აქვს ამა თუ იმ ადგილზე ცხოვრება, ამ ადგილის საგანგებო კომისიის და მუშურ-გლეხური მილიციის ორგანო თვალყურს ადევნებს, რომ გადასახლებული პირი ამ რაიონში არ ცხოვრობდეს, ხოლო, როდესაც მოქალაქე გადასახლებულია საქართველოს სსრ რესპუბლიკიდან, რესპუბლიკის საგანგებო კომისიის და მილიციის ყველა ორგანოები თვალყურს ადევნებენ, რომ ასეთი პირი არ დაბრუნდეს რესპუბლიკის საზღვრებში.

12. მოქალაქენი, რომელნიც გაიქცევიან გადასახლებულად დანიშნული ადგილიდან, ან გზიდან, ამ ადგილზე წარგზავნის დროს, აგრეთვე ის, ვინც დაბრუნდება იმ ადგილზე, სადაც მას ყოფნა აკრძალული აქვს, პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი სასამართლოს წესით სისხლის სამართლის კოდექსის 98 მუხლის თანახმად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისიის მოადგილე: **მ. დოლიძე.**

ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი: **ბ. ბერიძე.**



დ ე რ გ ე ნ ი დ ე ბ ა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 60 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-60 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„სახელმწიფო და სხვა ფასიანი საწარმოადგენლო ქაღალდი, რომლის ტრიალიც ნებადართულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში და რომელიც

შეიცავს ვალდებულებას განსაზღვრული ფულიანი თანხის გადახდისას, აგრეთვე საბანკო ბილეთი, არ შეიძლება ჩამოერთვას კეთილსინდისიერ შემქმენს იმ საბაბით, რომ ეს ქაღალდი თუ ბილეთი წინად დაკარგული ან მოპარული იყო ან და სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს ეკუთვნოდა და უკანონოდ გასხვისებული“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: **ს. თოდრაძე.**

1925 წ. ივნისის 25.

თბილისი — სასახლე.

(გაზ. „კომუნისტი“ 1925 წ. 2 ივლისი. № 149).



საბჭოთა სახელმწიფოებრივობის შექმნა და განმტკიცება სომხეთში

დოც. შ. კაპრალიანი,

სომხეთის სსრ დამსახურებული იურისტი

1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაიწყო ძირეული გარდატეხის ხანა კაცობრიობის ისტორიაში. რუსეთის გამარჯვებულმა პროლეტარიატმა დაამყარა თავისი დიქტატურა, შექმნა ახალი ტიპის სახელმწიფო — საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა, ახალი ტიპის დემოკრატია — დემოკრატია მშრომელებისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები უცხოელი იმპერიალისტების დახმარებით სათავეში ჩაუდგნენ ხელისუფლებას და ეს მხარე ჩამოაშორეს საბჭოთა რუსეთს.

1918—1920 წ.წ. სომხეთში ძალაუფლება ხელთ იგდო დაშნაკების ნაციონალისტურმა პარტიამ, რომლის პოლიტიკა ემსახურებოდა ინგლის-ამერიკის ინტერესებს.

დაშნაკების მთავრობა ბოლომდე საბჭოთა რუსეთის მტრად დარჩა და, ხელმძღვანელობდა რა თავისი მფარველი იმპერიალისტური სახელმწიფოების მითითებებით, მეგობრული ურთიერთობა არ გაუწყვეტია კონტრრევოლუციის მოთავეებთან — დენიკინთან და კოლჩაკთან.

დაშნაკების პარტიამ თავისი ბატონობის მანძილზე არა თუ ვერ შეძლო შეექმნა მტკიცე სახელმწიფო აპარატი და განემტკიცებინა საზოგადოებრივი წესრიგი, არამედ პირიქით კანონისა და კანონიერების ნაცვლად სომხეთში გაიფედა თვითნებობა და უხეში ძალადობა. დაშნაკების მთავრობა, ე. წ. პარლამენტი და ხელისუფლების ყველა ადგილობრივი ორგანო, ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ მსხვილი ბურჟუაზიისა და კულაკობის ინტერესებს. მეზობელი ამიერკავკასიის ხალხების მიმართ იგი ეწეოდა მტრულ ნაციონალისტურ პოლიტიკას.

დაშნაკების მთავრობა და სამინისტროები გადაქცეულ იყვნენ ჯერ ინგლისის, შემდეგ კი ამერიკის საოკუპაციო ორგანოების კანცელარებად და მორჩილად, უსიტყვოდ ასრულებდნენ მათ დავალებებს.

სომხეთის მშრომელები, რომელთაც აღაფრთოვანებდა დიდი ოქტომბრის იდეები, მისი ორგანიზატორისა და ბელადის ვ. ი. ლენინის მოწოდებები — გაერთიანებულებიყვნენ და თავიანთ ხელში აეღოთ სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგეობა, სამი წლის მანძილზე ეწეოდნენ გმირულ ბრძოლას განთავისუფლებისათვის. ამ ბრძოლას ჰქონდა თავისებურებანი.

სომხეთის მმართველი კლასები 1918—1920 წ.წ. მიეყიდნენ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებს, ხოლო ისინი თავის მხრივ ყველა ღონისძიებით მხარს უჭერდნენ დაშნაკების ბურჟუაზიულ-მემამულურ რეჟიმს. ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებისაგან სომხეთის ეროვნული განთავისუფლების ამოცანა ამის

გამო არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო მარტოდენ უცხოელი იმპერიალისტების განდევნის გზით. სოციალური განთავისუფლების ამოცანის გადაწყვეტაც ასევე მოითხოვდა არა მარტო ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დამხობას, არამედ დაშნაკების და ინგლის-ამერიკის საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაციასაც. ამგვარად სომხეთის მშრომელების რევოლუციურ-კლასობრივი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მჭიდროდ გადაენასკვა ერთმანეთს.

ამ ბრძოლის მსვლელობაში, 1920 წლის ნოემბერში შეიქმნა ყველა ობიექტური და სუბიექტური პირობა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

სომხეთის კომუნისტურმა პარტიამაც არ დააყოვნა და შექმნა რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც 29 ნოემბერს სომეხ ხალხს მიმართა ისტორიული დეკლარაციით. სომხეთი გამოცხადდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

დეკლარაცია მოუწოდებდა მშრომელებს განემტკიცებინათ საბჭოთა ხელისუფლება და ებრძოლათ დამხობილი დაშნაკების წინააღმდეგ. აჯანყებული მუშებისა და გლეხების სახელით სომხეთის რევკომმა 30 ნოემბერს რსფსრ სახკომსაბჭოს, პირადად ვ. ი. ლენინს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც იტყობინებოდა, რომ დაშნაკების დანაშაულებრივი პოლიტიკით აღმფოთებულმა მუშებმა და გლეხებმა აჯანყების დროშა აღმართეს.

„ჩვენ, — ნათქვამი იყო დეპეშაში, — წინ მივდივართ იმის სრული რწმენით, რომ აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელი — სოციალისტური რუსეთის გამართული წითელი არმია — აღმოგვიჩენს რეალურ დახმარებას ჩვენს მძიმე ბრძოლაში“.

სომხეთის რევკომის თავმჯდომარის ს. კასიანის სახელზე გამოგზავნილ საპასუხო დეპეშაში ვ. ი. ლენინი წერდა: „თქვენი სახით მივესალმები იმპერიალიზმის ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ მშრომელ საბჭოთა სომხეთს“¹.

დაშნაკური სომხეთის კონტრრევოლუციური ნაძირალები, რომლებიც ბოლომდე არ იყვნენ გაცამტვერებული, ერთხელ კიდევ შეეცადნენ ზიანი მიეყენებინათ სომეხი ხალხისათვის.


1921 წლის თებერვალში ე. წ. „ხსნის კომიტეტმა“ თავისი იმპერიალისტი ბატონების წაქეზებითა და დახმარებით მოაწყო ავანტიურისტული სამხედრო გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სომხეთის მშრომელებმა წითელი არმიის ნაწილების დახმარებით გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს კონტრრევოლუციას და უმოკლეს ვადაში მოახდინეს დაშნაკების აჯანყების ლიკვიდაცია.

* * *

სომხეთმა თუმცა მიიღო დამოუკიდებლობა, მაგრამ იგი სისხლისაგან იყო დაკლილი, ქვეყანაში გრძელდებოდა შიმშილი და ეპიდემია.

შეიტყო რა სომხეთის მძიმე მდგომარეობა ვ. ი. ლენინი თავის დეპეშაში 1921 წლის 9 აპრილს გ. კ. ორჯონიკიძეს წერდა: „მივიღე თქვენი დაშიფრული დეპეშა, რომ სურსათის მხრივ ამიერკავკასიაში საშინელი მდგომარეობაა. ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი ღონისძიებანი, ცოტაოდენი ოქრო მივეციო

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 42, გვ. 61.



სომხეთს, დავადასტურეთ სასურსათო კომიტეტისათვის მიცემული ყოველგვარი დავალებანი“².

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ სომხეთს მისცა 1,5 მილიონი ოქროს მანეთი. სომხეთს გაეწია დახმარება სურსათით, ტანსაცმლით, მედიკამენტებით, სათბობით. ა. ფ. მიასნიკიანის თაოსნობით ჩამოყალიბდა ლტოლვილთა საქმეების მთავარი სამმართველო, რომლის თავმჯდომარე სარგებლობდა სახალხო კომისრის უფლებებით.

ვ. ი. ლენინის მამობრივი მზრუნველობის შედეგად, რსფსრ და სხვა რესპუბლიკის უანგარო დახმარებით შიმშილობა და ეპიდემია სომხეთში უმოკლეს დროში ლიკვიდირებულ იქნა, ლტოლვილებსა და ობლებს მიეცათ თავშესაფარი და სამუშაო.

სომხეთის მშრომელებისათვის სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ პირველი რიგის ამოცანა მდგომარეობდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამისათვის ჰქონდა დაშნაკების ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დამსხვრევას და ახალი საბჭოთა აპარატის შექმნას. ვ. ი. ლენინი ძველი სახელმწიფო მანქანის მსხვრევას უშუალოდ უკავშირებდა ახლის შექმნას. პროლეტარიატისათვის ეს ორი ამოცანა ერთმანეთისაგან განუყოფელ მთლიანს შეადგენდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე სომეხი ხალხი შეუდგა ამ ამოცანის განხორციელებას. განადგურებულ იქნა დაშნაკური აპარატი და შეიქმნა სომხეთის რევკომი, რომელიც ასრულებდა უმაღლეს საკანონმდებლო, განმკარგულებელ და საკონტროლო ორგანოს ფუნქციებს. ცალკეული დარგების სახელმწიფოებრივი მართვისათვის შეიქმნა სახალხო კომისარიატები. სომხეთის რევკომი დიდ ყურადღებას აქცევდა ხელისუფლების ორგანოების შექმნას ადგილებზე. ესენი იყვნენ სამაზრო, საუბნო, სასოფლო რევკომები.

რევკომები იქმნებოდა დანიშნით და ითვლებოდა სახელმწიფო ხელისუფლების დროებით ორგანოებად.

სომხეთის რევკომის მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა დამხობილი რეჟიმის სასამართლო ორგანოების დამსხვრევა და მართლმსაჯულების და პროკურატურის ახალი ორგანოების შექმნა.

საბჭოთა სომხეთის საგარეო პოლიტიკა მშვიდობისმოყვარული იყო. იგი მეგობრულ ურთიერთობას ამყარებდა მეზობელ სახელმწიფოებთან, ამასთანავე ააშკარავებდა ანტანტის იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიულ პოლიტიკას მცირე ერების მიმართ.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა ეროვნული შუღლის ლიკვიდაციამ და სომხებსა და რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის, პირველ რიგში აზერბაიჯანელებთან ძმობის და მეგობრობის პოლიტიკის გატარებამ.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება ნიშნავდა გარდატეხას არა მარტო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაშიც. განხორციელდა მთელი რიგი ეკონომიური გარდაქმნები: მიწის, წყლის, სარწყავი სისტემის და მრეწველობის ნაციონალიზაცია. ნაციონალიზებულ იქნა კავანის და ალავერდის საბადოები, აგრეთვე ინდოევროპული ტელეგრაფი რესპუბლიკის ტერიტორიაზე. რევკომის დეკლარ-

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 510.

რაციით ანულირებულ იქნა ყველა სახელმწიფო ვალი, რაც სომხეთს ანტანტისა (კერძოდ ამერიკის) მართებდა. ლიკვიდირებულ იქნა სომხეთის ყველა ვასალური ვალდებულება ანტანტის მიმართ. სომხეთის სსრ სახკომსაბჭოს 1921 წლის 28 ივლისის დეკრეტით ანულირებულ იქნა ე. წ. დამოუკიდებლობის სესხი.

სომხეთის სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამართლებრივ აქტებს ფინანსების შესახებ. სომხეთის ფინანსთა სახალხო კომისარიატის აქტებით 1920 წლის 28 და 31 დეკემბერს განხორციელდა კერძო ბანკების გაერთიანება და შეიქმნა სომხეთის სსრ სახელმწიფო ბანკი.

ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებამ დაშნაკური რეჟიმისაგან მემკვიდრეობით მიიღო თითქმის მთლიანად განადგურებული სახალხო მეურნეობა.

ეყრდნობოდა რა საბჭოთა რუსეთის დახმარებას, რესპუბლიკის მთავრობა აღადგენდა დანგრეულ საწარმოებს, საფუძველს უყრიდა მრეწველობის ახალ დარგებს, კერძოდ საფეიქრო მრეწველობას, პირველ ნაბიჯებს დგამდა ეროვნული ეკონომიკის აღორძინების გზაზე.

ამ დარგში სახელმწიფო ხელმძღვანელობას ახორციელებდა სახალხო მეურნეობის საბჭო. იგი იყო, როგორც გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, ისეთივე მებრძოლი ორგანო ეკონომიკის დარგში, როგორც იყო სახალხო კომისართა საბჭო პოლიტიკის დარგში.

1921 წლის 21 მაისს სომხეთის რევკომი გარდაიქმნა სახალხო კომისართა საბჭოდ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა, ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე, ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი ა. ფ. მიასნიკიანი (მიასნიკოვი). მთელი თავისი ტალანტი და დაუშრეტელი ენერჯია დიდი საზოგადო მოღვაწისა მან შეაღია საბჭოთა ხელისუფლებას, სომეხი ხალხის ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

1921 წლის 20 ნოემბერს სომხეთის სახალხო კომისართა საბჭომ გამოაქვეყნა დროებითი დებულება მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების შესახებ, რომელშიც ლაპარაკი იყო აგრეთვე სომხეთის სსრ მომავალი კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების შესახებ. ერთდროულად შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია.

1921 წლის დეკემბრიდან — 1922 წლის იანვრამდე ჩატარდა არჩევნები საქალაქო საბჭოებში. ქ. ერევნის სტამბის მუშებმა თავის დეპუტატად ერევნის საბჭოში ერთხმად აირჩიეს ვ. ი. ლენინი. გაიმართა არჩევნები სასოფლო საბჭოების დეპუტატების, საუბნო, სამაზრო საბჭოების ყრილობის დელეგატებისა. არჩეულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტები, შეიქმნა დარგობრივი განყოფილებები.

სომხეთის კომუნისტური პარტიის ღონისძიებებმა, კერძოდ რევკომებიდან საბჭოებზე გადასვლამ, გამოიწვია მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკური აღმავლობა. სომხეთის მუშები და გლეხები ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს სომხეთის კ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მიერ საბჭოებში დეპუტატებად წამოყენებულ კანდიდატებს.

1922 წლის იანვარში რესპუბლიკის დედაქალაქ ერევანში ვაიხსნა საბჭოების სრულიად სომხეთის პირველი ყრილობა. ყველა მშრომელის სახელით ყრილობამ მისალმება გაუგზავნა რუს ხალხს.

ყრილობამ განიხილა ათი საკითხი, მათ შორის ორი ისეთი დიდმნიშვნელო-



ვანი, როგორც იყო სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღება და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა. ყრილობის მიერ მიღებულმა კონსტიტუციამ საკანონმდებლო წესით განამტკიცა ხალხის ეროვნული და სოციალური მონაწილეობა, სომხეთის მშრომელების, პირველ რიგში პროლეტარული მასების ბრძოლის გამოცდილება საბჭოთა ხელისუფლებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის. სომხეთის სსრ ძირითადი კანონი ბევრ რამეში ემსგავსებოდა რსფსრ-ს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებს. იგი განამტკიცებდა ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, ხელისუფლების ორგანოების მოღვაწეობის ძირითად საწყისებს, განსაზღვრავდა მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებს, მართლმსაჯულებისა და საარჩევნო სისტემას.

სომხეთის კონსტიტუციას ჰქონდა თავისებურებანიც, რაც გამომდინარეობდა რესპუბლიკის კონკრეტულ ისტორიულ, ეკონომიურ, ეროვნულ და სხვა პირობებიდან.

სომხეთის სსრ 1922 წლის კონსტიტუცია პასუხობდა სომხეთის მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს, წარმოადგენდა მათ ხელში პროლეტარიატის დიქტატურის, მუშათა და გლეხთა კლასის კავშირის სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცების მძლავრ იარაღს.

* * *

ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას.

ამიერკავკასიის ფედერაცია, როგორც მოძმე ხალხთა სახელმწიფოებრივი გაერთიანება, შეიქმნა კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ვ. ი. ლენინის ინიციატივით.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანება იმით იყო ნაკარნახევი, რომ თვითეულ რესპუბლიკას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულს არ შეეძლო გამკლავებოდა კაპიტალისტურ ქვეყნებს.

მჭიდრო პოლიტიკური კავშირი ამიერკავკასიის უზრუნველყოფდა გარეშე კონტრრევოლუციური ძალების მხრივ ხელყოფისაგან და განამტკიცებდა საბჭოთა ხელისუფლებას ახლო აღმოსავლეთის საზღვრებთან.

ამასთან ერთად ამიერკავკასიის რესპუბლიკების გამოყვანა მძიმე მდგომარეობიდან, მათი პოლიტიკური და ეკონომიური საფუძვლების განმტკიცება შესაძლებელი იყო მხოლოდ ამ მხარის ხალხთა ძალების გაერთიანებით, მათი ყველა რესურსების კოორდინაციის გზით.

1921 წლის 14 აპრილს ა. ფ. მისანიკოვის საშუალებით, რომელიც ამიერკავკასიაში გაიგზავნა სამუშაოდ, ვ. ი. ლენინმა აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიულთა რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს გაუგზავნა თავისი ცნობილი წერილი. ამ წერილში ნათქვამი იყო: „მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობის ნიმუშს.“³

ვ. ი. ლენინის წერილი ამიერკავკასიის კომუნისტებისათვის იქცა ბრძოლისა და შრომის პროგრამად.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 397.

1921 წლის 16 აპრილს ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის დაიდო შეთანხმება რკინიგზების გაერთიანების შესახებ. ისინი ერთიან სამმართველოს დაექვემდებარნენ. 1921 წლის 2 ივნისს შეიქმნა საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული ორგანო. 1921 წლის 3 ივნისს რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიურ ოსს გაერთიანებულ პლენუმზე, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, მთიულთა რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტის წევრები, მიიღეს რეზოლუცია „საქართველოსა და ამიერკავკასიაში კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების შესახებ“. საჭიროდ იქნა მიჩნეული ამ რესპუბლიკებს შორის ფედერალური კავშირის დამყარება „პირველ რიგში სამხედრო, სამეურნეო, საფინანსო დარგში და საგარეო პოლიტიკაში“⁴.

1921 წლის 7 ნოემბერს ამიერკავკასიის მეორე პარტიულმა თათბირმა მიიღო რეზოლუცია ფედერაციის შექმნის თაობაზე და ეს საბჭოების მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო.

ამგვარად განხორციელდა ვ. ი. ლენინის იდეა, რომელიც გადმოცემული იყო 1921 წლის 14 აპრილის მის ცნობილ წერილში.

ვ. ი. ლენინი აფრთხილებდა ამიერკავკასიის კომუნისტებს ბრმად არ წაებათ ცენტრალური რუსეთის კომუნისტების ტაქტიკისათვის სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხში, მოითხოვდა ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებას.

ვ. ი. ლენინის უახლოესი თანამებრძოლების ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვის, ა. მისანიკოვის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა ჩაატარეს ფართო მასობრივი მუშაობა, განუმარტეს მშრომელ მასებს ამიერკავკასიის ფედერაციის იდეა, დარაზმეს მშრომელები ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი გაერთიანების იდეის სულისკვეთებით.

1921 წლის 2 დეკემბერს სამი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის პრინციპები.


ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის დაჩქარების დევიზით ჩატარდა საბჭოთა სომხეთში საუბნო და სამაზრო ყრილობები, რომლებიც ერთსულოვნად მიესალმნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეას.

ცხოვრებამ დაადასტურა ფედერაციის შექმნის სისწორე: მნიშვნელოვნად განმტკიცდა საბჭოთა წყობილება, ეროვნული მშვიდობა და მეგობრობა ამიერკავკასიის ხალხებს შორის. ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის მშენებლობის დროს გამოვლინდა მისწრაფება, რომ კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი დამყარებულიყო ამიერკავკასიის ხალხებს შორის.

ასსრ ფედერაციული კავშირის გარდაქმნის საკითხი ასს ფედერაციულ რესპუბლიკად განხილულ იქნა ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე. ყრილობა შედგა 1922 წლის 10—13 დეკემბერს. ყრილობამ ამავე დროს დიდი აღფრთოვანებით განიხილა სსრ კავშირის შექმნის საკითხი. ამიერკავკასიის ხალხების ნების შესაბამისად, რომლებიც ესწრაფოდნენ კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი დამყარებინათ რესპუბლიკებს შორის, ყრილობამ დაადგინა შექმნილიყო ასს ფედერაციული რესპუბლიკა და მიიღო მისი კონსტიტუცია. კონსტიტუცია შეიცავს ასს ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის მიზეზებისა და მიზნების ამომწურავ დახასიათებას.

განამტკიცეს რა ამიერკავკასიის ფედერაცია, სომხეთის, საქართველოს და

⁴ «Образование СССР, сб. документов 1917—1924 гг.», М., 1947, გვ. 273.



აზერბაიჯანის პარტიულმა ორგანიზაციებმა საბოლოოდ გაანადგურეს კონტრ-რევოლუციური პარტიების — დაშნაკების, მენშევიკებისა და მუსავატელთა უკანასკნელი დასაყრდენი — კულაკობა.

საკითხი „ვინ ვის“ სოციალიზმის სასარგებლოდ გადაწყდა როგორც სოფლად, ისე ქალაქად.

ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის პერიოდში მომზადდა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც წარმატებით უძღვებოდნენ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობას ეროვნულ რესპუბლიკებში, წარმოიშვა მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენციის მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც წარმატებით ენაცვლებოდნენ ძველ კადრებს და აქტიურად მონაწილეობდნენ თავიანთი რესპუბლიკების სოციალისტურ მშენებლობაში. ყოველი მათგანი ფართო ეკონომიურ კავშირს ამყარებდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან.

ამიერკავკასიის ფედერაციამ წარმატებით გადაწყვიტა მის წინაშე დასმული ამოცანები. 1936 წელს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის ფედერაციაში გაერთიანებული რესპუბლიკები უშუალოდ შევიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში.

კომუნისმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა რესპუბლიკების ერებმა მიაღწიეს განვითარების ისეთ დონეს, როცა აუცილებელი ხდება სამეურნეო კავშირების ურთიერთგაძლიერება და გადრმავეება, მთელი ძალდონის იქითკენ წარმართვა, რომ გადაწყდეს დიდი ეკონომიური ამოცანები სარესპუბლიკათშორისო ობიექტების ერთობლივი მშენებლობისა, როცა საჭიროა მეტი ურთიერთდახმარება ქარხნების, ფაბრიკების და ტრანსპორტის მშენებლობასა და ექსპლოატაციაში, ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებაში.

ეროვნული რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ამოცანათა გადაწყვეტაში დიდ როლს თამაშობს რესპუბლიკების სამეურნეო-კულტურულ მშენებლობაში არსებულ გამოცდილებათა სისტემატური გაზიარება, მათ სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებს, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებს შორის არსებული სოციალისტური შეჯიბრება.

ეროვნული სახელმწიფოებრიობის როლი და მნიშვნელობა ყოველივე ამის განხორციელებაში განუზომელია, ამიტომაც აუცილებელია მისი ყველა ფორმის შემდგომი სრულყოფა. ამრიგად, წარმოადგენს რა ჩვენი ქვეყნის ერებისა და ხალხების სამეურნეო და კულტურული განვითარების იარაღს, საბჭოთა სახელმწიფოებრიობა ასრულებს და კვლავაც შეასრულებს სულ უფრო მნიშვნელოვან როლს სოციალისტური ერებისა და ხალხების დაახლოების, მათი ერთიანობისა და შეკავშირების საქმეში.

XIV საუკუნეში დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრიობა სომეხმა ხალხმა აადორძინა და საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შექმნა აყვავებული რესპუბლიკა, რომელიც სსრ კავშირის ხალხების ძმურ ოჯახში აშენებს თავის ბედნიერ კომუნისტურ მომავალს.

ფრიდრიხ ენგელსი

პროფ. ბ. ასათიანი

150 წელი შესრულდა მუშათა კლასის დიდი ბელადისა და მასწავლებლის, კარლ მარქსის თანამებრძოლისა და მეგობრის ფრიდრიხ ენგელსის დაბადებიდან.

ენგელსი დაიბადა 1820 წლის 28 ნოემბერს პრუსიის სამეფოს რაინის პროვინციის ქ. ბარმენში, მეფაბრიკის ოჯახში. 1834 წელს იგი შეჰყავთ ადგილობრივ სკოლაში, საიდანაც გადადის ქ. ელბერფელდის გიმნაზიაში. 1837 წელს, მამის დაჟინებული მოთხოვნით, ენგელსი იძულებულია მიატოვოს გიმნაზია და შეუდგეს სავაჭრო საქმის შესწავლას. 1838 წელს მუშაობას იწყებს ქ. ბრემენის მსხვილ სავაჭრო კანტორაში. მაგრამ ჩქარა ცხადი გახდა, რომ კომერციული საქმიანობისათვის იგი სრულიად არ იყო მოწოდებული. სამუშაოსაგან თავისუფალ საათებში ენგელსი გატაცებით ეწაფება ოპოზიციურ და პროგრესულ ლიტერატურას, უახლოვდება რადიკალური, დემოკრატიული და თვით სოციალისტური იდეების მატარებელ ინტელიგენციის წრეებს, ხდება რევოლუციონერ-დემოკრატი.

1841 წლიდან სამხედრო სამსახურში გაწვეული ენგელსი თავისუფალ დროს ბერლინში ესწრება ლექციებს, გატაცებით სწავლობს ჰეგელის ფილოსოფიას და ემხრობა ახალგაზრდა ჰეგელიანელებს. მაგრამ ჰეგელის ფილოსოფიის გავლენასაც კი მისთვის ხელი არ შეუშლია დარჩენილიყო რევოლუციური დემოკრატიზმისა და ათეიზმის პოზიციებზე. ახალგაზრდა ჰეგელიანელების უმრავლესობისაგან განსხვავებით ენგელსი, განსაკუთრებით ბროშურაში „შელინგი და გამოცხადება“ (1842) აშკარად ეწევა ათეისტური და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდას, აკრიტიკებს არა მარტო შელინგის რეაქციულ ფილოსოფიას, არამედ თვით ჰეგელის კონსერვატულ პოლიტიკურ შეხედულებებსაც. ენგელსი ღრმად არის დარწმუნებული რეაქციაზე რევოლუციონისა და პროგრესის ძალების გარდუევალ გამარჯვებაში.

1842 წლიდან ენგელსი აქვეყნებს წერილებს „რაინის გაზეთში“, რომელსაც იმავე წლის ოქტომბრიდან კ. მარქსი რედაქტორობს. ამ პერიოდში აშკარად შეინიშნება ენგელსის გადასვლა რევოლუციური დემოკრატიზმიდან სოციალიზმზე, იდეალიზმიდან — მატერიალიზმზე. მაგრამ ენგელსის შეხედულებათა ფორმირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის მოღვაწეობას ინგლისში, კერძოდ, ქ. მანჩესტერში, სადაც 1842 წლის ოქტომბრიდან იძულებით იწყებს მუშაობას მამის სავაჭრო კანტორაში. აქ ენგელსი ეცნობა სოციალ-უტოპისტების მოძღვრებას, აღრმავებს თავის ცოდნას პოლიტიკურ ეკონომიაში, ცდილობს მჭიდრო კავშირი დაამყაროს ინგლისის მუშათა კლასის პოლიტიკურ ორგანიზაციებთან.

ინგლისში ენგელსი საბოლოოდ დგება რევოლუციური პროლეტარიატის პოზიციებზე. ეს დადასტურდა მისი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკული ნარკვევებით“ (1843 წლის დასასრული — 1844 წლის იანვარი), სადაც ენგელსი,

როგორც უკვე საბოლოოდ ფორმირებული სოციალისტი, კაპიტალისტური ეკონომიური წყობილების ძირითად მოვლენებს კერძო საკუთრების ბატონობის შედეგებად მიიჩნევს. სტატია გამოქვეყნდა „გერმანულ-ფრანგულ ყოველწლიურში“, რომელსაც კ. მარქსი და ა. რუგე გამოსცემდნენ და კ. მარქსის დიდი მოწონება დაიმსახურა. მარქსის სიტყვებით, აქ მოცემულია პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიების კრიტიკის გენიალური მონახაზი. ამ ნაწარმოებში მოცემულია ჩანასახი ბევრი იდეისა, რომლებიც შემდგომში კლასიკური ფორმით დაამუშავეს მარქსმა და ენგელსმა; ნაშრომში მხილებულია კაპიტალიზმის პირდაპირი თუ შენიღბული აპოლოგეტიკა, პირველად არის დასმული ეკონომიური პროცესების ობიექტურობისა და სტიქიურობის პრობლემა და სხვ.

ინგლისის სოციალურ-კლასობრივი განვითარება კიდევ უფრო სრულყოფილად არის ასახული წიგნში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, რომელზეც ენგელსი მუშაობდა 1844-45 წწ. სოციალ-უტოპისტებისაგან განსხვავებით, ენგელსმა პირველმა სთქვა, რომ პროლეტარიატი არ არის მხოლოდ დატანჯული კლასი; რომ სწორედ ის სამარცხვინო ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიც პროლეტარიატი იმყოფება, შეუჩერებლად მიაქანებს მას წინ და აიძულებს იბრძოლოს თავისი საბოლოო განთავისუფლებისათვის. ხოლო მებრძოლი პროლეტარიატი „თვითონ უშველის თავის თავს“¹.

ამ შრომაში ფ. ენგელსმა დაასაბუთა მუშათა კლასის მოძრაობისა და სოციალიზმის კავშირის აუცილებლობა, მიუთითა, რომ მუშათა კლასის პოლიტიკური მოძრაობა გარდუვალად მიიყვანს მუშებს სოციალიზმთან კავშირის აუცილებლობის შეგნებამდე; მეორე მხრივ სოციალიზმი მხოლოდ მაშინ გადაიქცევა რეალურ ძალად, როდესაც იგი მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის მიზანი გახდება.

ფრ. ენგელსის მატერიალისტური მსოფლმხედველობის შემუშავებაში დიდი როლი შეასრულა ლ. ფოიერბახმა. ამ გარემოებას არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნავდა თვით ენგელსი. მაგრამ ამ გავლენის პერიოდშიც კი ენგელსი არასოდეს არ ყოფილა „მართლმორწმუნე ფოიერბახიანელი“. კაპიტალისტური საზოგადოების ცხოვრებასთან ყოველდღიური პრაქტიკული კავშირი მას თანდათანობით არწმუნებს, რომ იდეალისტური თვალსაზრისი არა თუ არ იძლევა სოციალური სინამდვილის სწორ ახსნას, არამედ პირიქით, დამახინჯებულად ასახავს მას.

ფრიდრიხ ენგელსის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის საბოლოო ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მისმა დაახლოებამ კ. მარქსთან. ეს დაახლოება 1844 წელს დაიწყო პარიზში. მარქსისა და ფ. ენგელსის მეგობრობისა და მსოფლმხედველობრივი ერთიანობის პირველი სერიოზული ნაყოფია ერთობლივი ნაშრომი „წმინდა ოჯახი ანუ კრიტიკული კრიტიკის კრიტიკა“, სადაც ისინი აშკარად დაუპირისპირდნენ ახალგაზრდა ჰეგელიანელებს და საფუძველი ჩაუყარეს რევოლუციურ-მატერიალისტურ სოციალიზმს. 1845-1846 წ. წ. მარქსი და ენგელსი ქმნიან მეორე ერთობლივ სქელტანიან ნაშრომს „გერმანული იდეოლოგია“, სადაც დაასრულეს ახალგაზრდა ჰეგელიანელების კრიტიკა, უჩვენეს ფოიერბახის მატერიალიზმის არათანმიმდევრობა და ამხილეს იმდროინდელი გერმანული ინტელიგენციის წრეებში გავრცელებული „ჭეშმარიტი სოციალიზმის“ წვრილბურჟუაზიული, რეაქციული ბუნება. ამ კრიტიკულ


ფონზე მარქსმა და ენგელსმა პირველად მოგვეცეს ახალი რევოლუციური მსოფლმხედველობის — მეცნიერული კომუნისმის ძირეული პრინციპების გაშლილი დახასიათება. მათ აქ პირველად განიხილეს საზოგადოებრივი განვითარება როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შეცვლის კანონზომიერი პროცესი, რასაც საფუძვლად უდევს საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარება; მარქსმა და ენგელსმა დაასაბუთეს კაპიტალიზმის დაღუპვის გარდუვალობა, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის აუცილებლობა. მოკლედ, „გერმანულ იდეოლოგიაში“ მთლიანი კონცეფციის სახით არის განვითარებული ისტორიის მატერიალისტური გაგება, რაც, თავის მხრივ, მეცნიერული კომუნისმის თეორიის უშუალო ფილოსოფიური საფუძველია. ამდენად სავსებით ლოგიკურია მარქსისა და ენგელსის მიერ მეცნიერული კომუნისმის თავისებურების ხაზგასმა, რაც, ამავ დროს, მეცნიერული სოციალიზმის უტოპიური სოციალიზმისაგან განსხვავებასაც გვიჩვენებს: „კომუნისმი, — წერდნენ ისინი, — ჩვენთვის არ არის მდგომარეობა, რომელიც უნდა დამყარდეს, არ არის იდეალი, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილე. კომუნისმს ვუწოდებთ ჩვენ **ნამდვილ** მოძრაობას, რომელიც სპობს ახლანდელ მდგომარეობას...“²

ამრიგად, „გერმანული იდეოლოგია“ უმნიშვნელოვანესი ეტაპია მარქსისა და ენგელსის იდეურ განვითარებაში, მათ მიერ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნისმის თეორიის შექმნაში. „გერმანული იდეოლოგიის“ ძირითადი იდეები შემდგომ განვითარებულა მარქსისა და ენგელსის სხვა შრომებში, პირველ რიგში კი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი არა მარტო პროლეტარიატის რევოლუციური იდეოლოგიის შემქმნელები იყვნენ, არამედ მისი კლასობრივი მოძრაობის პრაქტიკოსი ბელადებიც. იმთავითვე, პროლეტარიატის პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებთან ერთად, ისინი სათავეში უდგებიან მუშათა კლასის მოძრაობას. 1847 წ. მარქსისა და ენგელსის ინიციატივით ჩამოყალიბდა „კომუნისტური კავშირი“ — პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის ჩანასახი. 1847 წ. ოქტომბერში ენგელსმა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომუნისტთა კავშირის მეორე კონგრესის მომზადებაში, მოხაზა პარტიის პროგრამის პროექტი, რაც „კომუნისმის პრინციპების“ სახელით არის ცნობილი. იგი არსებითად წარმოადგენდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ პირველ მონახაზს.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ მეცნიერული კომუნისმის პირველი საპროგრამო დოკუმენტია. ამ ნაწარმოებში გადმოცემულია კლასებისა და კლასთა ბრძოლის მეცნიერული თეორია, დასაბუთებულია პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლი, თეორიულად არის დამუშავებული საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი — პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპი. „მანიფესტის“ გამოსვლით მთავრდება მეცნიერული კომუნისმის თეორიული, ფილოსოფიური საფუძვლების შემუშავების პერიოდი. „ამ ნაწარმოებში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გენიალური სიცხადით და სიმკვეთრით გადმოცემულია ახალი მსოფლმხედველობა, თანმიმდევრული

² კ. მარქსი, ფ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგიის“ პირველი თავის ახალი ბუბლიკაცია, 1968, გვ. 9.



მატერიალიზმი, რომელიც სოციალური ცხოვრების სფეროსაც მოიცავს, დიალექტიკა, როგორც უაღრესად ყოველმხრივი და ღრმა მოძღვრება განვითარებაზე, თეორია კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის, როგორც ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური როლისა³.

მარქსი და ენგელსი თანმიმდევრულად ანხორციელებდნენ „მანიფესტის“ იდეებს ცხოვრებაში, აქტიურად მონაწილეობდნენ 1848-1849 წლების რევოლუციურ ბრძოლებში. კერძოდ, ფრ. ენგელსი უშუალოდ მონაწილეობდა გერმანელი მშრომელი მასების შეიარაღებულ ბრძოლაში რეაქციის ძალებთან. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მარქსიზმის საგანძურში განსაკუთრებული ადგილი უკავია ენგელსის პირადი პრაქტიკული რევოლუციური გამოცდილების ბაზაზე შექმნილ მის ისეთ შრომებს, როგორიცაა: „გლენთა ომი გერმანიაში“ (1850), „რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში“, (1851-1852 წწ.) და სხვ. ამ და მთელ რიგ შემდეგდროინდელ ნაწარმოებებში ენგელსი დიდ ყურადღებას უთმობს რევოლუციური ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხების დამუშავებას, განიხილავს მათ პროლეტარიატის პრაქტიკული გამოცდილების თვალსაზრისით; კონკრეტული ისტორიული მასალის ბაზაზე იგი ანალიზებს პროლეტარული რევოლუციის ძირითად ეტაპებს, მამოძრავებელ ძალებსა და წინამძღვარებს, განსაზღვრავს გლენობის ადგილსა და როლს კლასობრივ ბრძოლაში, ასაბუთებს მუშათა კლასისა და გლენობის მტკიცე კავშირის აუცილებლობას. ამავე დროს ენგელსი იყო პირველი სამხედრო მარქსისტი-თეორეტიკოსი, რომელმაც დაამუშავა მოძღვრება შეიარაღებული აჯანყების, როგორც ხელოვნების, შესახებ.

ფრ. ენგელსის დაძაბული თეორიული და პრაქტიკული მოძღვრების ერთიანობა განსაკუთრებით ნათლად ვლინდება 70-იან წლებში. ამ პერიოდში იგი აქტიურად იბრძვის ერთი მხრივ ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ხოლო მეორე მხრივ ინტერნაციონალის შიგნით მოკალათებული მუშათა მოძრაობის მტრების წინააღმდეგ. განსაკუთრებით მკაცრად და დაუნდობლად ამხელს ანარქისტულ მიმდინარეობათა წვრილბურჟუაზიულ ბუნებას, ასაბუთებს, რომ ბაკუნისტები, ბლანკისტები და პრუდონისტები, რომლებიც მეტისმეტად გააქტიურდნენ პარიზის კომუნის წინ და მარცხის შემდეგ, ავანტიურიზმის გზით მიაქანებენ მუშათა მოძრაობას, რითაც არსებითად ხელს უწყობენ ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცებას.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის დამუშავებასთან ერთად აუცილებელი გახდა მარქსიზმის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემდგომი განვითარება და დაცვა. ეს ამოცანა წარმატებით არის გადაჭრილი ფრ. ენგელსის მთელ რიგ შრომებში, კერძოდ პოლემიკური ხასიათის ნაშრომში „ანტი-დიურინგი“. ეს წიგნი თავისებური შეჯამებაა მარქსიზმის ოცდაათწლიანი განვითარებისა. დიურინგის „სისტემის“ კრიტიკამ ენგელსს შესაძლებლობა მისცა გადმოეცა მარქსის და საკუთარი შეხედულებები, მოეცა, მისივე სიტყვებით, ფილოსოფიური, ბუნებათმეცნიერული და ისტორიული პრობლემების ენციკლოპედიური გამოკვლევა. მარქსიზმის ენციკლოპედიად წოდებული ამ ნაწარმოების სამი განყოფილება — „ფილოსოფია“, „პოლიტიკური ეკონომია და „სო-

ციალიზმი“ — არის მარქსისა და ენგელსის მოძღვრების სამი წყაროსა და სამი შემადგენელი ნაწილის ყოველმხრივი და სრულყოფილი გადმოცემა.

„ანტი-დიურინგი“ პირველ ყოვლისა ფილოსოფიური ნაწარმოებია. ენგელსი თანმიმდევრულად იცავს ფილოსოფიის პარტიულობის პრინციპს და ამხელს დიურინგს ე. წ. „მესამე ფილოსოფიური ხაზის“ ძიების ამოებაში. დიურინგის ეკლექტიკურ შეხედულებებს ენგელსი უპირისპირებს დიალექტიკური მატერიალიზმის ძირეულ პრინციპებს. იგი აკრიტიკებს დიურინგს ე. წ. აბრიორისტული მეთოდის გამოყენებისათვის, რაც გარემომცველი სამყაროს შესახებ ცნებების არაცდისეული, წმინდა ლოგიკური წარმოშობის რწმენას ემყარება. ენგელსი უჩვენებს, რომ ესაა იდეალისტური შეხედულება, რომელიც თავდაღმა აყირავებს ნამდვილ მიმართებას, ნამდვილ სამყაროს აგებს აზრებისაგან, ნაცვლად იმისა, რომ პირიქით მოიქცეს. ცნობიერება, ამბობს ენგელსი, ადამიანის ტვინის პროდუქტია, ხოლო თვით ადამიანი — ბუნების პროდუქტი. მასასაღამე, უკვე ამის გამო, აზროვნების და ბუნების კანონები ერთიმეორეს ეთანხმება. აზროვნება არის მატერიალური სამყაროს, ყოფიერების ასახვა. ამიტომ პრინციპები, ძირითადი ფილოსოფიური კატეგორიები კვლევა-ძიების გამოსავალი კი არ არის, არამედ შედეგები; ბუნება კი არ ესატყვისება პრინციპებს, არამედ პირიქით, პრინციპები იმდენად არიან სწორი, რამდენადაც ისინი ბუნებასა და ისტორიას ესატყვისებიან, აბსტრაპირებული არიან მათგან.

დიურინგის ეკლექტიკურ ფილოსოფიურ შეხედულებათა კრიტიკის ფონზე ენგელსი ავითარებს დიალექტიკურ-მატერიალისტური ფილოსოფიის ძირეულ დებულებებს სამყაროს მატერიალურობის, დროისა და სივრცის ობიექტურობის შესახებ, ასაბუთებს, რომ „სამყაროს ნამდვილი ერთიანობა მდგომარეობს მის მატერიალურობაში“. სამყაროს უსასრულოდ მრავალფეროვანი მოვლენები მხოლოდ მატერიის მოძრაობისა და განვითარების სხვადასხვა ფორმებია. სინამდვილეში არაფერი არ არსებობს, გარდა მოძრავი მატერიის მრავალფეროვანი ფორმებისა. „მოძრაობა არის მატერიის არსებობის ფორმა“ — ასეთია ენგელსისეული განმარტება. დიურინგის საპირისპიროდ ენგელსი ასევე ასაბუთებს, რომ დრო და სივრცე მატერიის არსებობის ძირითადი ფორმებია, რომ ყოფიერება დროის გარეშე ისეთივე უაზრობაა, როგორც ყოფიერება სივრცის გარეშე.

ენგელსი გვაძლევს დიალექტიკის ყოველმხრივ დახასიათებას და გვიჩვენებს მის პრინციპულ განსხვავებას აზროვნების მეტაფიზიკური წესისაგან. დიალექტიკური აზროვნების წესი ფილოსოფიური აზროვნების უმაღლესი მონაპოვარია. მაგრამ დიალექტიკა მის იდეალისტურ, ჰეგელიანურ ფორმაში წარმოადგენდა ასახვას „იდეისა“, რომელიც წინ უსწრებს სამყაროს წარმოშობას. ჰეგელის დიალექტიკის ძირეული, მატერიალისტური გადაამუშავების ამოცანა დაეკისრათ მარქსსა და ენგელსს. „მარქსი და მე, — წერდა ენგელსი, — თითქმის ერთადერთი ადამიანები ვიყავით, რომლებმაც გერმანული იდეალისტური ფილოსოფიიდან შეგნებული დიალექტიკა გადავარჩინეთ და ბუნებისა და ისტორიის მატერიალისტურ გაგებაში გადავიტანეთ.“⁴

„ანტი-დიურინგში“ ენგელსმა დაამუშავა მოძღვრება დიალექტიკის ძირითად კანონებზე, კლასიკურად განმარტა დიალექტიკა, როგორც მეცნიერება, მოგვცა დიალექტიკის ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორიების ღრმა ანალიზი,

⁴ ფრ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი“, 1952, გვ. 3.

როგორცაა აუცილებლობა და შემთხვევითობა, არსება და მოვლენა, მიზეზი და ურთიერთქმედება. ენგელსმა გაარკვია აუცილებლობისა და თავისუფლების დიალექტიკა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დიალექტიკური მატერიალიზმის და ისტორიული მატერიალიზმის ერთიანობის დასაბუთებისათვის.

„ანტი-დიურინგი“ ეკონომიურ ნაწილში ფრ. ენგელსი განმარტავს კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების ძირითად დებულებებს, პირველად აყალიბებს პოლიტეკონომიის ცნებას ფართო აზრით, განსაზღვრავს მას, როგორც მეცნიერებას „იმ კანონების შესახებ, რომლებიც განაგებენ მატერიალურ საარსებო საშუალებათა წარმოებასა და გაცვლას ადამიანთა საზოგადოებაში“⁵.

ფრ. ენგელსი შემდგომ ავითარებს მარქსის თვალსაზრისს წარმოების, გაცვლა-გამოცვლისა და განაწილების დიალექტიკური ურთიერთქმედების შესახებ, ასაბუთებს საზოგადოებრივი წარმოების პრიმატის მატერიალისტურ პრინციპს და აღნიშნავს, რომ თუმცა წარმოებისა და გაცვლის წესები განსაზღვრავენ განაწილების წესის ხასიათს, „მაგრამ განაწილება წარმოების და გაცვლის უბრალო პასიურ შედეგს როდი წარმოადგენს; იგი თავის მხრივ უკუზეგავლენას ახდენს წარმოებასა და გაცვლაზე. წარმოების ყოველ ახალ წესს ან გაცვლის ახალ ფორმას თავდაპირველად აფერხებს არა მარტო ძველი ფორმები ან მათი შესაფერი პოლიტიკური დაწესებულებები, არამედ აგრეთვე განაწილების ძველი წესიც“⁶.

ფრ. ენგელსის აღნიშნულ დებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიის მატერიალისტური გაგების შემდგომი დასაბუთებისათვის, რამდენადაც იგი გვიხსნის საზოგადოების მატერიალური ცხოვრების თვითმოძრაობას, ბაზისის სფეროს ელემენტთა შინაგან დიალექტიკას.

ამასთან დაკავშირებით ენგელსი აკრიტიკებს დიურინგის ვულგარულ-იდეალისტურ კონცეფციას, რომელიც განაწილებას წყვეტდა წარმოებისა და გაცვლისაგან და ცდილობდა აეხსნა იგი ძალმომრეობით, ე. ი. განაწილების საფუძვლად მიიჩნევდა არა ეკონომიურ, არამედ ზედნაშენურ — კერძოდ სამართლებრივ და მორალურ ფაქტორებს. ენგელსი ასაბუთებს, რომ ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე ძალმომრეობა წარმოადგენდა ეკონომიური პროცესების შედეგს და არა მიზეზს. მაგრამ ძალმომრეობის მეორადობა არ ნიშნავს, რომ იგი არ ზემოქმედებს ეკონომიურ პროცესებზე. პირიქით, ისეთი უმნიშვნელოვანესი ზედნაშენური ელემენტი, როგორც არის პოლიტიკური ძალაუფლება, შეიძლება ხელს უშლიდეს, ან პირიქით, ხელს უწყობდეს ეკონომიურ განვითარებას. ორივე შემთხვევაში პოლიტიკური ზემოქმედება აქტიური ხასიათისაა, მაგრამ რა გინდ აქტიურ მაიძულებელ ზემოქმედებასაც არ უნდა ახდენდეს ეკონომიურ განვითარებაზე, პირველი მაინც უკანასკნელითაა განსაზღვრული.

ძალმომრეობის ისტორიული როლის მეცნიერული შეფასებიდან გამომდინარე დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ იგი რევოლუციურ როლსაც ასრულებს, კ. მარქსის სიტყვებით, „ბებიაქალია ყოველი ძველი საზოგადოებისა, რომელიც ორსულადაა ახლით“. ფრ. ენგელსი იმოწმებს კ. მარქსის ამ სიტყვებს და მიუთითებს, რომ „ძალმომრეობა იარაღია, რომლის შემწეობითაც საზოგადოებრივი მოძრაობა გზას იკვალავს და გაქვავებულ მომავლად პოლიტიკურ ფორმებს ამსხვრევს“⁷.

⁵ ფ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი“, გვ. 173.

⁶ იქვე; გვ. 175.

⁷ იქვე; გვ. 217.

ენგელსი უჩვენებს კ. მარქსის უდიდეს დამსახურებას, რაც გამოიხატა ზედმეტი ღირებულების საიდუმლოების ახსნაში. ამით მარქსმა საბურველი ჩამოაცალა კაპიტალისტური ზემოგების მექანიზმსაც, ე. ი. ზედმეტი ღირებულების მეცნიერული თეორიის შექმნით შესაძლებელი გახდა კაპიტალისტური ექსპლუატაციის წყაროს გარკვევა.

წინააღმდეგ დიურინგისა, რომელიც ათვალწუნებით ეკიდებოდა დიდ სოციალ-უტოპისტებს, ფრ. ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავს მათ დამსახურებას სოციალისტური აზროვნების ისტორიის წინაშე. მაგრამ უტოპისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც ახალი საზოგადოების შექმნას მხოლოდ მოაზროვნე გონების ამოცანად თვლიდნენ, ენგელსი მიუთითებს სოციალიზმის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გადამწყვეტ როლზე, ასახულებს, რომ მეცნიერული სოციალიზმი ემყარება კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა მეცნიერულ ანალიზს, საწარმოო ძალესა და წარმოებით ურთიერთობებს შორის კონფლიქტის გამწვავებას, რაც გარდუვალად მიიქანებს კაპიტალიზმს დაღუპვისაკენ. ენგელსი იძლევა კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის — წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის წინააღმდეგობის კლასიკურ ფორმულირებას და ასკვნის, რომ ეს წინააღმდეგობა ვლინდება პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის კლასობრივ წინააღმდეგობაში. წარმოების კაპიტალისტური წესის ლიკვიდაცია, ექსპლუატაციის მოსპობა, სოციალისტური წყობილების შექმნა, ენგელსის მიხედვით, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა „**პროლეტარიატი სახელმწიფო ძალაუფლებას იპყრობს და, უწინარეს ყოვლისა, წარმოების საშუალებებს სახელმწიფოს საკუთრებად აქცევს**“.⁸

„ანტი-დიურინგი“ ენგელსი წინასწარ ჭკრეტს აგრეთვე იმ ტენდენციებს, რომლებიც სრულად გამოვლინდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში, შემდგომ ავითარებს მარქსისტულ თეორიას კლასების წარმოშობის, სახელმწიფოს, ოჯახის, აღზრდის, რელიგიის და სხვ. საკითხებში.

უკანასკნელ პერიოდში „ანტი-დიურინგი“ ბურჟუაზიული და რევინიონისტი „მარქსოლოგების“ გააფთრებული თავდასხმების ობიექტად იქცა. ამ თავდასხმების მიზანია მარქსისა და ენგელსის მსოფლმხედველობრივი ერთიანობის ფაქტის ეჭვქვეშ დაყენება, ენგელსის ჩამოშორება მარქსიზმისაგან. ანტიმარქსისტი იდეოლოგიები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ენგელსის ფილოსოფიური დებულებები არ ეთანხმება მარქსის თვალსაზრისს, უპირისპირდება მარქსის მიერ საზოგადოებრივი პროცესების ბუნების გაგებას. მაგრამ საყოველთაოდაა ცნობილი, რომ „ანტი-დიურინგის“ დებულებები მარქსისა და ენგელსის უმაგალითო შემოქმედებითი თანამეგობრობის ნაყოფია. მარქსი ხელნაწერით იცნობდა „ანტი-დიურინგს“, ეთანხმებოდა მის ყოველ ფრაზას, მის მიერაა დაწერილი წიგნის მე-10 თავი „კრიტიკული ისტორიიდან“, რომელიც ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორიას შეეხება.

ღიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემდგომი დაცვა-განვითარება მოითხოვდა მეთოდოლოგიური პრობლემების, კერძოდ ღიალექტიკური მატერიალიზმისა და ბუნებათმცოდნეობის ურთიერთობის შემდგომ ანალიზს. ამ თვალსაზრისით განუზომელია მნიშვნელობა ენგელსის წიგნისა „ბუნების ღიალექტიკა“ (1882 წ.), რომელიც პირველად 1925 წელს გამოიცა. ამ ნაშრომში ენგელსი აგრძელებს სინამდვილის უზოგადესი კანონების კვლევას, არკვევს მა-

⁸ ფ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი“, გვ. 333.

ტერიალისტური დიალექტიკის უმნიშვნელოვანესი კატეგორიების შინაარსს და ადგენს მათ მნიშვნელობას სინამდვილის შემეცნებისა და გარდაქმნისათვის. ნამუშაოში განზოგადებულია ბუნებისმეტყველების ახალი მონაცემები, აღნიშნულია, რომ ბუნებაში მიმდინარე პროცესების ურთიერთკავშირის შემეცნება განსაკუთრებით წინ წავიდა XIX საუკუნის ბუნებათმეცნიერების სამი დიდი აღმოჩენის წყალობით: ცხოველისა და მცენარის უჯრედის, ენერჯის შენახვისა და გარდაქმნის კანონის აღმოჩენისა და ცხოველთა და მცენარეთა განვითარების შესახებ დარჯინის მოძღვრების მეოხებით.

ბუნებათმეცნიერების უმნიშვნელოვანეს მონაპოვრებზე დაყრდნობით ენგელსი გადმოსცემს დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის ბუნებისმეტყველურ-მეცნიერულ წანამდვრებს. სამყარო განუსაზღვრელია დროსა და სივრცეში. მატერია განუწყვეტელ მოძრაობასა და ცვალებადობაში იმყოფება. მატერიის მრავალფეროვან მოძრაობას ადგილი აქვს როგორც მის უმარტივეს ფორმებში, ისე ცნობიერ არსებათა სიცოცხლესა და აზროვნებაში. მატერია და მოძრაობა მოუსპობადია რაოდენობრივადაც და თვისობრივადაც.

მატერიის მოძრაობის ფორმათა შესახებ მოძღვრების საფუძველზე ენგელსი აგებს მეცნიერებათა დიალექტიკურ-მატერიალისტურ კლასიფიკაციას, სადაც თითოეული მეცნიერება იკვლევს მოძრაობის ცალკეულ ფორმას ან მოძრაობის ერთმანეთთან დაკავშირებულ და ერთმანეთში გარდამავალ მთელ რიგ ფორმებს.

ყველა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ენგელსი ეწევა იდეალიზმის, აგნოსტიციზმის, მექანიკური მატერიალიზმისა და მეტაფიზიკური აზროვნების წესის კრიტიკას. განსაკუთრებული მეთოდოლოგიური ღირებულებისაა ენგელსის მოსაზრებანი ფილოსოფიისა და ბუნებათმეცნიერების ორგანული კავშირის შესახებ. „ბუნების მკვლევართ, — წერს ენგელსი, — შეუძლიათ თავი ისე წარმოიდგინონ, როგორც მათ სურთ, მაგრამ მათზე მაინც ბატონობს ფილოსოფია. საკითხი მხოლოდ იმას ეხება, თუ რომელი სურთ, სურთ მათ, რომ მათზე რომელიმე ცუდი მოღური ფილოსოფია ბატონობდეს, თუ სურთ, რომ ისინი ხელმძღვანელობდნენ თეორიული აზროვნების ისეთი ფორმით, რომელიც ემყარება აზროვნების ისტორიისა და მისი მიღწევების ცოდნას“⁹.

კ. მარქსის გარდაცვალების (1883 წ. 14 მარტი) შემდეგ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობის მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი ფრ. ენგელსს დაეკისრა. მიუხედავად ამისა, მას არ შეუწყვეტია შემდგომი შემოქმედებითი თეორიული მუშაობა; მან კვლავ განაგრძო კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერების, სახელმწიფოს წარმოშობისა და არსის, მომავლის საზოგადოების მეცნიერული პროგნოზირების საკითხების შემდგომი კვლევა. წიგნში „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“ (1884 წ.) მდიდარ ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით ენგელსი დეტალურად განიხილავს საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპებს, იკვლევს საზოგადოების კლასებად გათიშვისა და სახელმწიფოს წარმოშობის და კვდომის მიზეზებს.

ბურჟუაზიულ თეორეტიკოსთა ერთი ჯგუფი, ცდილობს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებაში ეძიოს რაიმე მინიშნება სახელმწიფოს, როგორც პიროვნების დათრგუნვის ორგანოს, შემცველ ძალაზე კომუნიზმის დროს.

ასე იქცევა, მაგალითად, დასავლეთ გერმანული „სახელმწიფოს სოციოლო-

⁹ „ბუნების დიალექტიკა“, 1959 წ., გვ. 214.

გის“ წარმომადგენელი ი. ფლეიხტჰაიმი. ფლეიხტჰაიმი ცდილობს, ჯერ ერთი, მომავალი კომუნისში „ტოტალიტარიზმად“ დასახოს, ხოლო მეორე — თვით მარქსიზმ-ლენინიზმში ეძიოს კომუნისში „ტოტალურობის“ დასაბუთება. ამ მიზნით განსაკუთრებით ეჭიდებიან ენგელსისა და ლენინის მოძღვრებას პოლიტიკური დემოკრატიის, ანუ დემოკრატიის, როგორც სახელმწიფოს ფორმის, კვდომის გარდაუვალობის შესახებ. ტოტალიტარიზმში თანასწორობას ემყარება, დემოკრატია — თავისუფლებას; როგორც თანასწორობა, ისე თავისუფლება დემოკრატიის ღირებულებანია, რომლებიც ერთიმეორეს აესებენ; თავისუფლების გამორიცხვა იძლევა ნიველირებულთა უხეშ თანასწორობას, ხოლო თანასწორობისა (ბურჟუაზიულად გაგებული „მანსების თანასწორობის“ — ვ. ა.) — ფორმალურ დემოკრატიას. კომუნისში გამორიცხავს დემოკრატიას, რადგან იგი მას მხოლოდ სახელმწიფოს ფორმად მიაჩნია და არა ცხოვრების წესად. ასე დაასკვნინან ბურჟუაზიული იდეოლოგები.

მაგრამ ასეთი დასკვნისათვის მარქსიზმ-ლენინიზმში არავითარ საბაბს არ იძლევა. პირიქით, იგი ასაბუთებს, რომ დემოკრატიის, როგორც პოლიტიკური ფორმის კვდომა კომუნისში წინაპირობაა. დემოკრატიის ორივე ძირეული ღირებულების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ კომუნისში დროს. ფრ. ენგელსი დაბეჭდვით მოითხოვდა ფარისევლური ბურჟუაზიული დემოკრატიის შეცვლას ნამდვილი თავისუფლებითა და ნამდვილი თანასწორობით, ე. ი. კომუნისში. მამასადამე, დემოკრატიის, როგორც სახელმწიფოს, კვდომა არ გამორიცხავს დემოკრატიის, როგორც ცხოვრების წესის, არსებობას კომუნისში დროს.

ანტიკომუნისტი იდეოლოგების მეორე ჯგუფი (მაგალითად, დ. შროდერი, ი. ფეჩერი და სხვა) ცდილობს დაამტკიცოს, რომ სახელმწიფოს კვდომის თვალსაზრისი ენგელსისა და ლენინის აზრია, და თითქოს მარქსი მას არ იზიარებდა, პირიქით, სახელმწიფოს მარადიულობის თვალსაზრისზე იდგა. მაგრამ აქ ჯერ ერთი, უგულვებელყოფილია კ. მარქსის სტატია „პოლიტიკური ინდიფერენტისმი“, სადაც გარკვევითაა ლაპარაკი მუშათა სახელმწიფოს რევოლუციურ და გარდამავალ ხასიათზე; მეორე, მართალია სახელმწიფოს კვდომის საკითხს უპირატესად ენგელსი ამუშავებდა, მაგრამ მარქსის სიცოცხლეში და, მამასადამე, მასთან სრული თანხმობით.

1886 წ. ენგელსმა დაწერა ნაშრომი „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“, რომელშიც გაარკვია თავისი და მარქსის დამოკიდებულება ჰეგელისა და ფოიერბახის ფილოსოფიასთან, უჩვენა მარქსიზმის ფილოსოფიის ამ თეორიული წყაროების ისტორიული პროგრესულობა და ნაკლოვანებანი, განიხილა ფილოსოფიის მრავალსაუკუნოვანი ისტორია მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის თვალსაზრისით, მწყობრ, სისტემატურ ფორმამი ჩამოაყალიბა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ძირეული პრინციპები. ენგელსის უდიდეს დამსახურებად ითვლება ფილოსოფიის ძირითადი საკითხის ფორმულირება. ამ ნაშრომში ენგელსმა გააკრიტიკა აგნოსტიციზმი, ვულგარული მატერიალიზმი და უჩვენა მარქსამდელი მატერიალიზმის ძირითადი შეზღუდულობანი.

ისტორიული მატერიალიზმის შექმნა მოასწავებდა იდეალიზმის განდევნას „მისი უკანასკნელი თავშესაფარიდან“ — საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროდან. მაგრამ ისტორიის მატერიალისტური გაგება არ დაიყვანება საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური საფუძვლისა და მისი თვითმოძრაობის კანონ-

ზომიერების დადგენამდე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე იდეოლოგიის ფორმებისა და საერთოდ ზედნაშენური მოვლენების აქტიურ უკუქმედებას საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალურ საფუძველზე. ამ საკითხის გადაწყვეტის გარეშე იქმნებოდა სოციალური ცხოვრების ცალმხრივი, ვულგარულ-ეკონომიური გაგების საშიშროება. ენგელსმა გაითვალისწინა ეს გარემოება და მისთვის ჩვეული სიღრმითა და სიცხადით საბოლოოდ გადაჭრა აღნიშნული საკითხი 80-იანი წლების დასასრულისა და 90-იანი წლების დასაწყისის წერილებში ბლოხისადმი, მერინგისადმი და სხვ.

1895 წლის 5 აგვისტოს ფრ. ენგელსი გარდაიცვალა. ეს იყო უდიდესი დანაკლისი საერთაშორისო პროლეტარიატისათვის, რომელმაც დაკარგა ბელადი და მასწავლებელი. მაგრამ ფრიდრიხ ენგელსი, მისი მოძღვრება ცოცხლობს. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა ახალ საზოგადოებას, რომელზედაც ოცნებობდა და რომლისთვისაც იბრძოდა ენგელსი. დაიწყო ახალი ეპოქა, რომელსაც ენგელსი კაცობრიობის წინაისტორიის დასასრულისა და მისივე ნამდვილი ისტორიის დასაწყის ეპოქას უწოდებდა. მარქს-ენგელს-ლენინის დიადი მოძღვრების იდეები სამყაროს სოციალისტური გარდაქმნისათვის მილიონობით მებრძოლთა დროშად იქცა.

სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები ზვიადის ენგელსის შრომებში

პროფ. ვ. ინჟინკველი

მარქსიზმის საგანძურში, კერძოდ, მის პოლიტიკურ თეორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფრიდრიხ ენგელსის კლასიკურ ნაშრომებს, რომლებშიც მოცემულია სახელმწიფოსა და სამართლის მატერიალისტური გაგება.

კარლ მარქსის გვერდით, მასთან ერთად, ფრიდრიხ ენგელსი წარმოგვიდგება, როგორც გენიალური თეორეტიკოსი, პროლეტარიატის იდეოლოგი და ბელადი, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი. მარქსისა და ენგელსის მიერ დამუშავებული დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დებულების საფუძველზე, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების მათ მიერ აღმოჩენილი კანონებიდან გამომდინარე, შეიქმნა სრულიად ახალი მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ, რაც მოასწავებდა რევოლუციურ გადატრიალებას პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში.

მართალია, ერთად ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში დაწერილი ნაწარმოებები (იქნებოდა ისინი მარქსის ავტორობით, ენგელსის ავტორობით, თუ ორივესი ერთად) ამ ბუმბერაზი მოაზროვნეების საერთო შეხედულებების გამოხატულებას წარმოადგენდნენ, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში შევეხებით მხოლოდ იმ დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც უშუალოდ ენგელსის შრომებშია მოცემული.

მატერიალისტური სახელმწიფო — სამართლებრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებამდე ისევე როგორც კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსიც რევოლუციური დემოკრატიის პოზიციებიდან უყურებს პოლიტიკურ პრობლემებს. იგი ჰგმობდა პრუსიის აბსოლუტიზმს და საერთოდ მონარქიას, რეაქციასა და თვითნებობას, მოითხოვდა პოლიტიკურ თავისუფლებათა, სახელდობრ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფას და ხალხს სთვლიდა რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ მამოძრავებელ ძალად. მაგრამ უკვე 1844 წლიდან, რომელიც ამავე დროს მარქსისა და ენგელსის დიადი თანამეგობრობის დასაწყისს წარმოადგენს, დაიწყო მათი გადასვლა რევოლუციური დემოკრატიზმიდან პროლეტარულ სოციალიზმზე, სახელმწიფოსა და სამართლის მატერიალისტური გაგებაზე. იმავე წელს დაიწერა მათი ერთობლივი ნაშრომი „წმიდა ოჯახი“. რომელიც მიმართული იყო ბრუნო ბაუერისა და სხვა ე. წ. ახალგაზრდა ჰეგელიანელების წინააღმდეგ. სხვა ზოგად ფილოსოფიურ საკითხებთან ერთად ამ ნაწარმოებში მოცემულია ბურჟუაზიული სახელმწიფოს დახასიათება. მარქსი და ენგელსი არა მარტო ასაბუთებენ, რომ ეს სახელმწიფო ბურჟუაზიის ბატონობის იარაღია, არამედ მატერიალისტურად ხსნიან, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს ხასიათს განაპირობებს კაპიტალისტური ეკონომიური ურთიერთობანი და რომ საერთოდ, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობაა. აქვე განვითარებულია შეხედულება, რომ ბურ-



ქუაზიული წყობილების შეცვლა და სოციალიზმის დამყარება შეუძლებელია რევოლუციის გარეშე.

საცხოვრებლად ინგლისში გადასვლისა და ამ ქვეყნის პროლეტარიატის ცხოვრების პირობების შესწავლის შედეგად 1845 წლის დასაწყისში ენგელსმა დაამთავრა ცნობილი ნაშრომი „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, რომელიც ვ. ი. ლენინის თქმით ერთერთი საუკეთესო ნაწარმოებია იყო მსოფლიო ლიტერატურაში და რომელშიც განხილულია უშუალოდ სახელმწიფოსთან დაკავშირებული საკითხები. პირველ ყოვლისა აქ გამოაშკარავებულია ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის კლასობრივი შინაარსი. ენგელსი მიუთითებს, რომ ერთის მხრივ ადვირახსნილი ექსპლოატაციისა და თავისუფალი კონკურენციის უზრუნველსაყოფად, ბურჟუაზია არ არის დაინტერესებული სახელმწიფოს ჩარევით სამეურნეო საქმიანობაში, ხოლო მეორეს მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლება ყოველნაირად იცავს ბურჟუაზიის გაბატონებულ მდგომარეობას საზოგადოებაში, თრგუნავს პროლეტარიატის წინააღმდეგობას.

ასევე კლასობრივი ხასიათისაა ბურჟუაზიული სამართალი. მრავალი ფაქტისა და ცნობის მოყვანით, ენგელსმა მკაფიოდ უჩვენა, რომ ადამიანის უფლებები ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განისაზღვრება მისი ქონებრივი მდგომარეობით და რომ ბურჟუაზიის მიერ გამოცხადებული თანასწორობა და კანონიერება მხოლოდ ფორმალურ თანასწორობას ნიშნავს. ფეოდალიზმისაგან განსხვავებით ამ წყობილების დროს ფორმალურად ყველა თანასწორია კანონის წინაშე, მაგრამ გაბატონებულ კლასს აქვს სიმდიდრის, ფულის პრივილეგია, რის გამოც თანასწორობა ფაქტიურ თუ თანასწორობად გვეგლინება. მთელი კანონმდებლობის მთავარი დანიშნულებაა მქონებელთა დაცვა არამქონებელთაგან. ამიტომ კანონი კაპიტალისტათვის წმიდაა, პროლეტარი კი მასში ხედავს მის საწინააღმდეგოდ შემართულ მათრახს. ცხადია ასეთ კანონებს პროლეტარიატი პატივს არ სცემს, არღვევს მათ; დანაშაულობათა დიდი ნაწილიც პროლეტარიატზე მოდის, მათგან კი უმრავლესობა გამოწვეულია ვაჭირებით, შიმშილით. ამრიგად ენგელსი ხსნის კაპიტალისტურ წყობილების დროს დანაშაულობის სოციალურ მიზეზებს. საბოლოო დასკვნა, რომელსაც იგი იძლევა შემდეგია: ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შეიძლება მხოლოდ მუშათა კლასის ბრძოლის, პროლეტარული რევოლუციის გზით.

1845 წლის ბოლოს და 1846 წლის დასაწყისში დაიწერა მარქსისა და ენგელსის ახალი ერთობლივი ნაშრომი „გერმანული იდეოლოგია“, რომელშიც ასახული იყო მათი უკვე ჩამოყალიბებული დიალექტიკურ-მატერიალისტური ფილოსოფიური და პოლიტიკური მსოფლმხედველობა. სხვა საკითხებს შორის აქ მეცნიერული დამუშავება პპოვა სახელმწიფოსა და სამართლის არსის, ბურჟუაზიული სახელმწიფოსადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების, კომუნისტური რევოლუციის პრობლემებმა.


აღსანიშნავია, რომ „გერმანულ იდეოლოგიაში“ განვითარებულია შეხედულება სახელმწიფოს როგორც ისტორიული მოვლენისა და მისი კლასობრივი ბუნების შესახებ. სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს მარქსი და ენგელსი უკავშირებენ კაცობრიობის განვითარების გარკვეულ საფეხურს, შრომის საზოგადოებრივ განაწილებას, კერძო საკუთრების აღმოცენებას და კლასების გაჩენას. ისინი მიუთითებენ, რომ სახელმწიფო კლასთა შორის ანტაგონიზმის პროდუქტია და იგი იცავს მხოლოდ გაბატონებული კლასის ინტერესებს, მათ

საკუთრებას. სწორედ საკუთრების ფორმა განსაზღვრავს სახელმწიფოს შინაარსს, მის ისტორიულ ტიპებს. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ბურჟუაზიული სახელმწიფო ექსპლოატატორული ბუნების გამოაშკარავებას, პროლეტარიატს მიერ მის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი განადგურების აუცილებლობას სოციალისტური რევოლუციის პროცესში, ეს რევოლუცია კი საბოლოო ანგარიშში უზრუნველყოფს პოლიტიკურ დაწესებულებათა საერთოდ გაუქმებას, სახელმწიფოს კვდომას.

ამხელდნენ რა ახალგაზრდა ჰეგელიანელის შტირნერისა და სხვა იდეალისტების შეხედულებებს სამართლის შესახებ, მარქსი და ენგელსი ასაბუთებდნენ, რომ სამართლებრივი ურთიერთობანი წარმოადგენენ რეალურ წარმოებით ურთიერთობათა ასახვას, რომ ეკონომიკა განსაზღვრავს სამართალს და არა პირიქით. მაგრამ თავის მხრივ სამართლის დანიშნულებაა აქტიურად შეუწყოს ხელი უკვე ჩამოყალიბებულ და გაბატონებული კლასისათვის სასურველ წარმოებით ურთიერთობათა დაცვასა და განმტკიცებას. ამრიგად მარქსისა და ენგელსის „გერმანული იდეოლოგია“ სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ სრულიად ახალი, მატერიალისტური თეორიის დასაბუთებას შეიცავს. ამ ნაშრომის რიგი დებულებებისა საფუძვლად დაედო იმ იდეებს, რომლებმაც შემდგომში განვითარება ჰპოვეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“.

მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, რომელიც 1847 წლის ბოლოს დაიწერა და გამოქვეყნდა 1848 წლის დასაწყისში, წარმოადგენდა მეცნიერული კომუნისმის ერთ-ერთ ფუძემდებლურ ნაშრომს და რევოლუციური მუშათა მოძრაობის ჭეშმარიტად საპროგრამო დოკუმენტს. გამოდიოდნენ რა საზოგადოებრივი ცხოვრების, კლასების, სახელმწიფოსა და სამართლის მათ მიერვე შემუშავებული მატერიალისტური გაგებიდან მარქსი და ენგელსი მიუთითებდნენ, რომ ეკონომიური წარმოება, წარმოებითი ურთიერთობანი განსაზღვრავენ საზოგადოებრივი წყობილებისა და პოლიტიკური დაწესებულებების ხასიათს, რომ საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლის, ექსპლოატირებულთა და ექსპლოატატორთა შორის ბრძოლის ისტორიაა და რომ ახლანდელი ჩაგრული კლასი — პროლეტარიატი ექსპლოატაციისაგან თავის განთავისუფლებასთან ერთად მთელი საზოგადოების განთავისუფლებას უზრუნველყოფს. ამ ნაწარმოებში შემდგომი დასაბუთება ჰპოვა მარქსისა და ენგელსის მიერ ჯერ კიდევ მანამდე გამოთქმულმა შეხედულებამ სოციალისტური, პროლეტარული რევოლუციის გარდუვალობისა და მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში აღების შესახებ. სწორედ მან უნდა შეასრულოს კაპიტალიზმის მესაფლავის თავისი ისტორიული როლი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

მთელ ნაშრომს წითელ ზოლად გასდევს პროლეტარიატის დიქტატურის იდეა. მართალია, თვით ტერმინი „პროლეტარიატის დიქტატურა“ აქ ჯერ არ არის ნახსენები, მაგრამ სწორედ ამას გულისხმობს მანიფესტის შემდგომი სიტყვები: „პირველ ნაბიჯს მუშათა რევოლუციაში წარმოადგენს პროლეტარიატის გადაქცევა გაბატონებულ კლასად, დემოკრატიის მოპოვება ბრძოლით, პროლეტარიატი თავის პოლიტიკურ ბატონობას იმისათვის გამოიყენებს, რომ თანდათან გამოჰგლიჯოს ბურჟუაზიას მთელი კაპიტალი, მოახდინოს წარმოების ყვე-



ლა იარაღის ცენტრალიზაცია, სახელმწიფოს, ე. ი. გაბატონებულ კლასად ორგანიზებულ პროლეტარიატის ხელში¹.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მარქსსა და ენგელსს მიზნად არ ქონდათ დასახული მოცათ სამართლის ზოგადი განსაზღვრება, მაგრამ როდესაც ბურჟუაზიულ სამართალს ახასიათებდნენ, ისინი მიუთითებდნენ მის ისეთ ნიშნებზე, რომლებიც საერთოა ყველა ტიპის სამართლისათვის. მიმართავდნენ რა ბურჟუაზიას, მარქსი და ენგელსი წერდნენ: „თქვენი სამართალი მხოლოდ კანონად გამოცხადებული ნებასურვილია თქვენი კლასისა; ნებასურვილი, რომლის შინაარსი თქვენი კლასის ცხოვრების მატერიალური პირობებითაა განსაზღვრული“². ამ კლასიკური დებულებიდან ჩანს, რომ არა მარტო ბურჟუაზიულის, არამედ საერთოდ სამართლის არსებითი ნიშნებია შემდეგი: ა) სამართალი არის გაბატონებული კლასის ნებასურვილი, ბ) ეს ნებასურვილი კანონადაა გამოცხადებული, ე. ი. სავალდებულოა ყველასათვის, გ) გაბატონებული კლასის ნებასურვილს საბოლოო ანგარიშში განსაზღვრავს მისი არსებობის მატერიალური პირობები. ამრიგად, სამართლის ცნება, რომელიც მარქსმა და ენგელსმა ჩამოაყალიბეს, შეიცავს სამართლის ყველაზე უფრო ზოგად და არსებით დამახასიათებელ ნიშნებს, მათ შორის ისეთსაც, რომელიც სხვა საზოგადოებრივ მოვლენებსაც გააჩნია, სახელდობრ, მატერიალური პირობებით განპირობებულობა. ამიტომ ცხადია, იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად დასმულა საკითხი სამართლის კიდევ დამატებითი განსაზღვრების შემუშავების შესახებ, ისეთი სპეციფიური ნიშნების აღნიშვნით, რომელთა შესახებ არაფერია ნათქვამი მარქსისა და ენგელსის დებულებაში.

1848 წლის შემდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლების გამოცდილების განზოგადების შედეგად მარქსმა და ენგელსმა შემდგომ განავითარეს პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის თეორია, მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ. სახელდობრ, დასაბუთებული იქნა უმნიშვნელოვანესი დებულებები პროლეტარული რევოლუციის პროცესში ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის მსხვრევის აუცილებლობის, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის, კაპიტალიზმიდან კომუნისმზე გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ და ა. შ. ძირითადად ეს დებულებები ჩამოყალიბებულია კ. მარქსის გენიალურ ნაშრომებში „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში“ (1850 წ.), „წერილი ვეიდემაიერისადმი“ (1852 წ. 5 მარტი) „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“ (1852 წ.), „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (1859 წ.), „კაპიტალი“ (რომლის პირველი ტომი დაიწერა 1867 წელს), „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ (1871 წ.), „გოთას პროგრამის კრიტიკა“ და სხვა. ცხადია, კარლ მარქსის ამ ნაშრომებში გამოთქმულ შეხედულებებს მთლიანად იზიარებდა ფრიდრიხ ენგელსიც.

პირადად ენგელსმა ამ პერიოდში დაწერა მთელი რიგი სტატიებისა და წერილებისა ბაკუნინისა და სხვა ანარქისტების წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ „ყოველგვარ სახელმწიფოსა და ავტორიტეტს“ და მარქსისა და ენგელსისაგან განსხვავებით ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს, რომ მუშათა კლასი არ უნდა აწარმოებდეს პოლიტიკურ ბრძო-

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1952 წ. გვ. 67.


² იქვე, გვ. 62.

ლას, არ უნდა ისწრაფოდეს ხელში აილოს სახელმწიფო ძალაუფლება. ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის მსხვერვის და პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს დამყარების შესახებ მარქსისა და ენგელსის შეხედულებებს ისინი უპირისპირებდნენ საერთოდ სახელმწიფოს მოსპობის ლოზუნგს, რაც მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ინტერესებს დიდ ზიანს აყენებდა. სწორედ პროლეტარიატისა და მისი ჰარტიისათვის ამ მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ გაილაშქრა მარქსთან ერთად ფრიდრიხ ენგელსმა 1872—1874 წლების პერიოდის პოლემიკურ წერილებში.

მაგალითად, 1872 წლის 14 იანვრით დათარიღებულ წერილში კარლო ტერცაგისადმი ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატისათვის, რომელიც რევოლუციას მოახდენს აუცილებელია ცენტრალიზაცია და ძალაუფლება, ხოლო ის ვინც ამ უკანასკნელებს ყველა შემთხვევაში ჰგმობს, ან ცრუ რევოლუციონერია, ან წარმოდგენა არა აქვს თუ რა არის რევოლუცია, წერილში თეოდორ კუნოსადმი იმავე წლის 24 იანვრის თარიღით ფ. ენგელსი კვლავ მკვეთრ ზღვარს ავლებს სახელმწიფოს საკითხში მარქსისტულ და ანარქისტულ შეხედულებებს შორის. იგი მიუთითებს, რომ სახელმწიფოს გაუქმება მანამდე მოხდენილი სოციალისტური ვადატრიალების, კაპიტალის მოსპობისა და ავტორიტეტული ხელისუფლების დამყარების გარეშე, ვერ გადაჭრის წინააღმდეგობას პროლეტარიატსა და კაპიტალისტებს შორის. ამიტომ თვლიდა ენგელსი ღრმა შეცდომად ბაკუნინის შეხედულებას ყოველგვარ სახელმწიფოზე, როგორც აბსოლუტურ ბოროტებაზე.

განსაკუთრებით ვრცლად არის მოცემული სახელმწიფოს შესახებ ანარქისტული იდეების კრიტიკა ფ. ენგელსის სტატიაში „ავტორიტეტის შესახებ“, რომელიც 1874 წლის დასაწყისში დაიწერა. ანარქისტები მოითხოვენ, აღნიშნავს იგი, რომ სოციალური რევოლუციის პირველივე აქტი იყოს ავტორიტეტის გაუქმება, სახელმწიფოს მოსპობა, მაგრამ ეს შეუძლებელია, თუ გამარჯვებულ პროლეტარიატს და მის პარტიას არ სურს დაჰკარგოს მოპოვებული გამარჯვების ნაყოფი. პარიზის კომუნა ერთ დღეზე მეტს ვერ იარსებებდა შეიარაღებული ხალხის ავტორიტეტს რომ არ დაყრდნობოდა, მაგრამ მეორეს მხრივ მისი დამარცხების ერთერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მან სათანადოდ ვერ გამოიყენა ეს ავტორიტეტი და სახელმწიფოებრივი ძალაუფლება კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. სახელმწიფო პროლეტარიატს ესაჭიროება სოციალიზმისა და კომუნისმისათვის ბრძოლაში, ხოლო როდესაც აღარ იქნება კლასები, სახელმწიფო, როგორც პროლეტარიატის პოლიტიკური ავტორიტეტის განსახიერება თავისთავად ზედმეტი გახდება. ავტორიტეტის გარეშე, რა თქმა უნდა საზოგადოება ვერ იარსებებს, მაგრამ ეს ავტორიტეტი პოლიტიკური ხასიათისა აღარ იქნება და ავტორიტეტსა და მისადმი დამფრჩხილებასაც მხოლოდ საზოგადოებრივი ხასიათი მიეცემა.

სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ფრიდრიხ ენგელსის ფილოსოფიურ ნაშრომებში „ანტი-დიუბინგი“ და „ლუდვიგ ფოიერბახი“. პირველი 1878 წელს იქნა გამოცემული და მიმართული იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტისა და ფილოსოფისის ევგენი დიუბინგის წინააღმდეგ, რომელიც თავის თავს სოციალისტად აცხადებდა, სინამდვილეში კი მეცნიერული სოციალიზმის შეურიგებელი მტერი იყო და ცდილობდა ისტორიის მატერიალისტური გა-



გებისა და მარქსიზმის სხვა ძირითადი დებულებების უარყოფას. სხვათა შორის დიურინგი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზია „უშუალო“ პოლიტიკური ძალმომრეობა და რომ ეკონომიკა განისაზღვრება პოლიტიკური წყობილებით და არა პირიქით. სახელმწიფოს წარმოშობის პროცესის თავისი გაგების დასასაბუთებლად დიურინგი სარგებლობს იმდროინდელ ლიტერატურაში გავრცელებული მაგალითით რობინზონისა და პარასკევას შესახებ. მისი მტკიცებით დაუსახლებელ კუნძულზე დაშინთ შეიარაღებული რობინზონის მიერ პარასკევას დამორჩილება წარმოადგენს სახელმწიფოს წარმოშობის მარტივ სურათს, ამ პროცესის პროტოტიპს. ფ. ენგელსმა „ანტიდიურინგში“ მკაფიოდ გამოაშკარავა დიურინგის კონცეფციის სრული უსუსურობა. იგი აყენებს კითხვას — რისთვის დასჭირდა რობინზონს პარასკევას დამორჩილება და რატომ იყო ეს შესაძლებელი? დამორჩილება, დამონება არასოდეს არ ყოფილა თვითმიზანი. რობინზონმა დაიმორჩილა პარასკევა და აიძულა ის ემუშავნა თავის სასარგებლოდ. ეს კი შესაძლებელი იყო შესაბამისი ეკონომიური პირობების არსებობისას, სახელდობრ, პარასკევას უნდა შეძლებოდა იმაზე მეტის წარმოება, რაც აუცილებელი იყო მისი საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ე. ი. რობინზონს უნდა ჰქონოდა არა მარტო დამორჩილების საშუალებანი (დაშნა) არამედ დამონებული პარასკევას გამოყენების საშუალებებიც (შრომის სხვადასხვა იარაღი).

დიურინგის ცრუმეცნიერულ დებულებათა გაქარწყლების პროცესში ენგელსი ასაბუთებს აგრეთვე სამართლის დამოკიდებულებას საზოგადოების არსებობის მატერიალური პირობებისაგან და იძლევა ბუტყუაზიული თანასწორობის დიურინგისეული გაგების კრიტიკას. იგი მიუთითებს, რომ ფეოდალიზმის რღვევის პერიოდში კაპიტალისტთა კლასი გამოხატავდა რა წარმოების განვითარების მოთხოვნილებებს საჭიროდ თვლიდა ფეოდალური პრივილეგიების გაუქმებას, ბატონყმური ურთიერთობებისაგან განთავისუფლებას, გადაადგილებისა და საქონელბრუნვის თავისუფლებას. კანონის წინაშე თანასწორობას. პროლეტარიატი კი იბრძვის თანასწორობისათვის საზოგადოებრივ, ეკონომიურ მდგომარეობაში, რაც საბოლოო ანგარიშში ითვალისწინებს კლასების მოსპობის მოთხოვნას და არა გათანაბრებას წვრილბუტყუაზიული გაგებით.

ენგელსი შეეხებოდა აგრეთვე სახელმწიფოს ბედის საკითხს კომუნისმის დროს. იგი მიუთითებს, რომ პროლეტარიატის დიქტატურამ უნდა მოამზადოს პირობები და უზრუნველყოს კომუნისტური საზოგადოების აშენება და ამდენად სახელმწიფოს კვდომაც. „როცა აღარ იარსებებენ საზოგადოებრივი კლასები, რომელთა დამორჩილება საჭიროა, როცა მოისპობა კლასობრივი ბატონობა და ინდივიდუალური არსებობისათვის ბრძოლა, რომელიც დაფუძნებულია წარმოების თანამედროვე ანარქიაზე, როცა მოისპობა აქედან გამომდინარე კოლიზიები და ძალმომრეობანი, მაშინ აღარაფერ დარჩება დასათრგუნავი, რომლისთვისაც საჭირო იქნება განსაკუთრებული დამთრგუნველი ძალა, სახელმწიფო, რომელიც ახლა ამ ფუნქციას ასრულებს. პირველი აქტი, რომელშიც სახელმწიფო მართლაც გამოდის როგორც მთელი საზოგადოების წარმომადგენელი, საზოგადოების სახელით საწარმოო საშუალებათა გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად, აგრეთვე იქნება მისი როგორც სახელმწიფოს უკანასკნელი დამოუკიდებელი აქტი. სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევა საზოგადოებრივ ურთიერთობაში ზედმეტი გახდება... და ბოლოს თავისთავად მოისპობა. იმ მთავრო-

ბის ადგილს, რომელიც პიროვნებებს განაგებს, დაიჭერს საგნების მმართველობა და საწარმოო პროცესების ხელმძღვანელობა. სახელმწიფო კი არ უქმდება, იგი თანდათან კვდება³.

როგორც ამ ციტატიდან ჩანს სახელმწიფოს კვდომის საკითხის განხილვისას ფ. ენგელსი, ისევე როგორც მარქსი, იქიდან გამოდიოდა, რომ სოციალისტური რევოლუცია ერთდროულად გაიმარჯვებდა ყველა ან უმრავლეს ქვეყნებში, ხოლო სახელმწიფოს კვდომაც ერთდროულად განხორციელდებოდა კომუნისმის აშენების შემდეგ. როგორც ცნობილია ახალ ისტორიულ პირობებში ვ. ი. ლენინმა მარქსიზმი გაამდიდრა ახალი დებულებებით, სახელდობრ იმით, რომ შესაძლებელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება თავდაპირველად ერთ ქვეყანაში.

1888 წელს გამოსულ ნაშრომში „ლუდვიგ ფოიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული“ ფრ. ენგელსი კვლავ ეხება სახელმწიფოსა და სამართალთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს. ჰეგელის საწინააღმდეგოდ, რომელიც სახელმწიფოს თვლიდა განმსაზღვრელად „სამოქალაქო საზოგადოების“ ანუ ეკონომიური ურთიერთობის მიმართ, ენგელსი დამაჯერებლად განმარტავს, რომ საწარმოო ძალთა განვითარება, გაცვლის პირობები და საერთოდ, ეკონომიური ფაქტორები განსაზღვრავს სახელმწიფოს, სამართალს, მის დარგებსა და კანონმდებლობას. მართალია, სახელმწიფო გაბატონებული კლასის ნებას გამოხატავს, მაგრამ როგორც ენგელსი ამბობს წარმოშობისთანავე იგი გარკვეულ დამოუკიდებლობას აქენს საზოგადოების წინაშე, მისგან დამოუკიდებელ ძალად წარმოგვიდგება. იქმნება შთაბეჭდილება თითქოს სახელმწიფო და პოლიტიკური ბრძოლები საზოგადოების ეკონომიურ საფუძველზე არ არის დამყარებული, ხოლო იურისტებისათვის, რომლებიც სამოქალაქო სამართალს შეისწავლიან, ეკონომიური მოვლენები და ფაქტები იურიდიული მოტივების ფორმას ღებულობენ. ამიტომ არის, რომ ეკონომიური მხარე, შინაარსი, საფუძველი — არაფრად ეჩვენებათ, იურიდიული ფორმა კი ყველაფრად. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს და სამართლის დამოკიდებულებას ეკონომიური წყობილებასთან, საერთოდ ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობის საკითხებს ფრ. ენგელსი შემდგომ კიდევ უბრუნდება თავის წერილებში კ. შმიდტისადმი და ი. ბლოხისადმი.

სახელმწიფოსა და სამართლის გეცნიერებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფრიდრიხ ენგელსის გენიალურ ნაშრომს „ოჯახის კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, რომელიც 1884 წელს გამოქვეყნდა. მასში სისტემატიზებული სახით თავმოყრილია არა მარტო შეხედულებები საზოგადოების ისტორიული განვითარების, ოჯახის, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის, მათი განვითარების ისტორიული საფეხურების შესახებ, არამედ მოცემულია ერთდაგვარი შეჯამება სახელმწიფოსა და სამართლის არსის მარქსისტული მოძღვრებისა. შემთხვევით არ იყო, რომ ვ. ი. ლენინი თავის ლექციაში „სახელმწიფოს შესახებ“ მიუთითებდა, რომ ეს არის თანამედროვე სოციალიზმის ერთერთი ძირითადი ნაწარმოები, რომელშიც ნდობით შეგვიძლია მოვეყიდო ყოველ ფრაზას, რწმენით რომ თითოეული ფრაზა მოუფიქრებლად კი არ არის ნათქვამი, არამედ დაწერილია უდიდესი ისტორიული და პოლიტიკური მასალის საფუძველზე.

³ ფრ. ენგელსი, „ანტი-დუროინგი“, 1952, გვ. 334.



ქართული
წიგნების
კავშირები

ფ. ენგელსმა დაასაბუთა, რომ სახელმწიფო კლასობრივი ორგანიზაციაა, რომ მისი არსებობა კლასების არსებობასთანაა დაკავშირებული. „სახელმწიფო — წერდა იგი — დასაბამიდანვე როდი არსებობდა. იყენენ ისეთი საზოგადოებანი, რომელნიც უძისოდ ძლებდნენ. რომელთანაც სახელმწიფოზე და სახელმწიფო ხელისუფლებაზე წარმოდგენაც არ ქონდათ. ეკონომიური განვითარების გარკვეულ საფეხურზე, რომელიც აუცილებლად დაკავშირებული იყო საზოგადოების კლასებად გათიშვასთან, სახელმწიფო ამ გათიშვის გამო აუცილებლობად იქცა⁴, მგარამ კლასების გაჩენა თავისთავად არ განსაზღვრავს სახელმწიფოს არსებობას. აქ მთავარი ისაა, რომ კლასებს შორის წარმოებს შეურიგებელი ბრძოლა, რომ მათ შორის წინააღმდეგობები ანტაგონისტური ხასიათისაა და მათი შერიგება აბსოლუტურად შეუძლებელია. ხაზს უსვამდა რა ამ გარემოებას და ამავე დროს, იდეალისტური და სხვა არამეცნიერული შეხედულებების საწინააღმდეგოდ ფ. ენგელსი წერდა: „სახელმწიფო სრულიადაც არ არის ისეთი ძალა, რომელიც საზოგადოებას გარედან აქვს თავს მოხვეული, ასევე ნაკლებადაა იგი „ზნობრივი იდეის სინამდვილე“. „სახე და სინამდვილე გონებისა“, როგორც ამას ჰეგელი ამტკიცებს. პირიქით, სახელმწიფო საზოგადოების პროდუქტია განვითარების გარკვეულ საფეხურზე, სახელმწიფო აღიარებს იმას, რომ ეს საზოგადოება გაიხლართა გადაუწყვეტელ წინააღმდეგობაში თავის თავთან გაითიშა შეურიგებელ წინააღმდეგობებად, რომელთაგანაც თავის დაღწევა მას არ ძალუძს, ხოლო იმისათვის, რომ ამ წინააღმდეგობებმა, კლასებმა თავიანთი ანტაგონისტური ეკონომიური ინტერესებით, არ გაანადგურონ ერთმანეთი და საზოგადოება უნაყოფო ბრძოლაში, აუცილებელი გახდა ისეთი ძალა, რომელიც თითქოს საზოგადოებაზე მალლა დგას. ძალა, რომელმაც უნდა შეანელოს კონფლიქტი და „წესრიგის“ ჩარჩოებში დააკავოს იგი; ეს ძალა კი, რომელიც საზოგადოებიდან გამოვიდა, მაგრამ საზოგადოებაზე მალლა დგება და საზოგადოებას სულ უფრო და უფრო შორდება, სახელმწიფოა“⁵.

პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევისა და სახელმწიფოს წარმოშობის ზოგადი კანონზომიერების დადგენასთან ერთად ფ. ენგელსი მიუთითებს იმ სამ ფორმაზე და ზოგიერთ თავისებურებაზე, რაც დამახასიათებელია სახელმწიფოს წარმოშობის პროცესისათვის სხვადასხვა ქვეყანაში. პირველი, ასე ვთქვათ, ყველაზე უფრო წმინდა, კლასიკური ფორმის მაგალითად ენგელსს მიაჩნია სახელმწიფოს წარმოშობა ათენში. აქ სახელმწიფო წარმოიშვა უშუალოდ იმ კლასობრივი ანტაგონიზმის, შეურიგებელი წინააღმდეგობის შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა საზოგადოების შიგნით, ე. ი. არ ყოფილა რაიმე გარეშე მოვლენები, რომლებსაც შეეძლო დაეჩქარებინა ან შეეფერებინა სახელმწიფოს წარმოშობა.

მეორე ფორმად იგი თვლის რომის მაგალითს, სადაც სახელმწიფოს წარმოშობა დაიქარა ბრძოლაში გვაროვნულ არისტოკრატასა და მოსახლეობის თავისუფალ ფენას — პლებებს შორის. ამ ბრძოლის შედეგად სისხლითი ნათესაობის პრინციპზე დამყარებული საზოგადოება თანდათან დაიშალა და საზოგადოების ახლებურ ორგანიზაციას საფუძვლად დაედო მოსახლეობის ტერიტორიული და წოდებრივ-კლასობრივი დაყოფა. რაც შეეხება მესამე ფორმას, მის მა-

⁴ ფ. ენგელსი, „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, 1953, გვ. 239.

⁵ იქვე, გვ. 234.

გალითად ენგელსი ასახელებს სახელმწიფოს წარმოშობას გერმანელ ტომებში. გერმანელთა სახელმწიფო წარმოიშვა მას შემდეგ, როდესაც ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების პირობებში მყოფმა გერმანელმა ტომებმა დაამხეს რომის იმპერია და დაიპყრეს რომი. თუმცა გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესი მაშინ უკვე დაწყებული იყო, მაგრამ სხვა ქვეყნებზე და ხალხებზე ბატონობის საჭიროებამ დააჩქარა და ხელი შეუწყო ამ პროცესის დამთავრებას სახელმწიფოს წარმოშობით. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ვინაიდან გვაროვნული წყობილების ორგანოები ვერ გამოდგებოდნენ ძალადობისა და ბატონობის განსახორციელებლად, ისინი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებით უნდა შეცვლილიყვნენ.

სახელმწიფოს ბუნებისა და მისი, როგორც პოლიტიკური ბატონობის იარაღის დანიშნულებიდან გამომდინარე ფ. ენგელსმა თავის შრომაში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ მიუთითა სახელმწიფოს ორ ძირითად ნიშანზე, რაც განასხვავებს მას წინაკლასობრივი, პირველყოფილ-თემური საზოგადოების ორგანიზაციისაგან. სახელმწიფოს ერთერთ ძირითად ნიშანს წარმოადგენს მოსახლეობის — მოქალაქეთა ან ქვეშევრდომთა დანაწილება ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, განსხვავებით გვაროვნული ორგანიზაციისაგან, რომლის დროს მოსახლეობა დანაწილებულია სისხლითი ნათესაური პრინციპის საფუძველზე.

მეორე ძირითადი ნიშანი, მიუთითებს ენგელსი, რაც დამახასიათებელია სახელმწიფოსათვის, ესაა საჯარო ხელისუფლება, განსხვავებით იმ საზოგადოებრივი ხელისუფლებისაგან, რომელიც პირველყოფილ-თემურ წყობილებაში არსებობდა, რომელსაც უშუალოდ მთელი საზოგადოება ახორციელებდა და ფაქტიურად გაიგივებული იყო მოსახლეობასთან. თუ წინაკლასობრივი წყობილების დროს არ არსებობდა პოლიტიკური ხელისუფლება, — სახელმწიფოს წარმოშობა ნიშნავს უკვე ისეთი ხელისუფლების არსებობას, რაც მხოლოდ გაბატონებული კლასის ბატონობის უზრუნველყოფის მთავარ საშუალებას წარმოადგენს. ეს პოლიტიკური ანუ საჯარო ხელისუფლება ხორციელდება ადამიანთა სპეციალური ფენის მიერ, რომლებიც გაბატონებული კლასის წრიდან გამოსულ ან მის მიერ დაქირავებულ პირებისაგან შედგება. საჯარო ხელისუფლება, ამავე დროს გულისხმობს სპეციალური იძულებითი აპარატის არსებობას — ადამიანთა შეიარაღებულ რაზმებს, საპყრობილებებს და სხვა სახის იძულებით დაწესებულებებს. „ამ საჯარო ხელისუფლების შესანახად, — განაგრძობს ენგელსი, — აუცილებელია მოქალაქეთა დაბეგვრა ვარკვეული შესატანი — ვადსახადებით. გვაროვნული საზოგადოებისათვის გადასახადები სრულიად უცნობი იყო“⁶.

სახელმწიფოს წარმოშობის, მისი არსისა და დამახასიათებელი ნიშნების მარქსისტულ დასაბუთებასთან ერთად აღნიშნულ ნაშრომში ფ. ენგელსი ეხება სახელმწიფოს ისტორიული ტიპებისა და მმართველობის ფორმის საკითხებს. იგი მიუთითებს, რომ მატერიალური წარმოების, საწარმოო ძალთა განვითარება იწვევს ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის შეცვლას მეორეთი, ერთი ტიპის სახელმწიფოს შეცვლას მეორეთი, თითოეულ ამ ფორმაციაში სახელმწიფო წარმოადგენს ეკონომიურად ყველაზე მძლავრი კლასის პოლიტიკური

⁶ ფ. ენგელსი, „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, 1953, გვ. 236.

ბატონობის იარაღს, იგი ისეთი „ორგანიზაციაა, რომელიც იცავს მქონებელთა კლასს უქონელთა კლასისაგან“⁷. ენგელსი განსაკუთრებით ეხება ბურჟუაზიულ რესპუბლიკას, როგორც კაპიტალისტთა ბატონობის სპეციფიკურ ფორმას, რომელშიც განხორციელებულია ფორმალური დემოკრატია ხელისუფლების ორგანოების არჩევითობის სახით. მაგრამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა, ამავე დროს მუშათა კლასის სიმწიფის მაჩვენებელია. იგი იყენებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას თავის ბრძოლაში კაპიტალისტების წინააღმდეგ. ეს უკანასკნელნი კი ბატონობენ ამავე საარჩევნო უფლების მეშვეობით მანამ „სანამ ჩაგრული კლასი... პროლეტარიატი — ჯერ კიდევ არ მომწიფებულა იმდენად, რომ თავი გაინთავისუფლოს“⁸.

1891 წელს ფ. ენგელსმა გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელიც ეხებოდა ერფურტის პროგრამის კრიტიკას. აქ მან მიუთითა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით ჩვენს ლიტერატურაში ერთდროს გამოთქმული იყო მოსაზრება, თითქოს მარქსის დებულება პარიზის კომუნის, როგორც პროლეტარიატის მიზანშეწონილი ფორმის შესახებ, მივიწყებას მიეცა. მაგრამ ენგელსის მიმართ, ასეთი საყვედური სამართლიანი არ არის. მას ცხადია მხედველობაში ჰქონდა არა ბურჟუაზიული პარლამენტური რესპუბლიკა, არამედ სრულიად ახალი შინაარსის მქონე, ჭეშმარიტად დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული რესპუბლიკა. ხოლო პარიზის კომუნაც ხომ თავისი შინაარსით მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას განასახიერებდა. მეორე საკითხია, რომ ვ. ი. ლენინი, რომელიც აწვითარებდა მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას და ამდიდრებდა მას ახალი დებულებებით, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საბჭოების რესპუბლიკა უნდა გახდეს რუსეთისათვის სპეციფიკური და მიზანშეწონილი პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა.

⁷ ფ. ენგელსი, „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, გვ. 238.

⁸ იქვე, გვ. 239.

გაერო და თანამშრომლობის საერთაშორისო სამართლებრივი პრობლემები

ბ. შვანიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

25 წლის წინათ, 1945 წ. 24 ოქტომბერს, ძალაში შევიდა გაეროს* წესდება, რითაც დასაბამი მიეცა ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ორგანიზაციის არსებობას, მის მოღვაწეობას საყოველთაო მშვიდობის უზრუნველსაყოფად და სახელმწიფოთა თანამშრომლობისათვის მთელი კაცობრიობის ეკონომიური და სოციალური პროგრესის საკეთილდღეოდ. ამიტომ 24 ოქტომბერი ყოველ წელს აღინიშნება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღე. წლებულს ეს თარიღი საიუბილეოა, რაც უფლებას აძლევს ხალხებს ასე თუ ისე შეაჯამონ ამ ორგანიზაციის მოღვაწეობა მეოთხედი საუკუნის მანძილზე, კრიტიკულად შეაფასონ იგი, რათა ხელი შეუწყონ იმ მაღალი მიზნებისა და პრინციპების განხორციელებას, რომლებიც მის წესდებაშია ჩაწერილი.

გაერო შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის დროს იმ ხალხთა ნებით, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდნენ ნაცისტური გერმანიის, მისი სატელიტებისა და იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ: 1943 წ. მოსკოვში სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია საყოველთაო უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსების აუცილებლობაზე; შემდეგ, 1944 წ., დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჩინეთის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს გაეროს წესდების პროექტი, რომელიც სათანადო ცვლილება-შესწორების შეტანის შემდეგ საბოლოოდ მიიღო 50 სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონფერენციამ სან-ფრანცისკოში 1945 წლის 26 ივნისს.

გაერო შეიქმნა სწორედ იმ მიზნით, რათა კაცობრიობამ არასოდეს აღარ განიცადოს მსოფლიო ომის საშინელება, ხალხებმა იცხოვრონ, როგორც კეთილმა მეზობლებმა, მშვიდობიანად გადაწყვიტონ ყოველგვარი დავა ურთიერთ შორის, საერთო ძალით აღკვეთონ აგრესია და უზრუნველყონ საყოველთაო მშვიდობა. გაეროს ეს უმთავრესი მიზანი გამოცხადებულია წესდების პრეამბულასა და პირველ მუხლში.

იღვწოდა რა უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის შესაქმნელად, რომელიც უნდა გამხდარიყო ცენტრი სახელმწიფოების, მათ შორის სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოების პოლიტიკური თანამშრომლობისა,

* „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“ მრავალ ენაზე იხმარება შემოკლებით (რუსულად ООН, ინგლისურად UNO და ა. შ.) ქართულად გამჭობინეთ ძირითადად მარცვლოვანი შემოკლება „გაერო“, რომელიც ჭერჭერობით მიღებულია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისთვისაც.

საბჭოთა კავშირი არ ეძლეოდა ილუზიას, რომ ასეთი თანამშრომლობა იოლად განხორციელდებოდა. სკკპ და საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობდნენ ლენინური მოძღვრებით იმის შესახებ, რომ ორი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა ჩვენი ეპოქის ისტორიული კანონზომიერებაა. თვით ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა სახელმწიფოს მოკავშირეები იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი, აგრეთვე ის გარემოება, რომ ისინი დათანხმდნენ ასეთი ორგანიზაციის შექმნაზე, თავისთავად ამ ისტორიული კანონზომიერების ობიექტური აუცილებლობის დადასტურებას წარმოადგენდა.

გაეროს მიზნებს შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ის დემოკრატიული საწყისები, რომლებიც საფუძვლად დაედო წესდებას და რომელთა დაცვა გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებაა. კერძოდ, ორგანიზაცია ემყარება ყველა სახელმწიფოს სუვერენული თანასწორობის პრინციპს. ამის გამოხატულებაა ის, რომ გაეროს მთავარ ორგანოში, გენერალურ ასამბლეაში, თითოეულ წევრ სახელმწიფოს ერთი ხმა აქვს, ისინი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ გაეროს სხვა ორგანოებშიც, თანაბარია მათი მოვალეობანიც ორგანიზაციის წინაშე.

ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს უშიშროების საბჭო, სადაც ხუთი დიდი სახელმწიფო — სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი — მუდმივი წევრებია და სადაც მოქმედებს მათი ერთხმიანობის პრინციპი, როცა საკითხი ეხება მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სახელდობრ: ასეთ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია, რომ გადაწყვეტილებას ხმა მისცეს საბჭოს 15 წევრიდან სულ მცირე 9 წევრმა და ამ უკანასკნელთა რიცხვში — ხუთივე მუდმივინა წევრმა.

ერთხმიანობის პრინციპი არ არღვევს გაეროს წევრ სახელმწიფოთა სუვერენულ თანასწორობას, იგი ნაკარნახევია ობიექტური გარემოებით, სახელდობრ იმით, რომ უშიშროების საბჭო თავის ფუნქციას — აგრესიის საფრთხის აღკვეთისა და აგრესიის დათრგუნვის ფუნქციას წარმატებით შეასრულებს, თუ სათანადო კოლექტიურ ღონისძიებებს ერთსულოვნად დაუჭერს მხარს ხუთი დიდი სახელმწიფო, რადგან მათი ეკონომიური და სამხედრო ძლიერება გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორია; და პირიქით: თუ ეს სახელმწიფოები ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებზე დადგებიან, არა მარტო ჩაიშლება კოლექტიური სანქციები აგრესორის მიმართ, არამედ შეიქმნება იმის საფრთხე, რომ აგრესიის აქტი მსოფლიო მასშტაბის კონფლიქტში გადაიზარდოს. მაშასადამე, ერთხმიანობის პრინციპი როდი ნიშნავს ხუთი დიდი სახელმწიფოს რაიმე პრივილეგიებს, იგი ასახავს იმ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ ეკისრებათ საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

ამგვარად, ერთხმიანობის პრინციპი უშიშროების საბჭოსა და მთელი ორგანიზაციის ეფექტურობის რეალური იურიდიული საფუძველია. ამიტომაც დღემდე არ წყდება დასავლეთის პოლიტიკოსებისა და იურისტების თავდასხმები მასზე, მათი ცდები, რომ გადაისინჯოს გაეროს წესდება და პირველ ყოვლისა გაუქმდეს სწორედ ეს პრინციპი. გაეროს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობას კარგად ესმის, რომ ორგანიზაციის სისუსტე მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში მშვიდობის დარღვევისას აიხსნება არა ერთხმიანობის პრინციპით, არამედ იმ ფაქტით, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები ხშირად უხეშად არღვევენ გა-

ეროს წესდებით ნაკისრ ვალდებულებებს, მასში ასახულ საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს.

ამ პრინციპთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო დავის გადაწყვეტა მშვიდობიანი საშუალებებით. წესდება ავალებს წევრ სახელმწიფოებს ურთიერთშორის დავა გადაჭრან უშუალო დიპლომატიური მოლაპარაკებით, სხვა სახელმწიფოთა შუამავლობით, არბიტრაჟით ან საერთაშორისო სასამართლოში, ბოლოს — გაეროს მეშვეობით. აქ დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა უშიშროების საბჭოს კომპეტენციაშია.

ამ პრინციპთან ორგანულადაა დაკავშირებული მეორე უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გაეროს წევრებმა საერთაშორისო ურთიერთობაში თავი უნდა შეიკავონ ძალისმიერი მუქარისა და ძალის გამოყენებისაგან ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. წესდების ამ დებულებამ საბოლოოდ განამტკიცა საერთაშორისო სამართალში აგრესიული ომის გამოცხადება კაცობრიობის საწინააღმდეგო უმძიმეს დანაშაულად. ამასთან ერთად გაეროს წესდება ადასტურებს სახელმწიფოს შინაგან საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპს. ასეთი ჩარევის უფლება აქვს მარტოოდენ უშიშროების საბჭოს და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოში შექმნილი სიტუაცია წარმოადგენს რეალურ საფრთხეს მშვიდობისათვის. მაშინ უშიშროების საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს ამ სახელმწიფოს მიმართ იძულების ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომლებსაც არ გააჩნიათ სამხედრო ხასიათი, სახელდობრ, მოსთხოვოს წევრ სახელმწიფოებს ეკონომიური კავშირუროთიერთობის, მიმოსვლის, საფოსტო და სხვა კავშირგაბმულობის, აგრეთვე დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა ამ სახელმწიფოსთან.

გაეროს წესდებაში ჩამოყალიბებული ეს პრინციპები, რომლებიც დეტალიზებული არიან წესდების სხვადასხვა მუხლებში, მყარ სამართლებრივ საფუძველს ქმნიან იმისათვის, რომ გაერომ განახორციელოს საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფის უმთავრესი მიზანი. ამასვე ემსახურება მისი სტრუქტურაც: გაეროს ხუთი მთავარი ორგანოდან ყველაზე მნიშვნელოვანია გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო. უშიშროების საბჭო შექმნილია სწორედ ამ უმთავრესი მიზნის განსახორციელებლად. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებას მშვიდობის დარღვევის, აგრესიის შემთხვევაში. გარდა აღნიშნული არასამხედრო ხასიათის ღონისძიებებისა, უშიშროების საბჭოს შეუძლია აგრესორის წინააღმდეგ გამოიყენოს სამხედრო სანქციები, დაწყებული სამხედრო დემონსტრაციითა და ბლოკადით და დამთავრებული შეიარაღებული ძალების საომარი ოპერაციებით. ეს შეიარაღებული ძალები უშიშროების საბჭოს უნდა გადასცენ იმ სახელმწიფოებმა, რომლებსაც ამის თაობაზე სპეციალური შეთანხმებები ექნებათ დადებული საბჭოსთან ამ უკანასკნელის მოთხოვნით. სამხედრო სანქციების განსახორციელებლად გაეროს წესდება ითვალისწინებს უშიშროების საბჭოსთან სამხედრო საშტაბო კომიტეტის შექმნას საბჭოს მუდმივი წევრების სამხედრო წარმომადგენლებისაგან.

რაც შეეხება გენერალურ ასამბლეას, იგი უფლებამოსილია განიხილოს საერთაშორისო თანამშრომლობის ყველა საკითხი, რომელიც საერთოდ შედის გაეროს კომპეტენციაში, კერძოდ — მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში სა-



ხელმწიფოთა თანამშრომლობის ზოგადი პრინციპები, შეიარაღების რეგულირებისა და განიარაღების საკითხები და ყველა ამის თაობაზე რეკომენდაციები მისცეს როგორც წევრ სახელმწიფოებს, ასევე უშიშროების საბჭოს. გენერალურ ასამბლეას შეუძლია განიხილოს მშვიდობისათვის საფრთხის შემცველი ამა თუ იმ კონკრეტული საერთაშორისო დავის თუ სიტუაციის საკითხიც, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშიშროების საბჭო თხოვს მას ამის შესახებ. ამ შემთხვევაშიც გენერალური ასამბლეა იღებს რეკომენდაციის ხასიათის რეზოლუციას, განსხვავებით უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებისაგან, რომელსაც საფაღდებულო ძალა აქვს.

მაშასადამე, თანახმად წესდებისა, გენერალურ ასამბლეას არა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ქმედითი ღონისძიებები, სანქციები განახორციელოს მშვიდობის უზრუნველსაყოფად და ამ საქმეში იგი ვერ შეცვლის უშიშროების საბჭოს. მიუხედავად ამისა, დასავლეთის სახელმწიფოებს ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით არა ერთხელ უცდიათ გენერალური ასამბლეისათვის გადაეცათ უშიშროების საბჭოს ფუნქციები, რათა გვერდი აევლოთ ხუთი დიდი სახელმწიფო ერთხმეობის პრინციპისათვის და ამით თავიდან აეცილებინათ აგრესორის წინააღმდეგ კოლექტიური სანქციების გამოყენების რეალური შესაძლებლობა.

ამგვარად, გაეროს წესდება, რომელიც ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთგვარ კოდექსს. რა თქმა უნდა, იგი არაა რაღაც ზესახელმწიფოს კონსტიტუცია, ისევე როგორც თვით გაერო არ არის და არც შეიძლება იყოს მსოფლიოს მთავრობა. საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობენ სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ურთიერთშეთანხმებით ისინი თვითონ ქმნიან ამ ურთიერთობათა მომარაგებელ იურიდიულ ნორმებს — საერთაშორისო სამართალს და თვითონვე ახორციელებენ იძულებას ამ ნორმების დამრღვევი სახელმწიფოს მიმართ. გაერო, ისევე როგორც ყოველი საერთაშორისო ორგანიზაცია, შექმნილია სუვერენული სახელმწიფოების თანამშრომლობისათვის, წარმოადგენს მათ ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელების ინსტრუმენტს, მოქმედებს მათი ნებით და მათი სახელით.

როგორ ახორციელებდა გაერო ამ 25 წლის განმავლობაში თავის ძირითად დანიშნულებას?

ბირველ ხანებში გაეროში სჭარბობდა იმპერიალისტური სახელმწიფოების გავლენა, რამაც არა ერთხელ განაპირობა მისი მარცხი — იგი ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. უფრო მეტიც: ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა იმპერიალისტური ქვეყნები თავიანთი აგრესიული პოლიტიკის იარაღადაც კი იყენებდნენ მას. საკმარისია გავიხსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია კორეაში, რაც გაეროს ცისფერი ალბით ხორციელდებოდა, იმის ნაცვლად, რომ ამოქმედებულიყო წესდებით გათვალისწინებული მექანიზმი და უშიშროების საბჭოს გამოყენებინა სანქციები ნამდვილი აგრესორის მიმართ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გენერალურ ასამბლეას თავს მოახვია უკანონო რეზოლუცია, რომელიც ანიჭებდა მას შეიარაღებული ძალების გამოყენების უფლებას. წესდების ასეთმა უხეშმა დარღვევამ საშუალება მისცა იმპერიალისტურ ძალებს ხელოვნურად გამოეწვიათ 1964 წელს გაეროს ფინანსური კრიზისი, ჩაეშალათ გენერალური ასამბლეის XIX სესია და საფრთხე შეექმნათ მთელი ორგანიზაციის არსებობისათვის.



თანამედროვე მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო არენაზე სულ უფრო იცვლება დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალიზმის სასარგებლოდ. ეს პროცესი თავს იჩენს გაეროს მოღვაწეობაშიც. ამერიკის შეერთებულ შტატებს და მასთან სამხედრო ბლოკებით დაკავშირებულ სახელმწიფოებს სულ უფრო უძნელდებათ სწორ გზას ააცდინონ გაერო, მიიღონ მისი თანხმობა აგრესიის აქტების ჩასაღწევა, უმწეო გახადონ იგი ომის საშიში კერების შექმნისას დედამიწის სხვადასხვა რაიონში. გაეროში სულ უფრო ფართო მხარდაჭერას პოულობს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების თანმიმდევრული ბრძოლა ამ საშიში კერების ჩასაქრობად და საყოველთაო მშვიდობის დაცვა-განმტკიცებისათვის.

გაეროში ძალთა თანაფარდობის ცვლილებაზე მიუთითებს მისი ახლანდელი შემადგენლობა. თუ გაერო თავდაპირველად 51 სახელმწიფოს აერთიანებდა, რომელთაგან სოციალისტური იყო 6, ხოლო აზიისა და აფრიკისა — 13, ამჟამად გაეროს 127 წევრიდან 11 სოციალისტური ქვეყანაა, აზია-აფრიკის სახელმწიფოთა რიცხვმა კი 72-ს მიაღწია, ე. ი. ბევრად გადაჭარბა წევრ სახელმწიფოთა საერთო რაოდენობის ნახევარს. ამ ქვეყნების უდიდესი უმრავლესობა კოლონიური უღლისაგან ახლად განთავისუფლებული სახელმწიფოებია, რომელთა სასიცოცხლო ინტერესები — კოლონიალიზმის ნაშთების აღმოფხვრა, ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, ბრძოლა ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ — გარდუვალად მოითხოვენ საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფას. ამის შედეგად გაეროს წევრ სახელმწიფოთა შორის ნათლად გამოიკვეთა ანტიიმპერიალისტური უმრავლესობა. მას ხშირად უერთდება მრავალი სახელმწიფო ძველი კაპიტალიზმის სამყაროდან, კერძოდ — ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქვეყანა, რომლებიც ჯერაც ნახევრად კოლონიურ, დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, აგრეთვე სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები, რომლებიც ნეიტრალიზმის პოლიტიკას ატარებენ.

ანტიიმპერიალისტური ძალების მხრივ სოციალისტური სახელმწიფოების მტკიცე პოზიციებისათვის მხარდაჭერის მეოხებით გაეროს მოღვაწეობა სულ უფრო დგება მშვიდობის სამსახურში. ამ მხრივ აღსანიშნავია ისეთი წარმატებანი, როგორიც იყო ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიის შეჩერება, ლიბანსა და იორდანიაში ინგლის-ამერიკის ინტერვენციის დროული აღკვეთა, დასავლეთ ირანის ჯამო ინდონეზია-ჰოლანდიის დავის სამართლიანი გადაწყვეტა, კამბიის თაობაზე ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის მოგვარება, კვიპროსზე შექმნილი საომარი სიტუაციის ლიკვიდაცია.

გაეროს პრესტიჟის განმტკიცებას, მის მიერ უმთავრესი მიზნის განხორციელებას ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი აქტების მიღება, როგორცაა გენერალური ასამბლეის რეზოლუცია ომის პრობლემაზე, აკრძალვაზე, დეკლარაცია სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევის დაუშვებლობაზე, საბჭოთა კავშირის ინიციატივით გაჩაღებული მუშაობა აგრესიის ცნების განმსაზღვრელი კონვენციის დასადგენად და სხვა. მთავარი წარმატება კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ 25 წლის განმავლობაში კაცობრიობამ თავიდან აიცილა ახალი მსოფლიო ომი, რამაც გაერომ უთუოდ დიდი წვლილი შეიტანა.

ეს წარმატებანი, ცხადია, არ აძლევს ხალხებს იმის უფლებას, რომ გაცილებით უფრო მეტი ეფექტურობა არ მოსთხოვონ გაეროს. იგი მოვალეა ყოველი ღონე იხმაროს იმისათვის, რათა ბოლო მოეღოს აგრესიას ინდოჩინეთში, ზუსტად შესრულდეს ლუმიწროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც სახავს

ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური მოწესრიგების სამართლიან გზას, მომზადდეს რეალური ნიადაგი განიარაღებისა და სხვა პრობლემების გადასაჭრელად, ურომლისოდაც შეუძლებელია საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფა.

გასაგებია, რომ საერთაშორისო დაძაბულობის მთავარ წყაროს წარმოადგენს სახელმწიფოების, უმთავრესად კი ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნების გამალებული შეიარაღება. ამიტომ შეიარაღების რეგულირებისა და საერთოდ განიარაღების პრობლემა საერთაშორისო ცხოვრების კარდინალური პრობლემაა.

საბჭოთა კავშირის ბეჯითი მეცადინეობით გაერომ შესძლო მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაედგა ამ პრობლემის გადაჭრის მიმართულებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აფრიკის გამოცხადება უატომო ზონად, მოსკოვის ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვაზე სამ სფეროში და ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუფრცხვანობის შესახებ. ამასთან ერთად ბირთვული იარაღის გამოყენებას საგრძნობლად ზღუდავს ხელშეკრულება კოსმოსურ სივრცეში სახელმწიფოთა საქმიანობის პრინციპებზე. ეს საერთაშორისო აქტები უაღრესად დადებით როლს ასრულებენ საერთაშორისო დაძაბულობის შესასუსტებლად და მკვეთრად ამცირებენ ყველაზე უფრო საშიშელი კატასტროფის საფრთხეს.

გარდა ამისა, გაეროში მზადდება კიდევ ერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც აკრძალავს ბირთვული იარაღისა და მასობრივი მოსპობის იარაღის სხვა სახეობათა განლაგებას ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მის წიაღში. გენერალურ ასამბლეას განსახილველად გადაცემული აქვს აგრეთვე პროექტი კონვენციისა ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და დაგროვების აკრძალვის და მისი მარაგის განადგურების შესახებ. გაეროს გადაუდებელი ამოცანაა თანმიმდევრულად განახორციელოს ეფექტური ღონისძიებანი გენერალური ასამბლეის იმ რეზოლუციის შესასრულებლად, რომელმაც საყოველთაო და სრული განიარაღება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემად გამოაცხადა.

საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა მჭიდროდ უკავშირდება კოლონიალიზმის სრულ ლიკვიდაციას, რომლის საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძველი ნათლად აისახა გაეროს წესდებაში ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის სახით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ანტიიმპერიალისტური განმათავისუფლებელი ბრძოლის მძლავრმა აღმავლობამ გამოიწვია კაპიტალიზმის კოლონიური სისტემის სწრაფი რღვევა და მრავალი ახალი სუვერენული სახელმწიფოს წარმოშობა. ამ პროცესს დიდად შეუწყობდა ხელი საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მტკიცე პოზიციამ გაეროშიც. გენერალური ასამბლეის მიერ 1960 წელს ისტორიული მნიშვნელობის დეკლარაციის მიღება კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ განპირობებული იყო ამ პროცესის კანონზომიერებით; ამავე დროს დეკლარაციამ თავის მხრივ უაღრესად დადებითი როლი შეასრულა კოლონიალიზმის ლიკვიდაციაში და ამჟამადც ასრულებს. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში 47 სუვერენული სახელმწიფო წარმოიშვა ყოფილ კოლონიურ ტერიტორიებზე.

დეკლარაციამ იურიდიული საფუძველი გამოაცალა გაეროს ჩარჩოებში შექმნილ მეურვეობის საერთაშორისო სისტემას, რომელიც თავის დროზე უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო ერთა ლიგის მანდატების სისტემასთან შედა-

რებით, მაგრამ ახლა უკვე მოძველებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან დეკლარაციის კატეგორიული მოთხოვნა დამოუკიდებლობის მინიჭებაზე თანაბრად ეხება სამეურვეო ტერიტორიებსაც. აქედან გამომდინარე, ზედმეტი გახდა მეურვეობის საბჭო, როგორც გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანო. მისი ადგილი ფაქტიურად დაიკავა გენერალური ასამბლეის სპეციალურმა კომიტეტმა, რომლის ფუნქციაა თვალყური ადევნოს და ხელი შეუწყოს დეკლარაციის შესრულებას. ამ სფეროში გაეროს კვლავაც მოუხდება დაძაბული მუშაობა: 30 მილიონამდე ადამიანი ჯერ კიდევ რჩება კოლონიალიზმის უღელქვეშ; დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები ფუშავენ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს როდესაც რასისტულ-კოლონისტური რეჟიმის წინააღმდეგ ეკონომიური სანქციების გამოყენების შესახებ და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის მიწოდების აკრძალვაზე; სამხრეთ კორეა ჯერაც ოკუპირებულია ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების მიერ, რომლებიც ამისათვის გაეროს ალამს იყენებს; რაც მთავარია, ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამში, კამბოჯასა და ლაოსში, ისევე როგორც ისრაელისა ახლო აღმოსავლეთში იმპერიალიზმის ნეოკოლონისტური პოლიტიკის გამოხატულებაა და გაერო მოვალეა გამოიყენოს წესდებით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა ამ დანაშაულებრივი პოლიტიკის აღსაკვეთად.

გაერო მოწოდებულია ხელი შეუწყოს წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობას ეკონომიური კავშირთა თვითობის სფეროშიც. ამისათვის მას აქვს ორგანოების მთელი სისტემა — ეკონომიური და სოციალური საბჭო თავისი განშტოებებით, 4 რეგიონული ეკონომიური კომისია (ევროპისათვის, აზიისა და შორეული აღმოსავლეთისათვის, ლათინური ამერიკისათვის და აფრიკისათვის); გარდა ამისა რამდენიმე საერთაშორისო მთავრობითი ორგანიზაცია (სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა), შექმნილი სახელმწიფოთა ეკონომიურ-ფინანსური თანამშრომლობისათვის, დაკავშირებული არიან გაეროსთან და წარმოადგენენ მის სპეციალიზებულ დაწესებულებებს. ამ მიმართულებით გაეროს მოღვაწეობაში აღინიშნება ზოგიერთი წარმატება, მაგრამ გასაკეთებელი ბევრად უფრო მეტია, განსაკუთრებით ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოების ეკონომიკის განვითარებისათვის ხელის შესაწყობად, რათა მათი სუვერენული დამოუკიდებლობა ემყარებოდეს საკუთარ ეკონომიურ ძლიერებას და მათი ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაცია მათივე ხალხების კეთილდღეობას ხმარდებოდეს.

მრავალმხრივი და ფრიად ნაყოფიერი იყო ამ 25 წლის მანძილზე გაეროს მოღვაწეობა სოციალური თანამშრომლობისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის დარგებში. ეს მოღვაწეობა ხორციელდება ეკონომიური და სოციალური საბჭოს და მისი სხვადასხვა ორგანოების მეშვეობით, აგრეთვე ისეთ სპეციალიზებულ დაწესებულებებთან თანამშრომლობით, როგორცაა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კონვენცია გენოციდის დანაშაულისა და მისი დასჯადობის შესახებ, გენერალური ასამბლეის რეზოლუციები ომის დამანაშავეთა დასჯის აუცილებლობაზე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა პაქტები, აპარტჰეიდის გამოცხადება დანაშაულებრივ პოლიტიკად, კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ.

ეს საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები ავითარებენ და დეტალურ ნორმებად აყალიბებენ პრინციპებს, რომლებიც ასახულია გაეროს წესდებაში. საერთოდ წესდება ავალებს ორგანიზაციას იზრუნოს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისა და კოდიფიკაციისათვის. ამ მიზნით სპეციალურად შექმნილ საერთაშორისო სამართლის კომისიას დიდი მუშაობა აქვს გაწეული, რის შედეგად სისტემატიზებულია დიპლომატიური და საკონსულო სამართალი, საერთაშორისო საზღვაო სამართალი და საერთაშორისო ხელშეკრულების სამართალი. სოციალური პრობლემებიდან გაეროში ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა დემოგრაფიულ საკითხებს, სახელმწიფოთა თანამშრომლობას გარემოს გაქუჩყიანების წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვა.

გაერო ხელს უწყობს აგრეთვე საერთაშორისო თანამშრომლობას მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებში. კერძოდ, მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული კოსმოსის ათვისების საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძვლების შემუშავებაში. ეს საფუძვლები აისახა ჯერ დეკლარაციაში, ხოლო შემდეგ საერთაშორისო ხელშეკრულებაში კოსმოსური სივრცის კვლევისა და მშვიდობიანი მიზნით გამოყენების პრინციპებზე. აღსანიშნავია აგრეთვე გაეროს თანამშრომლობა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან, როგორც სპეციალიზებულ დაწესებულებასთან, კაცობრიობის მშვიდობიანი ცხოვრების. ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის ბირთვული ენერჯის გამოყენების საქმეში.

გაეროს მოღვაწეობას იმ მიზნით, რათა ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა თანამშრომლობას ეკონომიურ, სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და ამგვარ დარგებში, უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო პროგრესისათვის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დარგებში წარმატების აუცილებელი პირობაა მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფა, რაც გაეროს უმთავრეს მიზანს შეადგენს; უპირველეს ყოვლისა სწორედ ამისთვის შეიქმნა იგი 25 წლის წინათ როგორც უნივერსალური პოლიტიკური საერთაშორისო ორგანიზაცია. დასავლეთის სახელმწიფოები კი განზრახ ივიწყებენ ამ ჭეშმარიტებას და ცდილობენ გაეროს მოღვაწეობაში სიმძიმის ცენტრი ეკონომიურ, სოციალურ და მეცნიერულ-ტექნიკურ საკითხებზე გადაიტანონ, მათ მიანიჭონ უპირატესი მნიშვნელობა. ამ ტენდენციის დასაბუთების მიზნით ისეთ პროგნოზებსაც იშველიებენ, თითქოს, მაგალითად, დედამიწის მოსახლეობის ზრდა, ანდა ადამიანის გარემოს გაქუჩყიანება უფრო დიდ კატასტროფას მოასწავებდეს კაცობრიობისათვის, ვიდრე ახალი მსოფლიო ომი ბირთვული იარაღის გამოყენებით.

ასეთი ტენდენციის შედეგია ის, რომ გაეროში ძალიან გამრავლდა სწორედ ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხებისათვის შექმნილი კომისიები, კომიტეტები, სამდივნოს განყოფილებები, უკიდურესად გადატვირთულია გაეროს სხვადასხვა ორგანოების, განსაკუთრებით გენერალური ასამბლეის სესიათა დღის წესრიგი, ამის შესაბამისად იზრდება გამოცემული დოკუმენტაციის მოცულობა (მაგალითად, 1968 წ. გაეროსა და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების დოკუმენტაციამ 700 მილიონ გვერდს მიაღწია), რაც მთავარია, არაჩვეულებრივად გაიზარდა გაეროს ბიუჯეტი: 21 მილიონი დოლარიდან 168 მილიონამდე.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რათა გაეროს მოღვაწეობა სულ უფრო მეტად წარიმართოს უმთავრესი მიზნის განხორციელებისაკენ და მოქმედების სათანადო კონკრეტულ პროგრამას სთავაზობენ მას. სწორედ ამ სახელმწიფოების თაოსნობით მიიღო გენერალურმა ასამბლეამ თავის XXV საიუბილეო სესიაზე დიდმნიშვნელოვანი

აქტი „დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა გაეროს წესდების შესაბამისად სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც კატეგორიულად გმობს აგრესიულ ომს, უკანონოდ აცხადებს ტერიტორიის დასაკუთრებას ძალისმიერი მუქარისა თუ ძალის გამოყენების შედეგად, მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ მოედოს ბოლო კოლონიალიზმს, და ა. შ.

იმავე დღეს (24 ოქტომბერს) გენერალურმა ასამბლეამ მიიღო აგრეთვე „დეკლარაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოცდამეხუთე წლისთავის გამო“. ამ დოკუმენტში წინა პლანზეა წამოწეული წევრ სახელმწიფოთა მიერ იმ მოვალეობათა პრაქტიკული შესრულების ამოცანა, რომლებსაც მათ აკისრებს გაეროს წესდება, და ამასთან დაკავშირებით დადასტურებულია ორგანიზაციის მზადყოფნა განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველსაყოფად, კოლონიების ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მხარის დასაჭერად, საყოველთაო და სრული განიარაღების მიზნით. დეკლარაცია მთავრდება ამ სიტყვებით:

„დღეს კაცობრიობის წინაშეა კრიტიკული და გადაუდებელი ალტერნატივა --- ან მშვიდობიანი თანამშრომლობის გაფართოება და პროგრესი, ან გათიშვა და კონფლიქტები, განადგურებაც კი. ჩვენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, ზემოთ აღვნიშნავთ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოცდამეხუთე წლისთავს, კვლავ ვადასტურებთ მზადყოფნას გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რათა უზრუნველვყოთ მტკიცე მშვიდობა დედამიწაზე, დავიცვათ წესდებაში ჩაწერილი მიზნები და პრინციპები და სრულ რწმენას გამოვთქვამთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოქმედება ხელს შეუწყობს კაცობრიობის წინსვლას მშვიდობის, სამართლიანობისა და პროგრესის გზით“.

კეთილი ნების ადამიანები იზიარებენ ამ რწმენას, იმედოვნებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მათი მხარდაჭერით შესძლებს გაამართლოს თავისი დანიშნულება.

ზოგიერთი სიახლე საბჭოთა შრომის კანონმდებლობაში

3. შარაშენიძე

1970 წლის 15 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე მოწვევის პირველმა სესიამ დაამტკიცა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლები, რომელიც სამოქმედოდ შემოღებულ იქნება 1971 წლის პირველი იანვრიდან.

ამჟამად მოქმედი შრომის კანონთა კოდექსი, შემუშავებული ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით, მიღებულ იქნა 1922 წლის ოქტომბერში. მას შემდეგ თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო. ამ ისტორიულ მონაკვეთში საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაში უდიდესი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ძვრები მოხდა. შრომის კანონთა კოდექსი არსებით როლს ასრულებდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ წამოყენებული ამოცანების გადაჭრაში, დიდ გავლენას ახდენდა სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა განვითარებაზე, მაგრამ მისი აქტიური მოქმედების ძალა თანდათან მცირდებოდა. კოდექსის ზოგიერთი დებულება მოძველდა და აღარ პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს. ამიტომ მოძველებული მუხლების შესაცვლელად საბჭოთა სახელმწიფო ხშირად გამოსცემდა სხვადასხვა ნორმატულ აქტებს.

დროთა განმავლობაში შრომის სამართლებრივი რეგულირების სფეროში გამოცემულმა მრავალმა საკანონმდებლო აქტმა გააძნელა მათი გამოყენება. საჭირო გახდა მშრომელებისათვის ადვილად გასაგები შრომის კანონმდებლობის წყობრივი სისტემის შექმნა.

1970 წლის 12 ივნისს ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მუშაობა საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფისათვის უნდა განვაგრძოთ, რომ იგი არ ჩამორჩეს ცხოვრებას, რომ ჩვენი კანონები იყოს მტკიცე, სტაბილური და ამავე დროს სწორად ასახავდეს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს“.

შრომის კანონმდებლობის წინაშე მდგომი ამ ამოცანის პრაქტიკულად განხორციელების პირველ საფეხურს წარმოადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მიღება.

საფუძვლების მე-15 თავის 107-ე მუხლში სისტემატიზებულად ასახულია შრომის კანონმდებლობის ზოგადი ნორმები, რომლებიც შემდგომში უფრო დეტალურად იქნება დამუშავებული მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში. შრომის კანონმდებლობის საფუძვლები ითვალისწინებს იმ ცვლილებებს, რაც მოხდა შრომის პირობების სამართლებრივ რეგულირებაში მისი მიღების დღისათვის. ამავე დროს საფუძვლები შეიცავენ ახალ პრინციპულ დებულებებს, რაც ლოგიკური შედეგია უკანასკნელი ათეული წლის სასამართლო თუ პროფკავშირული ორგანოების შემუშავებული პრაქტიკისა, აგრეთვე სამართლის მეცნიერ და პრაქტიკული მუშაკების მოსაზრებათა გაზიარებისა.

ამ სტატიის მიზანია განვიხილოთ პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ზოგიერთი სიახლე.

სსრ კავშირის მოქალაქენი კონსტიტუციით გარანტირებულ შრომის უფლებას ახორციელებენ შესაბამის საწარმოსთან, ორგანიზაციასა და დაწესებულებასთან შრომის ხელშეკრულების დადების გზით. საფუძვლების მესამე კარი ითვალისწინებს შრომის ხელშეკრულების დადების, შეცვლის, აგრეთვე შეწყვეტა-გაუქმების წესებსა და პირობებს.

საფუძვლების თანახმად დაუშვებელია შრომითი უფლებების რაიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა ანუ უპირატესობის მიცემა სქესის, ეროვნებისა და რელიგიის გამო. მე-9 მუხლში საკანონმდებლო წესით პირველად არის აღიარებული, რომ აკრძალულია დაუსაბუთებელი უარი სამუშაოდ მიღებაზე.

შრომის კანონთა კოდექსისაგან განსხვავებით, საფუძვლებში უფრო მკაფიოდ და ამომწურავად არის ჩამოყალიბებული ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანის პირობები (მუხლი 12-14). განსაკუთრებით დაიხვეწა გადაყვანა საწარმოო აუცილებლობის შემთხვევებში. საფუძვლები განიხილავს საწარმოო აუცილებლობას როგორც გამონაკლის შემთხვევას და მას არ უკავშირებს საწარმოო გეგმებისა და დავალებების შესრულებას (მუხლი — 14).

იგივე მუხლი ითვალისწინებს ცვლილებებს ანაზღაურების წესში მოცდენის გამო გადაყვანის შემთხვევაში: მუშებს (კვალიფიკაციის მიუხედავად) და მოსამსახურეებს, რომლებიც გამომუშავების ნორმებს ასრულებენ, უნარჩუნდებით საშუალო ხელფასი, ხოლო ის ვინც გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებს ან გადაყვანილია დროითი ანაზღაურების სამუშაოზე — შეუნარჩუნდება სატარიფო განაკვეთი. საფუძვლების ძალაში შესვლამდე კანონმდებლობა ანაზღაურებას ითვალისწინებდა შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

სიახლენია მე-15 მუხლშიც, რომელიც აწესებს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს. მათგან საყურადღებოა მე-7 პუნქტი — ხელშეკრულების შეწყვეტა სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის ასეთი საფუძველი გათვალისწინებული იყო შრომის კანონთა კოდექსის 47-ე მუხლის „ე“ პუნქტით. 47-ე მუხლი საერთოდ ითვალისწინებდა შრომის ხელშეკრულების გაუქმებას საწარმოს (დაწესებულების) ადმინისტრაციის ინიციატივით, ხოლო მისი „ე“ პუნქტის პირველ ნაწილში კი ლაპარაკი იყო მუშაკის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაზე, რომელიც დგინდებოდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. მართალია ამ შემთხვევაში სამუშაოსთან უშუალოდ დაკავშირებულ დანაშაულთან გვექონდა საქმე და ხელშეკრულების გაუქმების ბრძანებაც იწერებოდა ადმინისტრაციის მიერ, მაგრამ ხელშეკრულების გაუქმების ინიციატივა უკანასკნელისაგან არ გამომდინარეობდა. საერთოდ ასეთ შემთხვევაში რომელიმე მხარის „ინიციატივაზე“ ლაპარაკი კი არ შეიძლებოდა, ამიტომ კანონმდებელმა, სრულიად მართებულად, საფუძვლებში იგი მოათავსა იმ მუხლში, რომელიც ითვალისწინებს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის (და არა გაუქმების) შემთხვევებს.

იმავე პუნქტის მეორე ნაწილი თვალისწინებდა შრომის ხელშეკრულების გაუქმებას თუ მუშაკი ორ თვეზე მეტ ხანს იმყოფებოდა პატიმრობაში.

აღნიშნული მიზეზით გათავისუფლებულ მუშაკს რეაბილიტაციის შემთ-

ხევედშიც კი არ ჰქონდა კანონიერი საფუძველი მოეთხოვა სამუშაოზე აღდგენა, თუმცა მას ეძლეოდა იძულებით გაცდენილი პერიოდის ხელფასი ორი თვის ფარგლებში.

ამ წესის საწინააღმდეგოდ სხვადსხვა მოსაზრებები იქნა გამოთქმული, მათ შორის იყო გ. იოსავასა და გ. მოსესიანის საკმაოდ დასაბუთებული მოსაზრებაც.¹

საფუძვლებმა აღარ გაითვალისწინეს მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების ასეთი შესაძლებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ 1971 წლის 1 იანვრიდან მუშაკი, რომელიც დაკავებული იქნება საგამოძიებო ორგანოების მიერ, სამუშაოდან გათავისუფლდება მხოლოდ მსჯავრის დადების შემთხვევაში, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია საფუძვლებში ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების საკითხებშიც. შემცირებულია სამუშაოდან გათავისუფლების შესაძლო შემთხვევები. მაგალითად, საფუძვლებში არ არის შესული მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლება საწარმოო ხასიათის მიზეზებით გამოწვეული ერთ თვეზე მეტი ვადით მუშაობის შეჩერების გამო.

საფუძვლები აწესტებს მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის წესებს. კოლექსის ზოგადი ფორმულირების „თუ აღმოჩნდება სამუშაოსათვის უვარგისობა“—ს ნაცვლად საფუძვლებში მკაფიოდ ჩაწერილია „თუ აღმოჩნდება, რომ მუშა ან მოსამსახურე არ შეეფერება ამ თანამდებობას ან შესრულებულ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ხელს უშლის ამ სამუშაოს განგრძობას“.

ასეთი რედაქცია გამორიცხავს დათხოვნის შესაძლებლობას მუშაკის ბრალეული მოქმედებისათვის შეუფერებლობის გამო (უნდობლობის მოტივით, ამორალური ვადაცდომისათვის).²

საფუძვლებში დაზუსტებულია აგრეთვე შინაგანაწესის სისტემატურად შეუსრულებლობის გამო სამუშაოდან გათავისუფლების საკითხიც. ამ ნორმის შეტანა სასამართლო ორგანოების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.


სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა, განაზოგადა რა სასამართლო პრაქტიკა სამოქალაქო შრომით საქმეებზე, 1957 წლის 13 სექტემბრის № 13 დადგენილების მე-17 პუნქტში მიუთითა სასამართლოებს, რომ მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლება შინაგანაწესის არასაპატიო მიზეზით სისტემატურად შეუსრულებლობისათვის დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ მიღებულმა საზოგადოებრივი ან დისციპლინარული ზემოქმედების ზომებმა არ გამოიღეს სათანადო შედეგი.

იგივე აზრია გატარებული საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 8 იანვრის დადგენილებაშიც.

დადგენილ წესს განუხრელად იცავდნენ როგორც სასამართლო, ისე პროფკავშირული ორგანოები, თუმცა კანონში არსად არ იყო იგი ჩაწერილი. ამ სა-

¹ В поисках виновника, «Труд» от 5 июня 1970 г.

² სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულების „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების ძალაში შესვლის წესის შესახებ“ მე-15 მუხლის შესაბამისად ამორალური ვადაცდომა მიჩნეულია როგორც სამუშაოდან გათავისუფლების დამოუკიდებელი საფუძველი იმ მუშაკებისათვის, რომლებიც აღმზრდელი ფუნქციებს ასრულებენ.



შარგებლო პრაქტიკას საფუძვლებმა კანონის ფორმა მისცეს, მაგრამ ერთი განსხვავებით: სიტყვა „ზემოქმედება“ შეცვლილია „სასჯელთა“.³

აღნიშნულმა ცვლილებამ საფუძვლების 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის ცვლილებასთან ჯამში მთელი რიგი კითხვები დააყენა, რაც მომავალმა შრომის კანონთა კოდექსმა უნდა გადაწყვიტოს.

სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა შრომის ტიპობრივი შინაგანაწესის⁴ 24-ე მუხლში აღნიშნულია, რომ საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელს უფლება აქვს შრომის დისციპლინის დამრღვევის მიმართ არ მიიღოს დისციპლინარული სასჯელი და მასალები გადასცეს ამხანაგურ სასამართლოს. ასეთ პირობებში მუშაკის სამუშაოზე აღდგენის საკითხის განხილვის დროს, სასამართლოსათვის ცხადი იყო, რომ საზოგადოებრივი ზემოქმედების ცნების ქვეშ ნაგულისხმევი უნდა ყოფილიყო ამხანაგური სასამართლოს ზემოქმედება. საფუძვლების 56-ე მუხლის მე-3 ნაწილით კი, ადმინისტრაციას აქვს უფლება შრომის დისციპლინის დამრღვევის საკითხი გადასცეს არა მარტო ამხანაგურ სასამართლოს, არამედ საზოგადოებრივ ორგანიზაციასაც.

ისმება კითხვა, რომელი ორგანიზაცია უნდა ჩაითვალოს იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციად, რომლის ზემოქმედებაც გათვალისწინებული იქნება შრომის დავის დროს.

ჩაითვლება ასეთად თუ არა პროფკავშირის წევრთა საერთო კრება ან მისი კომიტეტი? კომკავშირის კომიტეტის წევრთა საერთო კრება ან მისი კომიტეტი (ბიურო)? საზოგადოებრივი ორგანიზაციაა თუ არა საწარმოს (დაწესებულების) მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება?

კანონმდებლობის მიერ ამ საკითხის გადაჭრა ჯერ კიდევ არ იქნება საკითხის საბოლოო გადაწყვეტა, ვინაიდან დასადგენია — რა ჩაითვლება საზოგადოებრივ სასჯელად (და არა ზემოქმედებად). მიიჩნევა ასეთად ამხანაგური სასამართლოს მიერ დებულების მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მხოლოდ საქმის საჯაროდ მოსმენა?

სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვის თვალსაზრისით, ეს საკითხები შრომის კანონთა კოდექსის მიღებამდე, სათანადო უფლებამოსილი ორგანოების განმარტებას მოითხოვს.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკებში მოქმედი შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებს მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების შესაძლებლობას ავადმყოფობის მიზეზით ორ თვეზე მეტს ხანს სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო. მხოლოდ ბელორუსიის კოდექსი აწესებდა ოთხთვიან ვადას. საფუძვლებმა დააწესა ყველა რესპუბლიკისათვის ერთიანი ვადა — 4 თვე (ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების ჩათვლელად), ხოლო ზოგიერთი დაავადებისათვის უფრო ხანგრძლივი დროც. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც შრომის უნარი დაკარგეს შრომითი დასახიჩრებისა და პროფესიული დაავადების გამო.

3. ვაჭეთ „კომუნისტის“ 1970 წლის 16 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ „საფუძვლების“ ქართულ ტექსტში „ВЗЫСКАНИЕ“ თარგმნილია, როგორც „ზემოქმედება“, რაც არსებითი ხასიათის შეცდომაა.

4. დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის მიერ საქვეშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით 1957 წლის 12 იანვარის № 6 დადგენილებით.

სამუშაო ადგილი (თანამდებობა) ენახებათ გამოჯანმრთელებამდე ან ინვალიდობის დადგენამდე.

დღეს აღარ არსებობს ორი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს შრომის დავის განმხილველი ორგანო, განსაკუთრებით კი სასამართლო, როდესაც დადგინდება მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების ფაქტი პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე. ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკის სამუშაოდან დათხოვნისას პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან აუცილებელი შეთანხმების წესი პირველად დადგინდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 15 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებათაშესახებ დებულების მე-10 მუხლით. პირველ ხანებში ეს მუხლი პრაქტიკულად ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან სასამართლოები საქმეს იხილავდნენ არსებითად. 5—6 წელი დასჭირდა ამ არასწორი პრაქტიკის შეცვლას. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ამ საკითხში სწორი პოზიცია დაიჭირა, იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, რომელმაც 1963 წლის 15 ნოემბრის პლენუმის № 11 დადგენილების მე-3 პუნქტით განუმარტა სასამართლოებს, რომ პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა დებულების მე-10 პუნქტის დარღვევით გათავისუფლებულ მუშა-მოსამსახურეთა სარჩელის განხილვის დროს, მათ არ უნდა შეამოწმონ არსებითად დათხოვნის მოტივი, არამედ, დაადგენენ, რა, რომ დათხოვნა მოხდა ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე, გამოიტანონ გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

მოგვიანებით, 1964 წლის 30 ივნისს, ასევე გადაწყვიტა საკითხი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა № 8 დადგენილების მე-2 პუნქტით,⁵ ხოლო სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ კი — 1965 წლის 30 სექტემბრის დადგენილებით. დაბოლოს, შრომის ხელშეკრულების გაუქმების აკრძალვა ადმინისტრაციის ინიციატივით პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე და ამ მოთხოვნის დარღვევით გათავისუფლებულ მუშაკებს აღდგენის აუცილებლობა გაითვალისწინეს შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მე-18 და 91-ე მუხლებში.

იურიდიულ ლიტერატურაში და პრაქტიკაში არ იყო აზრთა ერთიანობა იმ საკითხის გადაწყვეტაში, თუ რომელი კატეგორიის მუშაკები შეიძლება გათავისუფლებულიყვნენ შრომის კანონთა კოდექსის 49-ე მუხლის საფუძველზე ე. ი. პროფესიული კავშირის მოთხოვნით.

სხვა ავტორებთან ერთად, ჩვენც გამოვთქვით მოსაზრება, რომ 49-ე მუხლი უნდა იყოს შრომის კანონმდებლობის დამრღვევი ხელმძღვანელი პირების წინააღმდეგ ბრძოლის მუხლი.⁶ სწორედ ასეთი აზრი გატარდა საფუძვლების მე-20 მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ პროფკავშირული ორგანოს მოთხოვნით (არა ნაკლებ რაიონულისა) ადმინისტრაცია მოვალეა გააუქმოს შრომის ხელშეკრულება ხელმძღვანელ მუშაკთან ან ჩამოაყენოს იგი დაკავებული თანამდებობიდან, თუ იგი არღვევს შრომის კანონმდებლობას, არ ასრულებს კოლექტიური ხელშეკრულების ველდებულებებს, იჩენს ბიუროკრატიზმს, აჭიანურებს საქმეს. ამ მუხლში სიახლეა ისიც, რომ მასში ლაპარაკია არა მარტო

⁵ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1964 г., № 4.

⁶ ვ. ი. შარაშენიძე — „შრომის კანონთა კოდექსის 49-ე მუხლის გამოყენება თანამედროვე პირობებში“, „საბჭოთა სამართალი“, 1968 წ. № 1. გვ. 35—40.

ხელმძღვანელი მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლებაზე, არამედ დასაქმებული თანამდებობიდან ჩამოყენებაზეც.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე, უკანონოდ სამუშაოდან გათავისუფლებულ მუშაკს, აღდგენისას ეძლეოდა იძულებით გაცდენილი პერიოდის ხელფასი, მაგრამ არა უმეტეს 20 დღისა.⁷ პრაქტიკამ ცხადყო, რომ მუშაკის უკანონოდ გათავისუფლებიდან აღდგენამდე 20 დღეზე მეტი გადიოდა, ამიტომ მუშაკი ხშირ შემთხვევებში სრულიად უსაფუძვლოდ, მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს განიცდიდა. სავარაუდოა, რომ სწორედ მშრომელთა მატერიალური ინტერესების დაცვის მიზნით საფუძველმა სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლებით გამოწვეული იძულებით გაცდენილი პერიოდის ანაზღაურების 3 თვის ხელფასის ზღვარი დააწესეს (მუხ. 92).

აღსანიშნავია საფუძვლებით დაწესებული ის სიახლეც, რომელიც ეხება მუშაკის მიერ სამუშაოდან გათავისუფლების საკითხის გასაჩივრების ვადის დადგენას. საფუძვლების 90-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს დათხოვნის საქმეთა გამო შეუძლიათ მიმართონ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დათხოვნის ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. ანალოგიური ვადა დაწესებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 27 იანვრის № 116/44 დადგენილებით,⁸ მხოლოდ იგი ეხებოდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც მუშაკის გათავისუფლება ხდებოდა პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობით.

საფუძვლების თანახმად კი გასაჩივრებისათვის დაწესებული ვადა ეხება როგორც პროფკავშირის კომიტეტის თანხმობით დათხოვნილ, ისე თანხმობის გარეშე დათხოვნილ პირს.

შრომითი ურთიერთობის სფეროში სოციალისტური კანონიერების დაცვის ერთ-ერთ ქმედით ზომას წარმოადგენს თანამდებობის პირის მატერიალური პასუხისმგებლობა.


თანამდებობის პირის მატერიალური პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც მათ საწარმოს (დაწესებულებას) მიაყენეს სამუშაოზე აღდგენილი მუშაკისათვის იძულებითი გაცდენილი პერიოდის ანაზღაურების გამო, პირველად დაწესებული იყო შრომითი კონფლიქტების სამომრიგებლო-სამედიატორო და სასამართლო განხილვის წესების 72-ე მუხლით.⁹ ეს მუხლი თანამდებობის პირის მატერიალური პასუხისმგებლობის ზღვარს აწესებდა სამი თვის ხელფასის ფარგლებში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1957 წლის 31 იანვრის ბრძანებულებით დაამტკიცა დებულება შრომის დავების განხილვის წესის შესახებ, რომლითაც სამომრიგებლო-სამედიატორო წესები გაუქმებული იქნა (მათ შორის 72-ე მუხლიც). მაგრამ სასამართლოები უკვე ხელმძღვანელობდნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სათანადო მუხლით, რომელმაც თავის დროზე აითვისა წესების 72-ე მუხლის შინაარსი.

მოკავშირე რესპუბლიკების ახალი სამოქალაქო-საპროცესო კოდექსების

⁷ იხ. «Известия», 29 декабря 1938 г.

⁸ «Ведомости Верховного Совета ССР», 1959 г., № 5, стр. 53.

⁹ დამტკიცებულია სსრ კავშირის ცაკ-ის და სახკომსაბჭოს 1928 წლის 29 აგვისტოს დადგენილებით.



მიღების შემდეგ შეიქმნა მეტად გაურკვეველი მდგომარეობა. ახალმა საპროცესო კოდექსებმა გააუქმეს რა ძველი კოდექსები, სრულიად სამართლიანად აღარ გაითვალისწინეს მატერიალური ხასიათის ნორმები. ასე მაგალითად, საქართველოს სსრ სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის (რომელიც სამოქმედოდ ძალაში შევიდა 1965 წლის 1 ივლისიდან) 39-ე მუხლი, ლაპარაკობს რა სასამართლო პროცესში მესამე პირებად იმ თანამდებობის პირთა ჩაბმის შესახებ, რომელთა ბრალითაც მუშა-მოსამსახურეები კანონის აშკარა დარღვევით იყვნენ გათავისუფლებულნი სამუშაოდან, საწარმოსათვის (დაწესებულებისათვის) მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის უთითებს შრომის კანონმდებლობაზე, ხოლო შრომის კანონმდებლობაში ასეთი ნორმა აღარ არსებობდა. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ სპეციალური ნორმის მიღებამდე საჭიროა ვიხელმძღვანელოთ შრომის კანონთა კოდექსის 83-ე მუხლით,¹⁰ რომელიც ითვალისწინებს მატერიალური ზარალის ანაზღაურებას თვითური ხელფასის 1/3 ფარგლებში. მართალია 83-ე მუხლი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ზარალისათვის, რომელიც გამოწვეული იყო მუშაკის დაუდევრობით, ხოლო უკანონოდ გათავისუფლება კი, როგორც წესი პირდაპირი განზრახვის ხასიათს ატარებს, მაგრამ შექმნილი ვითარების დროს ჩვენი აზრით, უკეთესი ანალოგიის შეფარდება შეუძლებელი იყო. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 12 სექტემბრის № 7 დადგენილების მე-5 პუნქტის ანალოგი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ სასამართლო ორგანოებმა სწორედ ასეთი პოზიცია დაიჭირეს.

საფუძვლებმა გამოასწორეს ეს მდგომარეობა. 93-ე მუხლის თანახმად სასამართლო აკისრებს თანამდებობის პირს, რომელიც დამნაშავეა მუშაკის უკანონოდ დათხოვნას ან სხვა სამუშაოზე გადაყვანაში, ანაზღაუროს საწარმოსათვის (დაწესებულებისათვის) მიყენებული ზარალი იძულებითი გაცდენის ან დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროისათვის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ზარალის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობის პირის სამი თვის ხელფასს.

შრომის კანონმდებლობის საფუძვლების გამოქვეყნებასთან ერთად წარმოიშვა სადავო საკითხი დისციპლინარული სასჯელის წესით დაბალხელფასიანი სამუშაოზე ჩამოქვეითებასთან დაკავშირებით. 1966 წლამდე შრომის ტიპობრივი შინაგანაწესის 22-ე მუხლის თანახმად საწარმოს (დაწესებულების) ადმინისტრაციას შეეძლო შრომის დისციპლინის დარღვევისათვის გადაეყვანა მუშაკი დაბალხელფასია სამუშაოზე ან ჩამოქვეითებინა დაბალ თანამდებობაზე სამ თვემდე ვადით. შინაგანაწესში არ იყო მითითებული რა სახის სამუშაოზე შეიძლებოდა მუშაკის ჩამოქვეითება, ამიტომ შრომის კანონთა კოდექსის 36-ე და 37-ე მუხლების¹¹ გათვალისწინებით დისციპლინარული სასჯელის სახით გადაეყვანა ხდებოდა იგივე კვალიფიკაციისა და სპეციალობის გათვალისწინებით.

შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო

¹⁰ Кузьмина, Материальная ответственность за незаконные увольнения и переводы («Социалистическая законность», 1965, № 7, стр. 36), В. Шарашенидзе, Материальная ответственность должностных лиц за незаконные переводы и увольнения работников. «Ученые записки» ВНИИСЗ, вып. 8, М., 1966, стр. 151.

¹¹ «Бюллетень» комитета, 1957 г., № 1.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 9 ნოემბრის № 595/პ-28 დადგენილებით ტიპობრივი შინაგანწესის 22-ე მუხლის იმ ნაწილს, სადაც მუშაკის ჩამოქვეითებაზე იყო ლაპარაკი, დაემატა სიტყვები „მუშაკის სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიუხედავად“. ეს იმის ნიშანია, რომ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის უმაღლესი კვალიფიკაციის მუშა შეიძლება ჩამოქვეითებულიყო არაკვალიფიციური სამუშაოების შესასრულებლად.

საფუძვლებში შრომის დისციპლინის დარღვევისათვის სასჯელთა სახეებს ეთმობა 56-ე მუხლი, რომლის მე-4 პუნქტი ისეთსავე ფორმულირებას შეიცავს, როგორც ეს იყო ტიპობრივი შინაგანწესის 22-ე მუხლში 1966 წლის 9 ნოემბრამდე. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ კანონმდებელი უბრუნდება დისციპლინარული წესით დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანის და დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენების ძველ წესს. ამ მოსაზრების წინააღმდეგ რჩება საკმაოდ ძლიერი არგუმენტი, კერძოდ ის, რომ საფუძვლების ნორმები ზოგად ხასიათს ატარებენ. შრომის ტიპობრივი შინაგანწესი კონკრეტული ნორმებისაგან შედგება, იგი ოფიციალურად გაუქმებული ჯერ არ არის, ამიტომ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის სასჯელის შეფარდებისას საჭიროა ტიპობრივი შინაგანწესის კონკრეტული ნორმებით სარგებლობა. ამ საკითხს საბოლოოდ შრომის კანონთა კოდექსები გადაწყვეტენ, მაგრამ მათ მიღებამდე უფლებამოსილი ორგანოს განმარტება იმ მამულე მუხრუჭის როლს შეასრულებდა, რაც თავიდან აგვაცილებდა არასასურველ სამართალშემომქმედების ფაქტებს.

შრომის კანონმდებლობის საფუძვლები სხვა მნიშვნელოვან სიახლეებსაც შეიცავს. ყველა ისინი მოწმობენ მუშა-მოსამსახურეთა შრომითი გარანტიების მნიშვნელოვან გაფართოებას, ნათლად ადსტურებენ იმ დიდ და ყოველდღიურ ზრუნვას, რომელსაც იჩენს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

შრომის კანონმდებლობის საფუძვლები წინ გადადგმული ნაბიჯია საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც: სხარტი წინადადებები, გასაგები ენა, ცალკეული თავებისა და მუხლების თანმიმდევრული განლაგება და წყობა მისი ადვილად შესწავლა-გამოყენების საწინდარია.

შრომის კანონმდებლობის საფუძვლები ალბათ არ არის დაზღვეული ხარვეზებისაგან (პასუხს მომავალი პრაქტიკა მოგვცემს). ენობრივად ქართულ ტექსტში უკვე მრავალი ხარვეზია, რაც სუსტ თარგმანს უნდა მიეწეროს. მისი დაწვრილებითი განხილვა სპეციალურ გამოკვლევას საჭიროებს.

იურიდიული სამსახურის ამაგლარი მუხაკი



ნიკოლოზ წერეთელი ერთერთი პირველ-
თაგანია ვინც სათავეში ჩაუდგა სოციალი-
სტურ საწარმოთა და ორგანიზაციათა იუ-
რისკონსულტების შეკავშირებას, და მათი
მუშაობის ორგანიზებულად წარმართვას.
იგი წლების მანძილზე უცვლელად თავ-
მჯდომარეობს რესპუბლიკის იურისტკონ-
სულტთა საზოგადოებრივ საბჭოს.

ნიკოლოზ წერეთელი მუშაობდა გაზეთ
„ჭიათურის მდაროელის“ ხელფანების
სექტორის თუ ჭიათურის სახელმწიფო თე-
ატრის ლიტერატურულ ნაწილის გამგედ,
ჭიათურის დამწყებ მწერალთა ლიტერატუ-
რული წრის ხელმძღვანელად თუ მარგანე-
ცის ტრესტის იურიდიული განყოფილების
გამგედ, საქართველოს სახალხო მეურნეობის

საბჭოს იურიდიულ ჯგუფის უფროსად, მთა-
ვარ არბიტრად თუ საქართველოს პროფ-
საბჭოს იურიდიული ბიუროს გამგედ, იგი
ყოველთვის ვაჟკაციური შემართებით ეკიდე-
ბოდა დაკისრებული საქმის პირნათლად
შესრულებას და ყველგან თავის კვალს სტო-
ვებდა.

ჭიათურის მდაროელთა გმირულ შრომას
მიუძღვნა მან თავისი პირველი პიესა „წია-
ლის გულში“, რომელიც რამდენიმე წლის
მანძილზე ჭიათურის თეატრის სცენაზე იდ-
გმებოდა. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ ასზე
მეტ რეცენზიაზე, რომელიც ჩვენი რესპუბ-
ლიკის თეატრების დადგმებს ეხმაურებო-
და და ჩვენს პრესაში იბეჭდებოდა. და თუ
ამჟამად იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ და მე-
ცნიერულ მუშაობას ეწევა მშობლიურ უნი-
ვერსიტეტში ჩვენი იურიდიული კადრების
აღზრდის სარბიელზე, მას მაინც ძველებუ-
რად უყვარს იურისკონსულტების ჩუმი, მა-
გრამ დიდად საჭირო და საპასუხისმგებლო
საქმიანობა და გულით ეხმაურება იურიდი-
ლი სამსახურის სრულყოფის აქტუალურ
საკითხებს.

ამიტომ ასე გულითადად ულოცავენ 65
წლისთავს მისი ამხანაგები და მეგობრები,
მოწაფეები. უსურვებენ კვლავაც დიდა-
ხნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და შემ-
დგომ წარმატებებს.

ალ. გაგუნიძე,

იურისკონსულტთა რესპუბლიკური საბ-
ჭოს პრეზიდიუმის წევრი.

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საუკვლავის დადგინების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლები და ძალაში შევიდეს 1971 წლის 1 სექტემბრიდან.

მუხლი 2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების ძალაში შესვლის წესი და სსრ კავშირის კანონმდებლობა შეუსაბამოს საფუძვლებს.

მუხლი 3. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შეუსაბამონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. კოღორანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორბაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1970 წ. 10 დეკემბერი.

დღი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად წყლები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ბუნებრივი სიმდიდრე, ნაციონალიზებული იყო და ხალხის კუთვნილება გახდა.

წყლის სახელმწიფო საკუთრება სსრ კავშირში საწყლო ურთიერთობის საფუძველია, ხელშემწყობ პირობებს უქმნის წყლების გემიანი და კომპლექსური გამოყენების განხორციელებას რაც შეიძლება მეტი სახალხო-სამეურნეო ეფექტით, საშუალებას გვაძლევს უზრუნველყოთ საბჭოთა ადამიანების შრომის, ყოფაცხოვრების, დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო პირობები.

პ ა რ ი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საბჭოთა წყლის კანონმდებლობის ამოცანები

საბჭოთა წყლის კანონმდებლობის ამოცანებია მოაწესრიგოს საწყლო ურთიერთობა, რათა უზრუნველყოს წყლების რაციონალური გამოყენება მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებებისათვის, დაიცვას წყლები გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დაზრტისაგან, თავიდან აგვაცილოს და მოსპოს წყლების მავნე ზემოქმედება, გააუმჯობესოს წყლის ობიექტების მდგომარეობა, აგრეთვე დაიცვას საწარ-

მთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა უფლებები, განამტკიცოს კანონიერება საწყლო ურთიერთობის დარგში.

საზოგადოებრივი წარმოებისა და ქალაქმშენებლობის განვითარება, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება ზრდიან მრავალმხრივ მოთხოვნილებას წყალზე და ადიდებენ წყლების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მნიშვნელობას.

საბჭოთა წყლის კანონმდებლობა მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი წყლების რაც შეიძლება ეფექტიან, მეცნიერულად დასაბუთებულ გამოყენებას და მათ დაცვას გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დაზრტისაგან.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობა

სსრ კავშირში საწყლო ურთიერთობას აწესრიგებენ ეს საფუძვლები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის წყლის კანონმდებლობის სხვა აქტები, მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კოდექსები და წყლის კანონმდებლობის სხვა აქტები.

საადგილმამულო, სატყეო და სამთო ურთიერთობას აწესრიგებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი კანონმდებლობა.

მუხლი 3. წყლის სახელმწიფო საკუთრება სსრ კავშირში



სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად წყლები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში სახელმწიფო საკუთრება, ესე იგი საყოველთაო-სახალხო კუთვნილებაა.

სსრ კავშირში წყლები მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაა და მხოლოდ სარგებლობაში გადაეცემა. აკრძალულია მოქმედება, რომელიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევს წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას.

მუხლი 4. წყლის ერთიანი სახელმწიფო ფონდი

სსრ კავშირში მთელი წყლები (წყლის ობიექტები) შეადგენენ წყლის ერთიან სახელმწიფო ფონდს.

წყლის ერთიან სახელმწიფო ფონდში შედის:

- 1) მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, სხვა ზედაპირული წყალსატევები და წყაროები, აგრეთვე არხებისა და გუბურების წყლები;
- 2) მიწისქვეშა წყლები და მყინვარები;
- 3) სსრ კავშირის შიდა ზღვები და სხვა შიდა საზღვაო წყლები.
- 4) სსრ კავშირის ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა).

მუხლი 5. სსრ კავშირის კომპეტენცია საწყობო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

საწყობო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში სსრ კავშირის გამგებლობაშია:

- 1) წყლის სახელმწიფო ერთიანი ფონდის განკარგვა იმ ფარგლებში, რომლებიც საჭიროა სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის უფლებამოსილების განხორციელებისათვის;
- 2) ძირითადი დებულებების დადგენა წყლების გამოყოფების, გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დამრეტისაგან მათი დაცვის, წყლების მავნე ზეგავლენის თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის დარგში.
- 3) წყალსარგებლობის, წყლების ხარისხისა და მისი შეფასების მეთოდების საერთო საკავშირო ნორმატივების დადგენა;
- 4) სსრ კავშირისათვის ერთიანი წყლების სახელმწიფო ადრიცხვის, მათი გამოყენების, წყალსარგებლობისა და წყლის სახელმწიფო კადასტრის სისტემის შექმნა;
- 5) წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების, აგრეთვე საერთო საკავშირო მნიშვნელობის წყალსამუხრუნეო ბალანსების დამტკიცება;
- 6) წყლების გამოყენების, დაცვის, მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის საერთო საკავშირო დონისძიებათა დაგეგმვა;
- 7) წყლების გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლი და მისი განხორციელების წესის დადგენა;

8) წყლის იმ ობიექტების განსაზღვრა, რომელთა სარგებლობას აწესრიგებენ სსრ კავშირის ორგანოები.

მუხლი 6. მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია საწყობო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ საწყობო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობაშია: რესპუბლიკის ტერიტორიაზე წყლის ერთიანი სახელმწიფო ფონდის განკარგვა; წყლების სარგებლობის, გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დამრეტისაგან მათი დაცვის, წყლების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის წესის დადგენა; წყლების გამოყენების, დაცვის, მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის დონისძიებათა დაგეგმვა; წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების, წყალსამუხრუნეო ბალანსების დამტკიცება, წყლების გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე საწყობო ურთიერთობის მოწესრიგება სხვა საკითხებში, თუ ისინი სსრ კავშირის კომპეტენციაში არ შედის.


მუხლი 7. სახელმწიფო მართვა წყლის გამოყენებისა და დაცვის დარგში

წყლის გამოყენებისა და დაცვის დარგში სახელმწიფო მართვას ასორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები უშუალოდ ან სასუხო (ტერიტორიული) სამმართველოების მეშვეობით და სხვა სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. სახელმწიფო კონტროლი წყლის გამოყენებისა და დაცვისადმი

წყლის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს, რომ ყველა სამინისტრო, უწყებამ, სახელმწიფო, კოოპერაციულმა, სასოფლოდოებრივმა საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა და მოქალაქეებმა დაიცვან წყლით სარგებლობის დადგენილი წესი, შეასრულონ წყლის დაცვის, მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის მოვალეობანი, წყლის ადრიცხვის წარმოების წესები, აგრეთვე წყლის კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესები.

წყლის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლს ასორციელებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.



მუხლი 9. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მონაწილეობა წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ასალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოებანი, სამეცნიერო საზოგადოებანი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქენი ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფისათვის საქმიანობაში თავიანთი წესდებების (დებულებების) და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგება, დაპროექტება, მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე

ასალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს, აგრეთვე ასალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის დროს, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე, უნდა უზრუნველყოფილი იქნას წყლების რაციონალური გამოყენება იმ პირობით, რომ უზინარეს ყოვლისა დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებანი, ამასთან გაეთვალისწინოთ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის ობიექტებიდან აღებული და ამ ობიექტებში დაბრუნებული წყლის აღრიცხვას, წყლების დაცვას გაჭუჭყიანების, დანავიანებისა და დაშრებისაგან, წყლის მავნე ზემოქმედების აღკვეთას, მიწების დატბორვის შეზღუდვას მინიმალურად საჭირო ოდენობამდე, მიწების დაცვას დამლაშებისაგან, წყლის შედგომისა თუ დაშრობისაგან, აგრეთვე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა და ლანდშაფტების დაცვას.

თევზსამეურნეო წყალსატევებში ასალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს, ამას გარდა, დროულად უნდა განახორციელოთ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თევზის, აგრეთვე წყლის სხვა ცხოველებისა და მცენარეების დაცვას და მათი მომრავლების პირობებს.

იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის ადგილის განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე, უნდა შეეუთანხმოს წყლის გამოყენების რეგულირებისა და

დაცვის ორგანოებს, მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, ორგანოებს, რომლებიც ასორციელებენ სახელმწიფო სანიტარულ შედამხედველობას, თევზის მარაგის დაცვას, და სხვა ორგანოებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად აღნიშნული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის პროექტები უნდა შეეუთანხმოს წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებს და სხვა ორგანოებს იმ შემთხვევებში და წესით, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

აკრძალულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს: ასალი და რეკონსტრუირებული საწარმოები, სამშენობლო, აგრეგატები, კომუნალური და სხვა ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან წყლის გაჭუჭყიანებისა და დანავიანების ან მისი მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებელი მოწყობილობით;

სარწყავი და გაწყლოვანების სისტემები, წყალსაცავები და არხები, სანამ არ განხორციელდება პროექტებით გათვალისწინებული ღონისძიებანი, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ მიწების დატბორვას, წყლის შედგომას, დაჭაობებას, დამლაშებას და ნიადაგთა ეროზიას;

დაშრობის სისტემები, სანამ მზად არ იქნება წყალმიმღები და სხვა ნაგებობანი დამტკიცებული პროექტების შესაბამისად;

წყალსადები ნაგებობანი, სანამ არ იქნებათ თევზსაცავი მოწყობილობანი დამტკიცებული პროექტების შესაბამისად;


პიროტექნიკური ნაგებობანი, სანამ მზად არ იქნება მოვარდნილი წყლის და თევზის გავშვების მოწყობილობანი დამტკიცებული პროექტების შესაბამისად;

წყლის ჭაბურღილები, სანამ არ აღიჭურვებიან წყლის მარეგულირებელი მოწყობილობებით და შესაბამის შემთხვევებში არ დაწესდება სანიტარული დაცვის ზონები.

აკრძალულია წყალსაცავების აყვება, სანამ არ განხორციელდება პროექტებით გათვალისწინებული კალაპოტის მომზადების ღონისძიებანი.

მუხლი 11. სამუშაოთა წარმოების წესობა წყლის ობიექტებზე და სანაპირო ზოლებში (ზონებში)

სამშენებლო, ფსევრგასადრმავებელი და ასაფეთქებელი სამუშაოები, სსარგებლო წიაღისეულთა და წყლის მცენარეთა მოპოვება, კაბელების, მილსადენებისა და სხვა კომუნიკაციების გაყვანა, ტყის ჩეხვა, საბურღი, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოები წყლის ობიექტებზე ან წყალსატევების სანაპირო ზოლებში (ზონებში), რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე, წარმოებს წყალ-



ბის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებთან, მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და სხვა ორგანოებთან შეთანხმებით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

პ ა რ ი II წყალსარგებლობა

მუხლი 12. წყლით მოსარგებლენი

სსრ კავშირში წყლით მოსარგებლენი შეიძლება იყვნენ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი და სსრ კავშირის მოქალაქენი.

სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყლით მოსარგებლენი შეიძლება იყვნენ აგრეთვე სხვა ორგანიზაციები და პირები.

მუხლი 13. წყალსარგებლობის ობიექტები

სარგებლობისათვის გადაეცემა წყლის ობიექტები, რომლებიც ჩამოთვლილია ამ საფუძვლების მე-4 მუხლში.

იმ წყლის ობიექტების გამოყენება, რომლებსაც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ან განსაკუთრებული მეცნიერული თუ კულტურული ღირებულება აქვთ, შეიძლება აიკრძალოს ნაწილობრივ ან მთლიანად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 14. წყალსარგებლობის სახეობანი

წყლის ობიექტები სარგებლობისათვის გადაეცემათ, თუ დატულია კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და პირობები სასმელ, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო, საკურორტო, გამაჯანსაღებელ და მოსახლეობის სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, თევზსამეურნეო და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. წყლის ობიექტების გამოყენება ჩაადინარე წყლების გადასადგმად დასაშვებია მხოლოდ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და სპეციალური მოთხოვნებისა და პირობების დაცვით.

განსხვავდება საერთო წყალსარგებლობა, რომელიც ხორციელდება იმ ნაგებობათა ან ტექნიკურ მოწყობილობათა გამოყენებლად, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე, და სპეციალური წყალსარგებლობა, რომელიც ხორციელდება ასეთ ნაგებობათა ან მოწყობილობათა გამოყენებით. სპეციალურ წყალსარგებლობას ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მიეკუთვნოს წყლის ობიექტებით სარგებლობა იმ ნაგებობათა ან ტექნიკურ მოწყობილობათა გამოყენებლად, რომლებიც გავლენას არ ახდენენ წყლების მდგომარეობაზე.

სპეციალური წყალსარგებლობის სახეობათა ნუსხას აწესებენ წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოები.

წყლის ობიექტები შეიძლება იყოს ერთობლივ ან განკერძოებულ სარგებლობაში.

საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც წყლის ობიექტები მიცემული აქვთ განკერძოებული სარგებლობისათვის, — პირველად წყლით მოსარგებლებს, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში უფლება აქვთ სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს დარბიონ მეორადი წყალსარგებლობის უფლება წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით.


მუხლი 15. წყლის ობიექტების სარგებლობისათვის გადაცემის წესი და პირობები

წყლის ობიექტები სარგებლობისათვის ეძლევათ უწინარეს ყოვლისა მოსახლეობის სასმელ და საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

განკერძოებული სარგებლობისათვის წყლის ობიექტები ეძლევათ მთლიანად ან ნაწილობრივ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ან ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების, მშრომელთა დებუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ან სხვა ამისათვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სპეციალური წყალსარგებლობა ხორციელდება წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოების, ხოლო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გაცემულ ნებართვათა საფუძველზე. ასეთი ნებართვები გაიცემა იმ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო საინტარგულო ზედამხედველობას, თევზის მარაგის დაცვას, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ. სპეციალური წყალსარგებლობის შესახებ ნებართვათა შეთანხმებისა და გაცემის წესს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

საერთო წყალსარგებლობა ხორციელდება ყოველგვარი ნებართვის გაუცემლად მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით. წყლის ობიექტებზე, რომლებიც გადაცემულია განკერძოებული სარგებლობისათვის, საერთო წყალსარგებლობა დასაშვებია პირობებით, რომლებსაც პირველადი წყლით მოსარგებლედ ადგენს წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში კი იგი შეიძლება აიკრძალოს.



წყალსარგებლობა ხორციელდება უფასოდ. სპეციალური წყალსარგებლობა შეიძლება ანაზღაურდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 16. წყალსარგებლობის ვადები

წყლის ობიექტები გადაეცემა უვადო ან დროებითი სარგებლობისათვის.

წყალსარგებლობა უვადოდ (მუდმივად) მიიწინეა, თუ წინასწარ დადგენილი არ არის ვადა.

დროებითი სარგებლობა შეიძლება იყოს მოკლევადიანი — სამ წლამდე და გრძელვადიანი — სამიდან ოცდახუთ წლამდე. საჭიროების შემთხვევაში წყალსარგებლობის ვადები შეიძლება გაგრძელდეს პერიოდისათვის, რომელიც შესაბამისად არ აღემატება მოკლევადიანი ან გრძელვადიანი დროებითი სარგებლობის ვადებს.

საერთო წყალსარგებლობა ვადით არ იზღუდება.

მუხლი 17. წყლით მოსარგებლეთა უფლებანი და მოვალეობანი

წყლით მოსარგებლებს უფლება აქვთ წყლის ობიექტებით ისარგებლონ მხოლოდ იმ მიზნებით, რისთვისაც ეს ობიექტები მიეცათ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყლით მოსარგებლეთა უფლებანი შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო ინტერესებისათვის, აგრეთვე სხვა წყლით მოსარგებლეთა ინტერესებისათვის. ამასთან მოსახლეობის სასამელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის წყლით სარგებლობის პირობები არ უნდა გაუარესდეს.

წყლით მოსარგებლენი მოვალენი არიან:

რაციონალურად გამოიყენონ წყლის ობიექტები, იზრუნონ წყლის მოჭირნელ სარჯვისათვის, წყლის აღდგენისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

განასწორებლონ დონისიძებანი, რათა სავსებით შეწყდეს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველი ჩამდინარი წყლების ჩაშვება წყლის ობიექტებში;

არ დაარღვიონ სხვა წყლით მოსარგებლეთათვის მიცემული უფლებანი, აგრეთვე ზიანი არ მიაყენონ სამურნეო ობიექტებსა და ბუნებრივ რესურსებს (მიწებს, ტყეებს, ცხოველთა სამყაროს, სასარგებლო წიაღისეულს და სხვ.);

წესრიგში ჰქონდეთ საწმენდი და სხვა წყალსამურნეო ნაგებობანი და ტექნიკური მოწყობილობანი, რომლებიც გააღწენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე, გააუმჯობესონ მათი საექსპლუატაციო ხარისხი, დადგენილ შემთხვევებში კი აღრიცხონ წყლით სარგებლობა.

მუხლი 18. წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა წყალსარგებლობის უფლება შესაბამისად უნდა შეწყდეს იმ შემთხვევებში, თუ:

1) აღარ სჭირდებათ ან უარს იტყვიან წყალსარგებლობაზე;

2) გავა წყლით სარგებლობის ვადა;

3) გაუქმდება საწარმოები, ორგანიზაციები ან დაწესებულებანი;

4) წყალსამურნეო ნაგებობანი გადაეცემა სხვა წყლით მოსარგებლებს;

5) საჭირო გახდება წყლის ობიექტების ჩამორთმევა განკერძოებულ სარგებლობიდან.

საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა წყლით სარგებლობის უფლება (გარდა სასამელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის წყლით სარგებლობის უფლებისა) შეიძლება შეწყდეს აგრეთვე წყლით სარგებლობისა და მისი დაცვის წესების დარღვევის შემთხვევაში.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იყოს საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც.

მუხლი 19. წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის წესი

წყალსარგებლობის უფლება წყდება იმ გზით, რომ: აუქმებენ სპეციალური, აგრეთვე მეორადი წყალსარგებლობის ნებართვას;

ჩამოართმევენ განკერძოებულ სარგებლობაში გადაცემულ ობიექტებს;

სპეციალური წყალსარგებლობა წყდება იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელმაც ამის ნებართვა გასცა.


მეორადი წყალსარგებლობა შეიძლება შეწყდეს პირველადი წყლით მოსარგებლის გადაწყვეტილებით, რომელიც შეთანხმებულია წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოსთან.

განკერძოებული სარგებლობიდან წყლის ობიექტების ამოღება ხდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით

საწარმოთა, ორგანიზაციათა და საკავშირო დაქვემდებარების დაწესებულებათა განკერძოებული სარგებლობიდან წყლის ობიექტების ამოღება შეიძლება მოხდეს წყლით მოსარგებლებთან და სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, რომლებსაც ისინი უშუალოდ ექვემდებარებიან.

მუხლი 20. წყალსამურნეო დონისიძებების მოწყობის, წყალსარგებლობის შეწყვეტის პირობების თუ შეცვლის შედეგად ზარალის ანაზღაურება

ზარალი, რომელსაც საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს მიაყენებს წყალსამურნეო დონისიძებანი (პიდროტექნიკური სამუშაოები და სხვ.), აგრეთვე წყალსარგებლობის შეწყვეტა ან პირობების შეცვლა, უნდა ანაზღაურდეს იმ



შემთხვევაში და იმ წესით, რომლებსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს.

მუხლი 21. მოსახლეობის სასმელი, საყოფაცხოვრებო და სხვა საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მოსახლეობის სასმელი, საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისათვის, აგრეთვე სხვა საჭიროებისათვის გადაეცემათ წყლის ობიექტები, რომელთა წყლის ხარისხი შეესაბამება დადგენილ სანიტარულ მოთხოვნებს.

სასმელი ხარისხის მიწისქვეშა წყლების გამოყენება საჭიროებისათვის, რომელიც სასმელ და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებას არ უკავშირდება, როგორც წესი, დაუშვებელია. რაიონებში, სადაც არ არის საჭირო ზედაპირული წყლის წყაროები და სასმელი ხარისხის მიწისქვეშა წყლების საკმარისი მარაგი, წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებს შეუძლიათ დართონ ამ წყლების გამოყენების ნებართვა მიზნებისათვის, რომლებიც არ უკავშირდება სასმელ და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებას.

მუხლი 22. წყლის ობიექტებით სარგებლობა სამკურნალო, საკურორტო და გამაჯანსაღებელი მიზნით

წყლის ობიექტებს, რომლებიც დადგენილი წესით განეკუთვნება სამკურნალო კატეგორიას, უწინარეს ყოვლისა იყენებენ სამკურნალო და საკურორტო მიზნით. გამონაკლის შემთხვევებში წყლების გამოყენებისა და დაცვის მარეგულირებელ ორგანოებს შეუძლიათ დართონ ნება, რომ სამკურნალო კატეგორიის წყლის ობიექტები გამოიყენონ სხვა მიზნით ჯანმრთელობის დაცვისა და კურორტების მართვის შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით.

სამკურნალო კატეგორიის წყლის ობიექტებში აკრძალულია ჩამდინარი წყლების ჩაშვება.

დასვენებისა და სპორტისათვის წყლების გამოყენების წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 23. წყლის ობიექტებით სარგებლობა სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის

წყლის ობიექტებით სარგებლობა სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის ხორციელდება როგორც საერთო, ისე სპეციალური წყალსარგებლობის წესით.

სპეციალური წყალსარგებლობის დროს იყენებენ სარწყავ, მოსაწყვლიერებელ, დასაშრობ და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებსა და მოწყობილობებს, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფო ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა წყლით მოსარგებლებებს.

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქეები, რომლებიც წყლის ობიექტებით სარგებლობენ სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის,

ვალდებული არიან დაიცვან წყალსარგებლობის დადგენილი გეგმები, წესები, ნორმები და რეჟიმი, განახორციელონ ღონისძიებანი, რათა შეამცირონ სამელიორაციო სისტემებში ფილტრაციისა და აორთქლების შედეგად წყლის დანაკარგი, თავიდან აიცილონ ამ სისტემებიდან წყლის არარაციონალური გადაცემა, ხელი შეუშალონ თევზის მოხვედრას თევზის მეურნეობის წყალსატევებიდან სამელიორაციო სისტემებში, აგრეთვე შექმნან ნიადაგის ტენიანობის ყველაზე ხელშემწყობი რეჟიმი.

ჩამდინარი წყლებით სასოფლო-სამეურნეო მიწების მორწყვის უფლებას იძლევიან წყლების გამოყენებისა და დაცვის მარეგულირებელი ორგანოები სახელმწიფო სანიტარიული და ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით.


ამ მუხლის დებულებანი ვრცელდება აგრეთვე იმ მიწების მორწყვასა და დაშრობაზე, რომლებიც უკავია ტყეებს, ტყის ზოლსა და ტყის სანურგებს.

მუხლი 24. წყლის ობიექტებით სარგებლობა სამრეწველო მიზნით

წყლით მოსარგებლენი, რომლებიც წყლის ობიექტებით სარგებლობენ სამრეწველო მიზნით, ვალდებული არიან დაიცვან წყალსარგებლობის დადგენილი გეგმები, ტექნოლოგიური ნორმები და წესები, აგრეთვე განახორციელონ ღონისძიებანი წყლის ხარჯის შემცირებისა და ჩამდინარი წყლების გადაცემის შეწყვეტისათვის წარმოების ტექნოლოგიისა და წყალმომარაგების სქემების სრულყოფის საფუძველზე (უწყლო ტექნოლოგიური პროცესების, ჰაერგაციების, საბრუნავი წყალმომარაგებისა და სხვა ტექნიკური ხერხების გამოყენება).

სტიქიური უზედურების, ავარიისა და სხვა განსაკუთრებულ გარემოებათა შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ საწარმომ გადააჭარბა წყალსადენიდან წყლით სარგებლობის დადგენილ ლიმიტს, მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს შეამციროს ან აკრძალოს სამრეწველო მიზნით სასმელი წყლის გამოყენება კომუნალური წყალსადენებიდან და დროებით შეზღუდოს იგი უწყებრივი სამეურნეო-სასმელი წყალსადენებიდან, რათა უპირველეს ყოვლისა დაკმაყოფილდეს მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებანი.

მიწისქვეშა წყლები (მტკნარი, მინერალური, თერმული), რომლებიც არ განეკუთვნება სასმელ ან სამკურნალო წყლებს, შეიძლება დადგენილი წესით გამოიყენონ ტექნიკური წყალმომარაგებისათვის, მათი შემაღელობიდან ჰიმიური ელემენტების გამოსაყოფად, თბენერგიის მისაღებად და სხვა საწარმოო საჭიროებებისათვის წყლების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მოთხოვნების შესაბამისად.



მუხლი 25. წყლის ობიექტებით სარგებლობა ჰიდროენერგეტიკის საჭიროებებისათვის

ჰიდროენერგეტიკის საჭიროებებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის დროს უნდა ითვალისწინებდნენ სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ინტერესებს, აგრეთვე იცავდნენ წყლების კომპლექსური გამოყენების მოთხოვნებს, თუ სხვა რამ უშუალოდ არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით, ხოლო შესაბამის შემთხვევებში — წყლების გამოყენებისა და დაცვის მარგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 26. წყლის ობიექტებით სარგებლობა წყლის ტრანსპორტისა და ხე-ტყის დაცურების საჭიროებებისათვის

სსრ კავშირის მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, არხები, შიდა ზღვები და სხვა შიდა საზღვაო წყლები, აგრეთვე ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა) საერთო სარგებლობის წყალსავალი გზებია, იმ შემთხვევების გარდა, როცა მათი გამოყენება ამ მიზნით მთლიანად თუ ნაწილობრივ აკრძალულია ან ისინი გადაცემულია განკერძოებული სარგებლობისათვის.

სანაოსნო და ხე-ტყის დასაცურებელი კატეგორიისათვის წყალსავალი გზების მიკუთვნების, აგრეთვე წყალსავალი გზების ექსპლუატაციის წესების დადგენის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ხე-ტყის გაშლილად დაცურება, აგრეთვე კონებად თუ ბადეებით შვრული მერქნის დაცურება გვიან წვეის გამოყენებლად აკრძალულია:

- 1) სანაოსნო გზებზე;
- 2) წყლის ობიექტებზე, რომელთა ნუსხას ამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ამასთან ითვალისწინებენ ამ ობიექტების განსაკუთრებულ მნიშვნელობას თევზის მეურნეობისათვის, წყალმომარაგებისა თუ სხვა სახალხო-სამეურნეო მიზნით.

დანარჩენ წყლის ობიექტებზე ხე-ტყის დაცურების ზემოაღნიშნული სახეობანი შეიძლება იმ ნებართვის საფუძველზე, რომელსაც იძლევიან წყლების გამოყენებისა და დაცვის მარგულირებელი ორგანოები თევზის მარაგის დამცველ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ.

ხე-ტყის დამცურებელი ორგანიზაციები მოვალენი არიან რეგულარულად წმინდნენ დაცურების გზებს ჩაძირული მერქნისაგან.

მუხლი 27. წყლის ობიექტებით სარგებლობა საპაერო ტრანსპორტის საჭიროებებისათვის

საპაერო ხომალდების სადგომებისათვის, აფრენისა და დაშვებისათვის, აგრეთვე საპაერო ტრანსპორტის სხვა საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებ-

ლობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 28. წყლის ობიექტებით სარგებლობა თევზის მეურნეობის საჭიროებებისათვის

თევზის მეურნეობის წყალსატევებში თუ მათს ცალკეულ უბნებზე, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ძვირფასი ჯიშების თევზის შენარუნებისა და მომრავლებისათვის, აგრეთვე წყლის რეწვის სხვა ობიექტებზე შეიძლება შეიზღუდოს წყლით მოსარგებლეთა უფლებები თევზის მეურნეობის ინტერესების სასარგებლოდ. ასეთი წყალსატევების თუ მათი უბნების ნუსხას და წყალსარგებლობის შეზღუდვებს განსაზღვრავენ წყლების გამოყენებისა და დაცვის მარგულირებელი ორგანოები თევზის მარაგის დამცველი ორგანოების წარდგინებით.

ჰიდროტექნიკურ და სხვა ნაგებობათა ექსპლუატაციის დროს თევზის მეურნეობის წყალსატევებში დროულად უნდა ხორციელდებოდეს ღონისძიებანი თევზის მარაგის დაცვისა და მისი მომრავლების პირობების უზრუნველსაყოფად.

თევზის მეურნეობის საჭიროებებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 29. წყლის ობიექტებით სარგებლობა სამონადირეო მეურნეობის საჭიროებებისათვის

მდინარეებზე, ტბებსა და სხვა წყლის ობიექტებზე, სადაც ბინადრობენ გარეული წყლის ფრინველები და ძვირფასი ბეწვიანი ნადირი (თახვი, ონდატრა, მითხვი, ნუტრია და სხვა), წყლების გამოყენებისა და დაცვის მარგულირებელ ორგანოებს შეუძლიათ წყლით სარგებლობის უპირატესი უფლებები მისცენ სამონადირეო მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ამასთან გაითვალისწინონ წყლების კომპლექსური გამოყენების მოთხოვნები.


სამონადირეო მეურნეობის საჭიროებებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 30. წყლის ობიექტებით სარგებლობა ნაკრძალთა საჭიროებებისათვის

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაკუთრებული მეცნიერული ან კულტურული ღირებულების წყლის ობიექტები ნაკრძალად ცხადდება და გადაეცემა უვადო განკერძოებულ სარგებლობაში ნაკრძალებს ბუნების დაცვისა და მეცნიერული კვლევის მიზნით.

ნაკრძალთა წყლებით სარგებლობის წესს განსაზღვრავს დებულება ნაკრძალების შესახებ.

ნაკრძალთა სარგებლობიდან წყლის ობიექტების ამოღება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული საჭი-



როების შემთხვევებში მოკავშირე რესპუბლიკის მი-
ნისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

მუხლი 31. წყლის ობიექტების გამოყენება ჩამდინარი წყლების გადაადგილებისათვის

წყლის ობიექტების გამოყენება სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარი წყლების გადაადგილებისათვის შეიძლება მხოლოდ წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოების ნებართვით სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის ორგანოებთან, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ.

ჩამდინარი წყლების გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს წყლის ობიექტში არ გადადივს გამტუქციანებელ ნივთიერებათა შემცველობის დადგენილ ნორმებზე მეტად და იმ შემთხვევაში, თუ წყლით მოსარგებლე ჩამდინარ წყლებს გაწმენდს იმ დონემდე, რასაც წყლით სარგებლობის და დაცვის რეგულირების ორგანოები ადგენენ.

თუ აღნიშნული მოთხოვნები ირღვევა, წყლით სარგებლობისა და დაცვის რეგულირების ორგანოებს ჩამდინარი წყლების გადაადგილება შეუძლიათ შეზღუდონ, შეაჩერონ ან აკრძალონ და მუშაობაც კი შეაწყვიტონ ცალკეულ სამრეწველო დანადგარებს, საამბროებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს. იმ შემთხვევებში, თუ საფრთხე ექმნება მოსახლეობის ჯანმრთელობას, ორგანოებს, რომლებიც სახელმწიფო სანიტარულ ზედამხედველობას ახორციელებენ, უფლება აქვთ შეაჩერონ ჩამდინარი წყლების გადაადგილება და შეაწყვიტონ კიდევ საწარმოო და სხვა ობიექტების ექსპლოატაცია, და ეს უნდა აცნობონ წყლით სარგებლობისა და დაცვის რეგულირების ორგანოებს.

ჩამდინარი წყლების გადაადგილებისათვის წყლის ობიექტების გამოყენების წესსა და პირობებს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 32. წყლის ობიექტების გამოყენება ხანძარსაწინააღმდეგ სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის

წყლის აღება, ხანძარსაწინააღმდეგ საქმიანობისათვის შეიძლება ყველა წყლის ობიექტიდან.

ხანძარსაწინააღმდეგ, აგრეთვე სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის წყლის ობიექტების გამოყენების წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 33. წყალსაცავების ექსპლოატაცია

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ექსპლოატაციას უწყვენ წყალსაცავების წყალსაყრდენ, წყალგამშვებ თუ წყალსადებ ნაგებობებს, ვალდებული არიან დაიცვან წყალსაცავების ავსებისა და დაცლის რეჟიმი, რომელიც დადგენილია წყალსაცავების გალენის ზონებში მყოფ წყლით მო-

სარგებლეთა და მიწით მოსარგებლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

წყალსაცავთა ექსპლოატაციის წესს განსაზღვრავენ წესები, რომლებსაც თვითივე წყალსაცავისა თუ წყალსაცავთა კასკადისათვის ამტკიცებენ წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოები სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის ორგანოებთან, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით.

წყალსაცავთა სათანადო ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის უზრუნველყოფის დონისძიებათა ორგანიზაციისა და კოორდინაციას, კონტროლს წყლით მოსარგებლეთა მიერ წყლის კანონმდებლობის მოთხოვნებისა და წყალსაცავების ექსპლოატაციის წესების დაცვისადმი ახორციელებენ ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით.

ამ მუხლის დებულებანი ვრცელდება აგრეთვე ტემბისა და სხვა იმ წყალსაცავების ექსპლოატაციაზე, რომლებსაც წყალსაცავებად იყენებენ.

მუხლი 34. რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული წყლის ობიექტების სარგებლობის რეგულირება

ორი ან რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული წყლის ობიექტების სარგებლობის რეგულირება იმ ნაწილში, რომელიც ეხება ამ რესპუბლიკების ინტერესებს, ხდება დაინტერესებულ რესპუბლიკათა ორგანოების შეთანხმებით, იმ წყლის ობიექტებს გარდა, რომელთა სარგებლობის რეგულირება სსრ კავშირის კომპეტენციისაში შედის.

მუხლი 35. წყალსარგებლობის გამო დავის გადაწყვეტის წესი

დავას წყალსარგებლობის გამო წყვეტენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე წყლით სარგებლობისა და დაცვის რეგულირების ორგანოები და სხვა უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები წესით, რომელსაც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ადგენს.

ერთი მოკავშირე რესპუბლიკის წყლით მოსარგებლეთა და მეორე მოკავშირე რესპუბლიკის წყლით მოსარგებლეთა შორის დავას წყლებით სარგებლობის თაობაზე განიხილავს კომისია, რომელიც პარიტეტულ საწყისებზე იქმნება დაინტერესებული მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებისაგან. თუ კომისია ვერ გამოიტანს შეთანხმებულ გადაწყვეტილებას, დავა აღნიშნული საკითხების გამო უნდა განიხილოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

საწყლო ურთიერთობასთან დაკავშირებული ქონებრივი დავა წყდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 36. წყალსარგებლობა სსრ კავშირის სასაზღვრო წყლებზე

წყალსარგებლობა სსრ კავშირის სასაზღვრო წყლებზე ხორციელდება საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე.

იმდენად, რამდენადაც წყალსარგებლობა სასაზღვრო წყლების საბჭოთა ნაწილში მოწესრიგებული არ არის საერთაშორისო შეთანხმებებით სსრ კავშირის მონაწილეობით, იგი ხორციელდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირის სასაზღვრო წყლებზე წყალსარგებლობის წესს ადგენენ კომპენტენტური ორგანოები სასაზღვრო ჯარების სარდლობასთან შეთანხმებით.

პ ა რ ი III

წყლების დაცვა და მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება

მუხლი 37. წყლების დაცვა

მიელი წყლები (წყლის ობიექტები) უნდა დავიცვათ გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენონ მოსახლეობის ჯანმრთელობას, აგრეთვე გამოიწვიონ თევზის მარაგის შემცირება, წყალმომარაგების პირობების გაუარესება და სხვა არახელსაყრელი მოვლენები წყლების ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების შეცვლის, ბუნებრივი გაწმენდის უნარის შემცირების, წყლების ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის დარღვევის შედეგად.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთა საქმიანობა გავლენას ახდენს წყლების მდგომარეობაზე, მოვალენი არიან წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის ორგანოებთან და სხვა დანტერესებულ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით ან ამისათვის უფლება-მოსილი სახელმწიფო ორგანოების მითითებით განასხორციელონ ტექნოლოგიური, სატყეო-სამელიორაციო, აგროტექნიკური, ჰიდროტექნიკური, სანიტარული და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლების დაცვას გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან, აგრეთვე წყლების მდგომარეობისა და რეჟიმის გაუმჯობესებას.

წყლების დაცვის ღონისძიებანი გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმებში.

მუხლი 38. წყლების დაცვა გაჭუჭყიანებისა და დანაგვიანებისაგან

აკრძალულია საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახეობათა ნარჩენების ჩაყრა წყლის ობიექტებში. ჩამდინარი წყლების გადაგდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცვიცათ ამ საფუძველების 31-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

წყლის ტრანსპორტის საშუალებების, მილსადენების, წყლის ობიექტებზე მცურავი და სხვა ნაგებობების მფლობელნი, ხე-ტყის დამცურებელი ორგანიზაციები, აგრეთვე სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი მოვალენი არიან არ დაუშვან წყლების გაჭუჭყიანება და დანაგვიანება ზეთების, მერქნის, ქიმიური, ნავთობისა და სხვა პროდუქტების დანაკარგების შედეგად.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მოვალენი არიან არ დაუშვან წყალსაყრებთა ზედაპირის, წყალსატევების ყინულის საფარისა და ყინვართა ზედაპირის გაჭუჭყიანება და დანაგვიანება საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენებით, აგრეთვე ნავთობისა და ქიმიური პროდუქტებით, რომელთა ჩარეცხვა გააუარესებს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხს.


სახელმწიფო წყალსამეურნეო სისტემათა სამმართველოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მოვალენი არიან აღკვეთონ წყლების გაჭუჭყიანება სასუქებითა და შხამქიმიკატებით.

იმ წყლების დაცვის მიზნით, რომლებსაც იყენებენ სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისათვის, მოსახლეობის სამეურნალო, საკურორტო და გამაჯანსაღებელი საჭიროებებისათვის, იქმნება სანიტარული დაცვის ოლქები და ზონები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 39. წყლების დაცვა დაშრეტისაგან

მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, მიწისქვეშა წყლებისა და სხვა წყლის ობიექტების ხელსაყრელი წყლის რეჟიმის შესანარჩუნებლად, ნიადაგთა წყლისმიერი ეროზიის, წყალსატევების დალამვის, წყლის ცხოველების ბინადრობის პირობების გაუარესების თავიდან ასაცილებლად, ჩამონადენის მერყეობის შესამცირებლად და სხვ. იქმნება ტყეების წყალსაცავი ზონები, აგრეთვე ხორციელდება სატყეო-სამელიორაციო, ეროზიის საწინააღმდეგო, ჰიდროტექნიკური და სხვა ღონისძიებანი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოები მას შემდეგ, რაც შეთანხმებენ იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგებისა და მშენებლობის საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე, აგრეთვე



გასცემენ სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვას, მოვალენი არიან იხელმძღვანელონ წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემებით და წყალსამურნეო ბალანსებით, რომლებიც თვალისწინებენ წყლით მოსარგებლეთა და მიწით მოსარგებლეთა ინტერესებს.

თუ გაზის, ნავთობის, ქვანახშირისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძიებასთან, დაზვერვასა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ საბურღ და სხვა სამთო სამუშაოთა დროს აღმოჩნდება მიწისქვეშა წყლოვანი ჰორიზონტები, სამთო სამუშაოთა მომწყობი ორგანიზაციები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ეს წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებს და დადგენილი წესით განახორციელონ მიწისქვეშა წყლების დაცვის ღონისძიებანი.

ის ჭაბურღილები, რომლებიდანაც თავისთავად ამოღის წყალი, უნდა აღიჭურვოს მარეგულირებელი მოწყობილობით, დაკონსერვდეს ან მოხდეს ლიკვიდაცია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 40. წყლების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და ლიკვიდაცია

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი მოვალენი არიან წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით ან ამისათვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მითითებით განახორციელონ წყლების ისეთი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებანი, როგორც არის:

წყალდიდობა, დატბორვა და წყლის შედგომა; ნაპირების რღვევა, დამცავი ჯებირებისა და სხვა ნაგებობათა ნგრევა;

მიწების დაჭაობება და დამლაშება; ნიადაგთა ეროზია, ხრამების, მეწყერების, ღვარცოფებისა და სხვა მავნე მოვლენათა წარმოქმნა.

წყლის მავნე ზემოქმედებით გამოწვეულ სტიქიურ უბედურებათა თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელებას არეგულირებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

წყლების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებანი გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმებში.

პ ა რ ი I V

წყლების გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა და დაგეგმვა

მუხლი 41. წყლების გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და დაგეგმვის ამოცანები

წყლებისა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის ამოცანაა დაადგინოს წყლების რაოდენობა

და ხარისხი, მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებაათვის წყლების გამოყენების მონაცემები.

წყლების გამოყენების დაგეგმვამ უნდა უზრუნველყოს წყლების მეცნიერულად დასაბუთებული განაწილება წყლით მოსარგებლებს შორის იმის გათვალისწინებით, რომ პირველ რიგში დაკმაყოფილდეს მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებანი, წყლების დაცვა და მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება. წყლების გამოყენების დაგეგმვის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას სახელმწიფო წყლის კადასტრის მონაცემები, წყალსამურნეო ბალანსები, წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემები.

მუხლი 42. სახელმწიფო წყლის კადასტრი
სახელმწიფო წყლის კადასტრი შეიცავს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით წყლების აღრიცხვის, წყალსარგებლობის რეგისტრაციის მონაცემებს, აგრეთვე წყლების გამოყენების აღრიცხვის მონაცემებს.

მუხლი 43. წყალსამურნეო ბალანსები
წყალსამურნეო ბალანსები, რომლებშიც შეფასებულია წყლების ასრებობა და მათი გამოყენების ხარისხი, დგება აუზების, ეკონომიური რაიონების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის მიხედვით.

მუხლი 44. წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემები

წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის გენერალური და სააუზო (ტერიტორიული) სქემები განსაზღვრავენ ძირითად წყალსამურნეო და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს წყალზე მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის პერსპექტიულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასათვის, აგრეთვე წყლების დაცვისა და მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის.

მუხლი 45. წყლებისა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის, სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოების, წყალსამურნეო ბალანსების შედგენისა და წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავების წესი

წყლებისა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა, სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოება, წყალსამურნეო ბალანსების შედგენა, წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავება სორციალდგმა სახელმწიფოს ხარჯზე და სსრ კავშირისათვის ერთიანი სიტემებით.

წყლებისა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის, სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოების, წყალსამურნეო ბალანსების შედგენის, წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავებისა და დამტკიცების წესს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

კ ა რ ი V

პასუხისმგებლობა წყლის
კანონმდებლობის დარღვევისათვის

**მუხლი 46. პასუხისმგებლობა წყლის კანონ-
მდებლობის დარღვევისათვის**

წყალსარგებლობის უფლების დათმობა და სხვა გარიგებანი, რომლებიც აშკარად თუ ფარული ფორ-
მით არღვევენ წყლის სახელმწიფო საკუთრების უფ-
ლებას, ბათილია.

იმ პირთ, რომელთაც ბრალი მიუძღვით ასეთ გა-
რიგებებში, აგრეთვე იმაში, რომ:

თვითნებურად იკავებენ წყლის ობიექტებს ან
თვითნებურად სარგებლობენ წყლით;

იღებენ წყალს წყალსარგებლობის გეგმების დარ-
ღვევით;

აჭუჭყიანებენ და ანაგვიანებენ წყლებს;

საექსპლოატაციოდ გადასცემენ საწარმოებს, კო-
მუნალურ და სხვა ობიექტებს ისეთ ნაგებობათა და
მოწყობილობათა გარეშე, რომლებიც უზრუნველყო-
ფენ წყლების გაჭუჭყიანებისა და დანაგვიანების ან
მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას;

უყარათოდ იყენებენ წყალს (წყლის ობიექტე-
ბიდან ამოღებულსა თუ გაყვანილს);

წყალშემკრებებში არღვევენ წყლის დაცვის რე-
ჟიმს, რაც იწვევს წყლების გაჭუჭყიანებას, ნიადა-

გების წყლისმიერ ეროზიასა და სხვა მავნე მოვლენებს;

თვითნებურად აწარმოებენ ჰიდროტექნიკურ სამუ-
შაოებს;

აზიანებენ წყალსამყურნო ნაგებობებსა და მოწყ-
ობილობებს;

არღვევენ წყალსამყურნო ნაგებობათა და მოწყო-
ბილობათა ექსპლოატაციის წესებს;

ეკისრებათ სისხლის სამართლის ან ადმინისტრა-
ციული პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და მოკავ-
შირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობამ შე-
იძლება დააწესოს პასუხისმგებლობა წყლის კანონ-
მდებლობის სხვა სახეობათა დარღვევებისთვისაც.

თვითნებურად დაკავებული წყლის ობიექტები
დაბრუნებულ უნდა იქნას კუთვნილებისამებრ იმ ხარ-
ჯების აუნაზღაურებლად, რომლებიც გაწეულია
უკანონო სარგებლობის დროს.

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი და
მოქალაქენი ვალდებული არიან აანაზღაურონ წყლის
კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალი
იმ ოდენობითა და წესით, რომელთაც ადგენს სსრ
კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებ-
ლობა. თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს,
რომელთა მიზეზით საწარმოებმა, ორგანიზაციებმა
და დაწესებულებებმა გაიღეს ზარალის ანაზღაურე-
ბასთან დაკავშირებული ხარჯები, ეკისრებათ მატე-
რიალური პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

სიზოზხა

1.

იმ წელს ლაგოდეხის რაიონში თბილი ზამთარი იდგა. თებერვლის პირველ კვირას დილიდანვე მოიწმინდა ცა და ჩამოცხა. შინ არავის უდგებოდა გული, მიწის სურნელი დიდსა და პატარას გარეთ უნძობდა.

მზე ზენიტს უახლოვდებოდა, როცა ორი მონადირე ტყიდან გამოვიდა და ფერდობზე დაეშვა... დალილობა იგრძენს.

ის იყო დიდ მუხასთან ზურგჩანთები მოიხსნეს, მდინარე თეთრი წყლის ნაპირიდან ძაღლის ყეფა გაისმა.

— ყურშა, ყურშა! — გასძახა პატრონმა.

ძაღლმა წკავწკავი გააბა. მერე ყრუ, შორეული ყეფა ახმაინდა მთებში.

— რალც ამბავია, ვნახე რა აწუხებს. — უთხრა მონადირემ ამხანაგს და აჩქარებით იქით გაემართა. თავი დაეხარა, ფერდულა ნაბიჯები დაღლას უმყდვენებდა ნამგზავს.

ჯაგებთან, სადაც მოზრდილი ხე აქა-იქ ჩანდა, წყლის ბუბუტი შემოესმა. ბუზღუნებდა ხეობაში მიღებული თეთრი წყალი.

ჯაგებიდან წკმუტუნით ძაღლი გამოვარდა, პატრონს მიუახლოვდა, შეპყეფა და ისევ უკან გაჰკურცხლა.

მონადირემ აჩქარებით გადასწია ბუჩქებს შორის გახიდილი ტროები და მდინარეს შეპყევა. მოულოდნელად განაბულ ძაღლს წაადგა. გონიერ ცხოველს კისერი წაეგრძელებინა და თავი წინა ფეხებზე დაედო. მონადირე შედგა, დაკვირვებით მიმოიხედა, მაგრამ საგულისნმო ვერაფერი შეამჩნია.

პატრონის გაოგნება რომ იგრძნო, ძაღლი წამოხტა, შეპყეფა და მიწა ფეხებით მოფხოვნა.

მონადირემ კარგა ხნის აჭრილ ჯაგებს თვალი მოავლო და... ხომ არ მეჩვენებაო, იფიქრა. ძაღლს მიწა ამოეჩიქნა და პაწია ღრმულის ძირში, რომელიც თავთან შედარებით ვიწრო ჩანდა, ადამიანის ხელი შენიშნა. ხორცქსოვილი შემოცლოდა და მხოლოდ ჩაშავებული კუნთები და ძვლები დარჩენილიყო. სასრებში დახსნილი ნეკი და საჩვენებელი. თითი ძარღვებზე და ეკიდა. დანარჩენი თითებიც მოეხარა ნესტიან ქვიშას. მიწის ქვეშ მოქცეული სხეული თითქოს შველას სთხოვდა გამგულს.

— ღმერთო, ჩემო, ეს რა უბედურებაა!...

ერთხანს გაოგნებული იდგა.

— ყოჩაღ, ყურშა!.. წვიდეთ, საქმეს ბოლომდე უნდა მიყვანა, — თქვა და ადგილიდან დაიძრა.

ძაღლმა დაიწმუტუნა, ერთხანს იქვე იწრიალა, მაგრამ მერე მაინც აედგენა პატრონს.

— ჰე, ჰე! — გასძახა მონადირემ მუხას ძირში მიწროილ ამხანაგს და თვითონ სოფლისაკენ გაემართა. ძაღლი მის წინ გარბოდა ყეფითა და წკმუტუნით.

2.

მინდორი ვათავდა, მაგრამ მანქანა მაინც არ შემდგარა — საშემოდგომო ხნულში შეიჭრა და გეზი მდინარისაკენ აიღო, სადაც ხალხს კარგა ხანია თავი მოეყარა. ნელა მიდიოდა, სახიფათოდ ირწეოდა ზოგჯერ. ბოლოს სულ გაჩერდა და შიგ მსხდომი პირები გადმოვიდნენ.

— ხელს ნუ შეგვიშლით! — მოსელისთანვე მიმართა პროკურორმა ხალხს და მილიციის უფროსს გადახედა. დროს ნუ დაეკარგავთო, — ამბობდნენ მისი თვალები. მზე ცის დასალიერზე უღიკიდებულიყო და ფერმიხილ სხივებს უღროოდ ისრობდა.

— აბა, სად მოდიხართ, ხომ არ გგონიათ, სასეირო რამეა? — ცხარობდა მილიციის უფროსი.

— იქნებ დაგეხმაროთ! — გაისმა აქეთ-იქიდან.

ჯაგი და ბუჩქები რამდენიმე წუთში აკაფეს. სამარხთან მისასვლელი გზა სწორ ხაზად გადაიჭიმა.

შუა ხნის ორმა გლენმა პროკურორის მითითებულ ადგილს ბარით ფრთხილად მოუსინა პირი.

— ნელა, ნუ იჩქარებთ! — აფრთხილებდა პროკურორი მათ და თვალს აყოლებდა საფლავის მრუდე ნაპირებს შორის თანდათან გაზრდილ სიცარიელეს. — ბიძინა, — მიმართა მერე მაღალი ტანის ახალგაზრდას, რომელიც იქვე იდგა და ყოველ წვრილმანს გულისყურით თვალს ადევნებდა. — ყურადღებით იყავი, არაფერი გამოგარჩეს. ამ საქმეს, რომელსაც უცნაური პირი უჩანს, შენ გამოიძიებ.

გამომძიებელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქინა და უნებლიეთ უფრო ახლოს მივიდა ორმოსთან.

შიშველი ტყიდან ნიაგი დაიძრა. მერე ბინ-

დიც მოალა და თაღი მანდილი მოახვია მინ-
დორს.
მარგილებზე ჩირადნები დაამაგრეს... აციმ-
ციმდა აღის ენები.



შლაში ნიჩაბს ძნელად ცილდებოდა. თანდა-
თან იზრდებოდა მიწაყრილი, შავი, ტენიანი.
მინც სწრაფად მუშობდნენ. გაფითრებულ სა-
ხეებზე ხვირთქლი გადასდიოდათ.

გვამი ფრთხილად ამოიღეს და ბრეზენტზე
დაასვენეს. მამაკაცი იყო, სახეზე, თავზე და
სხეულსი უმეტეს ნაწილზე ხორცი აღარ ეტ-
ყობოდა. ტანსაცმელსაც ფერი დაჰკარგოდა და
გაცრეცილიყო.

რამდენიმე კაცს უხმეს. ჰკითხეს, ხომ არ იცით
ვისი გვამიაო. უარის ნიშნად თავს იქნევდნენ, —
რას უნდა მიხვდე, ხორცი აღარ შეჩვენია და
კანო, — ამბობდნენ შემკრთალი ხმით.

— კარგად დააკვირდით, — დაბალი ტანისა
ყოფილა, ზედა ყბაზე ერთი ფოლადის კბილი
ჰქონია, — არ ეშვებოდა გამოძიებებო.

ხმას არავინ იღებდა, ამპარზენი სინამდვილე
ყინულივით ეღებოდათ გულზე. ჰაერიც მძაფრი
უნით გაქენთილიყო.

— ღრმა ლობის პროცესშია, — ჩაილაპარაკა
ექიმმა-ექსპერტმა, თავი გადააქნია და პროკუ-
რორს შეხედა.

— შინაგანი ორგანოები გალუული იქნება, —
თქვა პროკურორმა.

— რა თქმა უნდა.

— დასადგენი ისღა ძვლები დაზიანებულაა
თუ არა და ტანში უცხო საგანი ხომ არ ჰქო-

ნია, მასასადამე, დღეს გავკვეთათ...
მნიშვნელობა არა აქვს. ადრე დამდებია...

— რა თქმა უნდა, — ისევ დაეთანხმა ექიმი.
გვამი სახელდახლოდ შეკრულ კუბოში ჩა-
ასვენეს, იქვე დასაფლავეს და მეთვალყურე
მიუჩინეს... ზანტად დაიშალა ხალხი.

— დაჯექი! — დაღლილი ხმით უთხრა პრო-
კურორმა გამოძიებელს და მანქანის კარზე
დაყრდნობილმა წინა სკამის საზურგე გადასწია.

— მინდა ცოტა ხანს კიდევ დავჩე. მე და
ლეონიდ გაბრიელის-ძე ერთად წამოვალთ, —
ანიშნა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეზე.

შემორჩენილი ჩირადნების გალუულ ტანს
აღი ეთამაშებოდა, ზოგჯერ სულ ქრებოდა და
ვიღრე მისუსტებული და ფერმიხდილი ხელმო-
რედ მოედებოდა, გაბუტულივით ყურდებოდა
მიბნედილი დამე. დაფიქრებული შეჰყურებდნენ
ჩირადნების კვდომას.

— ბნელა. — თქვა ლეონიდმ და უნებლიეთ
ჯიბეზე გაიკრა ხელი.

— დარდი ნუ გაქვს, — დამშვიდა გამოძიე-
ბელმა, ჯიბის ფარანი ამოიღო და გაანათა. —
საფლავი ნაქარვედ გაუთხრიათ. ეტყობა, დრო
არა ჰქონიათ, ანდა დაუღევარია ბოროტმოქმე-
დი... ვინმეზე ხომ არ გეპარებათ ეჭვი?

— რას ამბობთ, ისე უცნაურად მეჩვენება
ყველაფერი, თავი სიზმარში მგონია! არ წაივი-
დეთ? უკვე გვიან არის.

გამოძიებელმა ფარანი ანთო და ხელმარტხ-
ნივ გაჰყენენ გზას. ასიოდ მეტრი ექნებოდათ
გავლილი, ქოხი გამოჩნდა. უღიმამო შუქი
კრთოდა სარკმლიდან.

— აქ მოსახლე ყოფილა. — გაიკვირვა გამოძი-
ებიებელმა. — ასანთი გაქვთ?

— არ ვეწვევი.

— ჩანს, არ ძინავთ...

— მასპინძლო! — დაიძახა ლეონიდმა.

კარი გაიღო.

— მობრძანდით!

— ასანთი ხომ არ გაქვთ?

— როგორ არა... თუ მივაგენი.

— ჭრაქი იყოს, პაპიროსის მოსაკიდებლად
გვინდა. ოჯახის უფროსი სახლში არ არის?

— შუადღე იქნებოდა, რომ წავიდა. მინ-
დორს შემოვუვლი და მერე სოფელში გადა-
ვალო, დაიბარა.

სიტყვა არავის დაუძრავს. დუმილი რომ გა-
რძელდა, ქალი გაბრუნდა და ჭრაქი მოარბენინა.

მოცანცახე შუქმა სახე გაუნათა. ნაოკები უხ-
ვად მოსდებოდა ყელსა და ლოყებზე; ტუჩები
უთრთოდა, მოუსვენრად უტოკავდა ღრმად
ჩამჯდარი თვალები.

თხუთმეტიოდ წლის გოგონა კარს მოადგა და
ჯერ საბჭოს თავმჯდომარეს დააქერდა, შემდეგ

გამომძიებელს. მოხუცის სული ჩასდგომოდა ნორჩ სხეულში, რაღაცას წაერთმია სიცოცხლე და სწრაფვა.

— აქეთ წავიდეთ, — უთხრა საბჭოს თავმჯდომარემ გამომძიებელს, როცა ქალს მადლობა გადაუხადეს და გამობრუნდნენ, — აქედან უფრო ჩქარა გავალთ გზაზე, იქ კი ჩემი მანქანა დაგვხვდება.

გამომძიებელი უხმოდ მიაბიჯებდა თავმჯდომარის კვლადაკვალ. ფარნით აღარ ინათებდნენ გზას, დაფლეთილ ღრუბლებიდან ვარსკვლავები მოცოცავდნენ და ვერცხლისფერ სხივებს აფრქვევდნენ გარინდებულ მიდამოს.

— ის ქალი რა გვარია?.. აქაური არ ჩანს.

— ბლინოვა...

— კიდევ ყოფილა სახლი. — წამოიძახა გამომძიებელმა და თავმჯდომარეს სიტყვა შეაწყვეტინა. — მაგრამ ისეა მიღწეული, თითქმის დაუბრუნებიათ. არავინ ცხოვრობს?

— კოლმურენობისა. მეზობტნობის ბრიგადას ნაკვეთი აქვს აქ. იცით ალბათ, სოფელი მოშორებითაა, ამიტომ დარაჯს ვაყენებთ და ერთი ოთახი მისთვის არის გამოყოფილი. სოფლიდან არავის არ უნდა წამოსვლა დარაჯად. იძულებული ვართ ზოგჯერ უცხო პირები დავაყენოთ. ვასულ წელს ვიღაც მედვედინი მუშაობდა, ალექსეის ეძახდნენ. მთლად დალაგებული კაცი არ ჩანდა, სმა უყვარდა თურმე. ოთხი თვის წინათ თვითნებურად მიატოვა სამუშაო და წავიდა.

— თქვენ იცნობდით?

— ერთხელ ვნახე, ვიღრე მუშაობას დაიწყებდა.

სახლი ორი ოთახისაგან შედგებოდა. თვითნებურ ოთახს თითო კარი და სარკმელი ჰქონდა. კარები ღია იყო, სარკმელები ჩამოვარდნილი. სახურავი წინა მხარეს აგლჯილიყო და ლარტყებს შორის მიძინებულ სიბნელეს ცნობისმოყვარედ დასტკეროდნენ ვარსკვლავები.

— შევიდეთ.

— არაფერი არ არის.

— მაინც ვნახოთ.

გამომძიებელმა ჯიბის ფარანი მარცხენა ხელში გადაიტანა და ოთახში შევიდა. დანჯარეული ტახტი, ძველი მაგიდა და გამოჩორკნილი ორი სკამი ეულად იდგა შიგ. მტვრის სქელი ფენა დასდებოდა მათ ზედაპირს. ერთხანს უხმოდ იდგა გამომძიებელი, მერე მეორე ოთახისაკენ გაემართა აუჩქარებლად.

— მანდ არავის უცხოვრია, ზაფხულობით საწყობად გვაქვს.

მაინც დათვალა იგი და კვლავ პირველ ოთახში დაბრუნდა. შედგა, აქეთ-იქით დაკვირ-

ვებით მიმოიხედა. ბოლოს მზერა მარჯვენა კუთხისაკენ დაძაბა და თანამგზავს ვასძახა.

— ხელდავ რამეს? — იღუმალი ხმით ჩაილაპარაკა და ფარნის ხელი იქით გაიშვირა.

— ვერა, და არც არაფერია, განა წვლან არ ვნახეთ?

— მარჯვენა კუთხეში ყვითელ წერტილს ვერ ამჩნევთ? — ჰკითხა და ფარანი ჩააქრო.

— მგონი, მართლა რაღაც უნდა იყოს!

ახლოს მივიდნენ. გამომძიებელმა ყვითვლილი ფრთხილად აიღო, საეულდაეულოდ შეინახა და ოთახიდან გამოვიდა.

დაფიქრებული მოდიოდნენ.

— ლეონიდე, — მოულოდნელად მიმართა გამომძიებელმა, — თუ გახსოვთ, ის მედვედინი როგორი ტანისა იყო? დაბალი თქმოდია, არა?

— ჰო, ასე იყო, მგონი.

— მარტო ცხოვრობდა?

— ცოლი ჰყავდა თავისავით ბედოვანი. რაც ალხანა, ის ჩალხანათ, ამბობდა ხალხი.

— სად არის ახლა?

— ალექსეის გაუჩინარების შემდეგ სოფელში უნახავთ. თურმე მთვრალი იყო და ქმარს დაეძებდა. მერე აღარავის შეხვედრია.

ღუმელი ჩამოწვა. ვარსკვლავების ჯარი მრავლდებოდა, გაციებულ ცაზე საცოდავად ეკიდნენ დაფლეთილი ღრუბლის ქულები.

— დააკვირდით გვამს?

— რა თქმა უნდა. ასე რატომ მეკითხებით?

— არ გეცნაურათ?

— არაფერი მესმის!

— ვფიქრობ, მედვედინის გვამი იყო ის...

— რაო?! — წამოიძახა ლეონიდემ და ერთი წამით შეჩერდა. ფიქრმოძალეული რაღაცას იგონებდა, ისვენებდა მივიწყებულ სახეს. შემდეგ წინ წასულ გამომძიებელს დაეწია და ხელი შეახო. — შეიძლება თქვენ მართალი ხართ. თქვენი სიტყვის შემდეგ... არა, ის არის ნამდვილი.


მანქანა ნელა დაიძრა. ღრმა თხრილებსა და მღვრიე ტბორებს გვერდს უვლიდა და წინ მიიწევდა.

— რა უცნაურია, — ბუტბუტებდა თავმჯდომარე და მალიმალ გამომძიებელს გადახედავდა ხოლმე, უნდოდა ისევ ამ საკითხზე ჩამოეგლო საუბარი...

გამომძიებელმა პაპიროსი გააბოლა.

„შეფარვით შეხედა თავმჯდომარემ. „თითქოს ასანთი არ ჰქონდა“ — გაივლო გულში და ისევ შეხედა.

ღამის თორმეტი საათი სრულდებოდა. შორიდან გამოჩნდა ლავოდხის სწორი ქუჩები. გავიწვებული თავმჯდომარე სკამის ზურგზე მიშვებულყო და ფიქრს მისცემოდა.



3.

გამომძიებელ ბიძინა ოქროშიძის კაბინეტში ტელეფონი აწკრიალდა.

— გისმენთ. ნუთუ მართლა!.. ვინ შეგატყობინათ?.. კუქსინი მანდ არის?.. მალაპარაკე... ჰიზა, ხუთ წუთში ჩემთან უნდა იყო! ექიმი-ექსპერტი წამოიყვანე. თუ სამსახურში ჯერ არ მოსულა, ბინაზე დაუკავშირე.

— რა ღვთის წყრომა! — ჩაილაპარაკა და გარეთ გამოვიდა. კარის ზღურბლთან პროკურორი შემოხვდა.

— რაშაა საქმე?

— იქ მკვლელობა მომხდარა!... გუშინდელი გვამის აღმოჩენის ადგილიდან ასიოდე მეტრზე, ახლა მელაპარაკა მილიციის მორიგე.

— ვინაობა ცნობილია?

— არა.

დერეფანში აჩქარებით კუქსინი შემოვიდა. დიდ დატოვებულ საღარბაზო კარიდან ექსპერტიც გამოჩნდა, ხელში მომცრო ჩემოდანი ეჭირა და დაფიქრებული ბოლთასა სცემდა.

ძრავაჩართული მანქანა პროკურატურის შენობის წინ ძივძივებდა. გამომძიებელი მანქანის უკანა სავარძელზე მოკალათდა. ასე იცოდა შორს მანძილზე გამგზავრებისას.

„რა უნდა მომხდარიყო, ნეტავ ამ შემთხვევას საიდუმლო საფლავთან კავშირი აქვს?“ — ფიქრობდა იგი.

ჩუმად იყო. ფხიზელი თვალი თუ შეამჩნევდა მოუხვეწრობას. მოაგონდა, როცა ახალბედამ პირველად დაათვალიერა შემთხვევის ადგილი, მაშინ ერთმანეთში როგორ აერია წლების მანძილზე გულმოდგინედ შესწავლილი წესები და დებულებები. თითქოს წიგნის ფურცლებსაც კი ხედავდა, თითქოს კითხულობდა გრძელ, რთულ წინადადებებს, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა როდის რაზე გაემხვილებინა ყურადღება. იცოდა, წერილმანუსკრიპტ მნიშვნელობა ჰქონდა და მიზლომებით დაეძებდა მათ, მაგრამ უჭირდა მიგნება.

მას შემდეგ ათი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ვინ იცის, რამდენჯერ დაუთვალიერებია შემთხვევის ადგილი. აღარაფერი ეპარებოდა მის გამჭრიახ თვალებს, მაგრამ მაინც არ ტოვებდა ის მღელვარება, სულ პირველად რომ აეუფლა. იცოდა, მხოლოდ გამოცდილების იმედით ვერ იქნებოდა; ერთი სახეობის სხვა დასხვა დანაშაულიც კი არ ჰგავს ხოლმე ერთიმგორს, მათში ყოველთვის არის უბრალო, მაგრამ დიდი განსხვავება. და სწორედ ამ უბრალოს შენიშვნა იყო ძნელი, რაც გულისყურსა და სიფხიზლეს ითხოვდა. ასეთ ვითარებაში ყოველთვის დაძაბული იყო, მაგრამ არასოდეს

უფიქრია უკან დაეხია, შეუცნობი ძალით აღზნებული მიეშურებოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის მივიდოდა ადგილზე.

მეჭოროდა მანქანა. მიწდორი გადაჭიმულიყო ირგვლივ, მხოლოდ აქა-იქ ჩანდა ტანსრული ხეები. ერთ მხარეს მიწდორი სოფლისაკენ ექანებოდა. მეორე მხარეს ტყიანი ვორები გასდევდა. უფრო შორს მთები აზიდულიყო, დიდი, თვალშეუღდამი, დათოვლილი მწვერვალები ცის თაღში შეერგოთ.

სამოც მეტრზე იმ სახლიდან, სადაც ასანთი ითხოვეს, მამაკაცის გვამი იდო პირქვე.

გამომძიებელმა შორიდანვე მოავლო თვალი. რომ მიუახლოვდა, შეჩერდა და დაკვირვებით დაათვალიერა. მერე გარშემო შემოუარა, მიწას დასცქეროდა. ყოველ შემოვლაზე წრე მცირედებოდა.

ოცდათუთმეტიოდე წლისას ჰგავდა. მარცხენა ხელი წინ გაშვეროდა, მარჯვენა რკალივით მოხროდა. მიკვლე პალტო ეცვა; შარვლის ტოტები წინდებში ჰქონდა ჩატანებულ; რეზინის ძირიანი ახალი წალები გულდაგულ იყო შეკრული ტყავის თასმებით. ქუდი გვერდზე მოქცეულია.

ხუთ მეტრზე ცხენი ეგდო კისერმოღრეცილი. მუცელი ვაბერვოდა, უნაგირის მოსაჭერი ღველები ღრმად ჩასჯდომოდა ტანში.

გვამსა და ცხენს რამდენიმე ადგილიდან გადაუღო სურათი და ექსპერტს უხმო.


ექსპერტმაც შემოუარა გვამს, ახლოს მივიდა და დააცქერდა. მერე სხვების დახმარებით ფრთხილად გადააბრუნა. შუბლზე კარგა მოზრდილი ოვალური ნასერტეტი აჩნდა, რომელიც შედედებულ სისხლს ამოევსო და მის ზედაპირს გუმბათად დასჯდომოდა. ირგვლივ კანი შემუშებოდა.

— ტყვიითაა მკვდარი. გარეგანი დათვალიერებითაც აშკარაა, შუბლში მიყენებული ჭრილობა სასიკვდილია. სრულ სურათს გაკვეთა მოგვცემს, — თქვა მან.

გამომძიებელი ქონისაკენ გაემართა. ირგვლივ შემოუარა და მერე ფეხაკრფით შევიდა შიგ, თითქოს არ უნდოდა მყუდროება დაეგრძევა. ლიტიენანტი შორიასხლოს მიჰყვებოდა.

გადმობრუნებული მაგიდა კართან ახლოს, კუთხეში ეგდო, ბრტყელი ზედაპირი წინა კედლისაკენ ჰქონდა მიშვერილი. კარის მეორე მხარეს ტაბურეტების სორა იდგა. მაგიდასა და ტაბურეტებზე ჭუჭყიანი ლოგინი მიეწყოთ. ორი ენებეზამილი, ალაგ-ალაგ ჩამტვრეული ტახტი იატაკით იყო დაგებული დატყვნილი მიწაზე. სხვა საოჯახო ნივთებიც მიწაზე ეყარა, იქვე ეგდო ბეწვიანი ქუდი. შუქი ავლდა ოთახს, თალხი ფერი გადაჰკროდა ყველაფერს.

გამომძიებელმა ქუდი აიღო და კარებთან



მივიდა. დიდი ზომის იყო, გახუნებული, ოფლისა და ცხვრის სუნი ასდიოდა.

— აქ ვინ ცხოვრობს, იცი? — ჰკითხა ლიტენანტს.

მინდვრის მცველი. რამდენიმე თვეა, ერთი შუახნის ქალი და მისი ქალიშვილიც აქ არიან. არ ვიცი, ის ქალი ცოლია, თუ...

— გუშინ ვიყავით აქ მე და ლეონიდ გაბრიელისძე. კაცი სახლში არ იყო და არც ელოდნენ. როგორ ფიქრობ, რა უნდა მომხდარიყო?



კუქსინს თვალები აენთო, გაიარ-გამოიარა. — ალბათ „ის“ ესტუმრა, თუ ეგონა, ხელს არავინ შეუშლიდა. მაგრამ პატრონი მოულოდნელად დაბრუნდა და... — ჩაფიქრდა. — ეს ქული რაღაა, ნუთუ ორნი იყვნენ?

— ალბათ. შეხედე, ორ ადგილასაა ლოგინი მიყრილი, სროლის დროს თავი თუ შეაფარეს...

ოთახიდან რომ გამოვიდნენ, ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა მათ. უძილობით თვალები გადადღოდა, ოფლი ხეირთქლად ასკდებოდა აწითლებულ სახეზე.

— თქვენ ჩემთან ხომ არა ხართ? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— დიახ. ლაგოდეხშიც ვიყავი, მაგრამ ვერ მოგისწარით.

— რაშია საქმე? ახალგაზრდამ ხალხს შეავლო თვალი.

— აქ უხერხული არ იქნება? საიდუმლო კი არ არის, მაგრამ...

ყველა განზე გავიდა. — ვინ ბრძანდებით?

— რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. — გაჩუმდა, ჯერ მილიციის ლიტენანტს შეხედა, მერე გამომძიებელს. — პირდაპირ გეტყვით. წელს ჩვენს სკოლას შემა არ ჰქონდა. გვეგონა მოგვემდინენ, მაგრამ არ მოხერხდა. გადავწყვიტეთ თავად დაგვემზადებინა და ოთხი კაცი დავიჭირავეთ. შაბათს, დირექტორმა მითხრა, ნახე რას აკეთებენო. უთენია წავედი. ერთგულად მუშაობდნენ. ხორად იდგა დაჩეხილი წიფლის მორები. ცეცხლის პირას

საუბარმა გამიტაცა და გვიან წამოვედი. მაგრამ შიში არ მქონია, მხოლოდ ის მაფიქრებდა, ცა არ მოღრუბლულყო და გზა არ ამზნეოდა.

ტყე მშვიდობიანად გამოვიარე. ის იყო, ამ სახლს მოუვახოვდი, უჩვეულო ხმაური შემომესმა. შეეჩერდი. მცირე ხნის შემდეგ აშკარად გავარკვიე ფეხის ხმა: ვიღაცა თავგამოდებით მორბოდა; ბილიკებით მოდიოდა მანძილის შესამოკლებლად. აქაურია ალბათ-მეთქი, ვიფიქრე. ახა უცხო იმ დამეში ბილიკს როგორ გაივნიდა!

ტყიდან მინდორზე რომ გამოვიდა, არც მაშინ შეჩერებულა, მორბოდა და თანდათან მიახლოვდებოდა. მაგრამ ვერ ვიცანი. პატარა ტანისა იყო, ალბათ ჩასკვნილიც. გრძელულის თოფს დროგამოშვებით ინაცვლებდა ხელიდან ხელში. თმა გასწეწოდა, თვალები უელავდა.

ქოხთან რომ მივიდა, შედგა. ამ აცაბაცად აქედებულ ფიცრებს ხელი აუსვა. ვერ დავინახე, მაგრამ მივხვდი, ფარდალა მოძებნა და გახედა. მერე ყური მიაღო, სიბნელეში ვერაფერი გაარჩია ალბათ. მაშინვე გველნაკბენით შეხტა და თოფი შემართა. ქოხის წინა მხარე მოლურჯო ალმა გაანათა, შიგნით კი ქალები აწივლდნენ.

— ბრიყვებო, სინდისისაგან გარეცხილებო... — ღრიალებდა კაცი შესაზარი ხმით, თან უკან უკან იხევდა და ქოხს ტყვიას უშენდა.

ოთახიდან პატივება ითხოვდნენ. პასუხად თოფი ჭექქდა.

წიოკობა ერთბაშად შეწყდა და სიჩუმე ჩამოწვა. ბაიბური აღარ ისმოდა.

მდუმარებამ ალბათ სიფიცხე დაუცხრო იმ კაცს, გულგრილად წაიწია წინ, მაგრამ ახლოს რომ მივიდა, ჩაიმუხლა. ამ დროს მთვარე სქელ ღრუბლებში შეცურდა და ჩამოხნულა.

როცა ნათელი მოეფინა გარემოს, მთელი ტანით აღიმართა უცებ და მინდორში გაიჭრა. მამინ შევამჩნიე, ქოხის კარი ღია იყო და ცუდად მენიშნა.

კუქსინა უსიტყვოდ მივიდა კართან. მისურა, გააღო, ისევ მისურა და გააღო. რბილად სრიალებდა ანჯამებზე, არ ჭრიალებდა.

— სულ ახლოს ცხენის ჭიხინი ვაისმა. ტანდაბალი კაცი შურღულივით იქით გაექანა და სწორედ მაშინ მიეტანა ცხენს, როცა ზედ ვილაც ჯდებოდა. დამფრთხული ცხოველი ყალყზე შედგა, მაგრამ ამ დროს თოფმა იჭექა და მხედარი ძირს დაეცა მოცელივით.

4.

— აქ რომ ჩამოვედი, მუშაობა მეზოსტნეობის ბრივალაში დავიწყე. საცხოვრებლად გამომიყვან ვაქით ოთახი ამავე ბრივალის ტერიტო-

რიაზე აგებულ სახლში. იქვე ცხოვრობდა ცოლ-ქმარი: დუსია და ალექსეი. ზაფხული რომ მიიწურა, მე და ჩემი ქალიშვილი კლავდია ბლინოვა ბელაქნის რაიონში გადავედით. ვცხოვრობდით ჩემი ძმის ფედისას სახლში და ვმუშაობდით მეღორეობის ფერმაში. ფედისას ცოლმა აგვითვალწუნა, მისი შთაგონებით ძმამ გვცემა და სახლიდან გამოგვავადო. — ჩქარობდა ვალენტინა ბლინოვა, წინადადების ბოლო სიტყვებს ზოგჯერ არც კი ამთავრებდა. გამომძიებელი მშვიდად იყო, მოთმინებით უსმენდა.

— რა გვექნა, დავბრუნდით ლაგოდნის რაიონში და ისევ მებოსტნეობის ბრიგადაში და-



ვიწყეთ მუშაობა. არაგინ არ მყავდა, მიჭირდა მარტობა და ცოლად გავყევი მინდვრის მცველ კოლიას.

ბელაქნიდან რომ დავბრუნდით, დუსია და ალექსეი იქ აღარ დაგვხვდნენ. კოლიამ მითხრა, სადღაც წავიდნენო.

ქალი შეჩერდა, ეტყობოდა რაღაცას ფიქრობდა, შემდეგ ისევ განაგრძო.

— ერთხელ მდინარე თეთრი წყლის ნაპირას გადავედი შემოსათვის. ჯანაზს რომ მივუახლოვდი, კოლიამ თვალი მომკრა და გამიწყრა — მანდ რა გინდაო. უსიტყვოდ გამოვბრუნდი, მაგრამ მისი ხმა აღარ მასვენებდა, ვიგრძენი, რაღაცას მიმალავდა.

მარტო რომ დავჩი, ცნობისმოყვარეობამ სახლში აღარ გამაჩერა, ფრთხილად გამოვედი და მდინარისაკენ წავედი. არ ვიცი, საიდან, გზაზე კოლია შემეფეთა და გამიჯავრდა.

ერთად დავბრუნდით. მის სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, ვაბრაზებული იყო. ეიღერ სახლში მივიღოდით, მტუქსავდა და მაგინებდა. — ქალი გაჩუმდა. გამომძიებელს გადახედა და განაგრძო. — რამდენიმე დღე გავიდა. ვხედავ, სახლის წინ ჯირკვზე ჩამოქვდა და ტირის. გამივივრდა, მივუახლოვდი და მიზეზი ვკითხე. ალექსეი მე მოვკალიო, მიპასუხა. როგორ მოკალი, ნუთუ ხელი არ ავტიანკალა-მეთქი. მერე რა, შემიძლია შენც მოგკლა და უფლი არ შემიკრთებაო. მე აეტირდი, მაგრამ

მომეფერა და სხვა დროს ამ საკითხზე აღარ გვისაუბრია.

— თქვენ ერთი გამოგრაათ, ის ალბათ დაგემუქრათ, რომ, რაც მისგან შეიტყვეთ, არავისთვის გაგემხილათ.

— დიას, ასე იყო, — გაუბედავად დაადასტურა ვალენტინამ და თან სკამზე შესწორდა. — რა კარგია რომ მიხვდით, — დასძინა მერე კმაყოფილი ხმით.

— გუშინ საღამოს კი რა მოხდა, არაფერი გითქვამთ. ჩვენთვის ისიც საჭიროა.

— ჩემი სიძე მაჰმუდი და მისი ერთი მეგობარი ჩვენთან მოვიდნენ. მოულოდნელად კოლია დაბრუნდა და იეკვიანა. დანარჩენი თქვენც იცით, მაჰმუდი ცოცხალი აღარ არის.

გამომძიებელს გაეღიმა. უჩვეულო ღიმილი იყო: სიკეთის სხივი მშვიდ სახეზე ისევ უკრთოდა, მაგრამ თითქოს გამოჩნდა მისი სულის სიღრმეში ჩაძირული სიმყარე და შეუვალობა.

— ლაგოდნში სად ცხოვრობდით, ვიდრე კოლიას ცოლად გავყევიდით? — ჰკითხა დინჯი ხმით.

— იმ სახლში, სადაც დუსია და ალექსეი ცხოვრობდნენ.

— ტყუით! ის ორი ოთახისაგან შედგება და ერთი საწყობად იყო გამოყენებული.

ქალი დუმდა.

— რა გვარია კოლია?

— არ ვიცი.

— მამის სახელი?

— არ ვიცი.

— მაგრამ ქმარი კი იყო, არა? თქვენ ხომ არ ფიქრობთ. არა ხართ კარგი ქალი, ქალიშვილიც კი არ დაინდეთ...

გამომძიებელს თვალეები არ ანთებია, არც შუბლი შეკუმხნია, მაგრამ რისხვა და მიუტყველობა, რასაც ახლა ხმა უმეყლანებდა, მთელი მისი არსებიდან მოედინებოდა. ჩაფიქრდა, ყურმილი აიღო და მილიციას დაუკავშირა.

5.

კლავდია ბლინოვა კედელთან ატუზულიყო. — დაქვით. — სთხოვა გამომძიებელმა.

გოგონა შეინძრა, გაუბედავად გადადგა ნაბიჯი, მაგრამ ისევ უკან დაიხია და კედელს მიეყრდნო.


— დაქვით, ნუ გერიდება! — დაუყვავა პედგოგმა გალინა ზუბკოვამ, რომელიც გამომძიებლის მიწვევით იყო აქ. შეკრთომა რომ შეატყყო, ხელი ნაზად მოხვია და გვერდით მოისკა.

— წერა-კითხვა იცი?

— ცოტა.

— რატომ ცოტა?

— მხოლოდ ოთხი კლასი დავამთავრე. დედამ მითხრა, საკმარისიაო.



საქართველოს
ხელნაწილების
სამეცნიერო ცენტრი

— მამა რას ამბობდა?
 — მე არ ვიცი ჩემი მამა ვინ არის.
 დუმილი ჩამოწვა. გოგონამ თავი ჩაღუნა და ხელები გულზე დაიკრია.
 — სწავლა გინდა? — ჰკითხა გამომძიებელმა.
 — დიახ.
 — მამ, დაგეხმარებით, ჯერ კიდევ გაქვს დრო. კოლია როგორ გექცეოდა?
 — იმას ვეცოდებოდი. ერთხელ მცემა მხოლოდ.
 — რატომ?
 — დედამ მითხრა, მაჰმუდთან უნდა დარჩე, ახლა პატარა აღარ ხარო... იმის შემდეგ ის ხშირად დადიოდა ჩვენთან. კოლიას ეს ამბავი გაეგო და მცემა. — სულელო, რას სჩადისარ, თუ იციო. მე ვუამბე, რაც მოხდა. დედაშენი ხომ ეშმაკის კერძიაო, დაიყვირა, ისიც მიბეგვა და ორიგენი სახლიდან გაგავადრო. რალა გზა გვექონდა, ბელაქანში წავედით დედაჩემის ძმასთან.
 — როდის წახვედით?
 — აგვისტოს ბოლოს.
 — მაშინ კოლიას რა ხელი ჰქონდა, განა იმ დროს მასთან ცხოვრობდით?
 — ბოსტანში გაზაფხულზე დაიწყეთ მუშაობა და თავიდანვე იქ მივედით. დედამ თქვა, ჩემი ქმარიო.
 — დუსიასა და ალექსეის მეზობლად თუ ცხოვრობდით? ერთ სახლში ცხოვრება მაქვს მხედველობაში.
 — არა.
 — მეზობლობა თუ გქონდათ?
 — არაყს სვამდნენ ხოლმე ერთად.
 — დუსიაც სვამდა?
 — თო, იმას ძალიან უყვარდა არაყი. ამის გამო ალექსეი ხშირად ეჩხუბებოდა.
 — მართლს ამბობ?
 — ვასილ პორფირის-ძემაც იცის ეს ამბავი.
 — ვინ არის ვასილი პორფირეს-ძე?
 — გოლოვკინი, ბრიგადირია.
 — საიდან გაიგო?
 — ზოგჯერ დუსიასა და ალექსეის სახლიდან ხეინაღმამ ათევედა ღამეს.
 — კოლია და ალექსეი თუ ჩხუბობდნენ?
 — ნამდვილად ერთხელ იჩხუბეს...
 — გახსოვს ჩხუბი როგორ მოხდა?
 — არაყს სვამდნენ... მერე ალექსეიმ ცემა დაუწყია დუსიას. დუსია გაიქცა და სადღაც დაიშალა. კოლია გაბრაზდა — რატომ ცემა, რა დაგიშავაო. — შენ ვინ გკითხავსო, გაწყრა ალექსეი და ღობიდან მარგილი ამოძარო. კოლია სახლში შევარდა, სანადირო თოფი გამოიტანა და გვერდში ესროლა.
 — დედაშენი სად იყო იმ დროს?
 — ერთად ვიყავით.
 — გვამს რა უყვეს?

კლავდია შეიმშუშნა, უგუნებოდ მიმოიხედა.
 — კოლიამ წაათრია, ჯაგებში შეიტანა და ფოთლები დააყარა... მერე ორმო გათხარა და რომ დაღამდა, დამარხა.
 — კლავდია, შენ, ტყუილი გცოდნია!
 — რა ვქნა, მცემს... ჯანჯარში დედამ და კოლიამ წაიდეს. ორმოშიც მათ ჩაავდეს.
 — გუშინწინ თქვენთან მაჰმუდი ყოფილა?
 — ნუ გეშინია თქვი...
 — იყო. — მიძიმე დაქნი ათავი...
 — თქვენი წასვლის შემდეგ დედა უგუნებოდ შეიქნა. მე დაღლილობა ვიგრძენი და დავწე-ქი. — შენც დაწევი, დაისვენე-მეთქი, — ვეხვეწებოდი, მაგრამ თითქოს არ ესმოდა ჩემი სიტყვები, აქეთ-იქით დადიოდა ოთახში.
 უცებ სარკმელს მიაღდა. ჯერ შუბლი, მერე ლოყა მიაღო მინას და განახა. ასე იყო ერთხანს. სახის ნაოჭები ერთბაშად დაეჭიმა, თვალები გაუბრწყინდა და გარეთ ავარდა. ცხენის ფლოქვების თქარა-თქური მკავიოდ ისმოდა... მაჰმუდი მოვიდა ამხანაგთან ერთად.
 — ლოდინით გული გაძლიეთ. — უსაყველურა მათ დედამ.
 — დაგვიანება შემთხვევამ იცის, — უთხრა მაჰმუდის ამხანაგმა, — სოფელში კოლია გადავეყარა და სანამ არ გამოვათვრეთ, არ მოგვეშვა. დაიჭი, ცეცხლივითაა.
 — ფრთხილად. — დამტყბარი ხმით მიუგო დედამ, — აქ დღეს მთელი სოფელი იყო. ღიად დარჩენილ კარიდან ვხედავდი, მაჰმუდის ამხანაგი როგორ ეძალებოდა დედას, რომელსაც ბოთლი ჰქონდა მიხუტებულთ.
 — ნელა ოხერო, არ გამოტეხო, — კიოდა იგი და ზოგჯერ ცალ ხელს გამეტებით იქნევდა.
 ბლარძქინთ შემოვიდნენ ოთახში, მაჰმუდიც შემოჰყვიათ.
 — აცალე, გადაჰკრას, — უთხრა მან ამხანაგს და ჩემკენ წამოვიდა...
 დედა მშვიდად სრუტავდა ჭიქაში ჩარჩენილ უკანასკნელ წვეთებს, თითქოს ჯიბრზე იქცეოდა. ასე, მაჰმუდის ამხანაგი კი ადგილს ვერ პოულობდა, ფეხებს აბაკუნებდა და ბუტბუტებდა. ამ დროს ჭრბაქი წაიქცა და ჩაქრა...
 გოგონამ თავი ჩაჰკიდა. ცრემლი ჩაუდგა თვალებში.

6.

გამომძიებელმა საათს დახედა, პალტო ჩაიცვა და ის იყო კაბინეტიდან უნდა გამოსულიყო, კარის ზღურბლს ახოვანი კაცი მოადგა.
 — როდია დაბრუნდებით, ბატონო?
 — რა გვარი ხართ?
 — გოლოვკინი.
 — ვასილ პორფირეს-ძე?
 — დიახ.

— მობრძანდით.

— არა, დაველოდებით, ჩემი გულისათვის ხელს ნუ შეიშლით.

— მობრძანდით. რატომ უნდა მელოდოთ, თქვენც ხომ გაქვთ საქმე. — ათვალეირებდა და თან ეღიმიებოდა.

— ვერ წარმომედგინა, თუ ასეთი იყავით. ამოდენა კაცი იმ ქოხის სხვენზე როგორ იმართებოდით?

— გაჭირვებამ იცის...

— რაში იყო საქმე?

— მე კოლმეურნეობის მებოსტნეობის ბრიგადირი ვარ. გასული წლის ზაფხულში გვალვისაგან მიწა ვახმა და გაგვიჭირდა. ნაკვეთს ვედარ ვცივლებოდი, საღამოობით სახლში წასვლის თავიც აღარ მქონდა და ზოგჯერ იქ ვათევდი ღამეს. ღუსია ჩემს ბრიგადაში მუშაობდა, მისი ქმარი კი ამ ბრიგადის დარაჯი იყო. ცუდად არ მუშაობდნენ და არც ცუდი შეხედულება არ გვქონია მათზე. მაგრამ ოჯახურ გარემოში ადამიანის გაცნობა სულ სხვა ყოფილა.

ყოველდღე სვამდნენ. ალექსეი რომ დათვრებოდა, ხასიათი ეცვლებოდა, მიზეზი ჰქონდა თუ არა, მაინც ეჩხუბებოდა ღუსიას. არც ღუსია უთმობდა, სასმელისაგან საქციელწამებარი სიტყვას არ შეარჩენდა. ლანძღვა-ვინება ხშირად იმით მთავრდებოდა, ხელითაც ეხებოდნენ ერთმანეთს. რომ გენახათ, იტყოდით, ამიერიდან აღარ იცხოვრებენ ერთადო, მაგრამ დილით შეირიგებულები იყვნენ... რა მექნა, ჰირანახულის მოწვევამდე უნდა მომეთმინა, სახელდახელოდ მუშახელს სად ვიშოვიდით.

ვალენტინა და კოლიაც იქვე ცხოვრობდნენ და იყო შემთხვევა, როცა ისინი ერთად გახმობდნენ.

სამუშაოდან რომ ვბრუნდებოდი, მართალია, დაღლილი ვიყავი, მაგრამ მაშინვე სხვენზე ხომ არ ავკვრებოდი დასაძინებლად, მით უმეტეს პირველ ხანებში, და რამდენჯერმე მეც მათთან ვივანშმე. ერთად ვახშობისას კოლია თავის ცოლს ნებას არ აძლევდა, ორ ჰიქაზე მეტი დაელო.

— შენ რომ სვამ? — შეესიტყვებოდა ვალენტინა და არყიან ბოთლს თვალს ჩასჭიდებდა, თითქოს ეშინოდა, არსად დაემალათ.

— აქ არა, აქ არა. მიდი ქოხში და იქ არის არაყი. დალიე, რამდენიც გინდა დალიე და მოისვენე.

ვალენტინა წავიდოდა თუ არა, ალექსეი წყრომით გადახედავდა ღუსიას. — აი, ის წავიდა, შენ კი მაინც აქა ხარ. — საყვედურობდა ენის ბორძიით.

— კარგი, მეც სახლში დავლევ. სულაც არ მიდა შენს გვერდში ყოფნა. — ბრავდებოდა ღუსია.

— არა, ჯობს აქ დარჩე, იქ მთლად შეინიჭე ყველაფერს, სმაში ვაყვაცი ვერ მოგიდგება. — ეტყოდა ხოლმე დათმობაზე წასული და წარბებს შეპყრიდა.

მორჩებოდნენ სმას თუ არა, ალექსეის ჰირვეულხობა ემატებოდა. მაშ რაცეცხლე? ჩაცეცხლე ხომ? — ეუბნებოდა ღუსიას კბილების ხრჭილით.

როცა ისე გადააჭარბებდა, რომ აღარც ჩვენ გვიწევდა ანგარიშს, კოლია გასძახებდა ხოლმე. და თუ ძახილიც არ გასჭრიდა. ხელს ჩაავლებდა და მოიყვანდა.

— აქ დაჯექი, ალექსეი და იოცნებე. შენ არ იცი, რაა ცხოვრება. — ჩასძახოდა ბუბუნა ხმით. მეორე, არ მითქვამს, ისინი ვარც, ქოხის წინ ვახშობდნენ. ჰო და, როცა კოლია ძალით მოიყვანდა ალექსეის და გვერდში მოისვამდა, ალექსეი ზეცისაკენ აღაპყრობდა თვალებს, თითქოს მართლაც ოცნებობსო და რაღაცას ბუტბუტებდა.

ერთხელ, ასე ვარინდებული რომ იყო, კოლიას უთხრა, შენ არა ხარ კარგი კაციო.

— რატომ? — მშვიდად ჰკითხა კოლიამ.

— შენი ცოლი ვაგადე, ჩემი კი აქ დარჩა.

— ისიც უნდა ვამეგლო? ასე რომ მომხდარიყო, უფრო ვაწყრებოდი. ხომ გითხრა, მეც სახლში წავალ და იქ დავლევო. რატომ არ მიეცი ნება? ნუ ხარ ასეთი. ნუ იფიქრებ, იგი ტყუის, შენ კი მართალი ხარ. შენ არ იცი, რატომ სვამს, არც ვიკითხავს ალბათ. იქნებ გული ტკივა, იქნებ აწუხებს რამე? ჰო აწუხებს, ვიცო რომ აწუხებს, ჩვენ ყველას ვაწუხებს რაღაცა... არ მოგწონს? წადი და შენთვის იყავ, გეხვევება მასთან დარჩე თუ? .

თანდათან მშვიდდებოდა ალექსეი და ხშირად იქვე, ცის ქვეშ ჩაეძინებოდა.

შევიყვანოთ სახლში, არ ვაცივდეს, — ვეუბნებოდი კოლიას.

არა, იყოს, არ ღირს ვაღვიძება, ტენიც ვერაფერს დააკლებს, დასპირტულია, — მეტყოდა იგი, მერე თავისი ქოხიდან ფარაჯას გამოიტანდა და გადააფარებდა.

ერთხელ კოლიამ ხელი ფრთხილად მომიკიდა. მაგრამ ხმას არ იღებდა, მხოლოდ იმ მხარეს იტყობოდა, სადაც ალექსეი იწვა. — ეს ჩემი ფარაჯაა, — ჩურჩულით მითხრა და წმინდა, წყლიანი თვალებით შემომხედა. ვიგრძენი, რაღაც მოგონებით იყო აღვზნებული.

— რა თქვით? — ვკითხე მე, — ვერ გავიგე, რა უნდოდა.

— აქ ჩამოვჯდეთ, თუ არ გეჩქარებათ, — მორიდებით მთხოვა და ჯირკს ხელი გადაუსვა. — ის ფარაჯა მეცვა მაშინ, — თქვა იღუმალი ხმით.

პროკურატურის ორგანოების მუშაობა ახალ ამბსანთა ღონისა

თბილისში გაიმართა პროკურატურის ორგანოების მუშაობა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მიმდინარეობდა სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების ამოცანებს. თათბირში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების პროკურორები, ქალაქ თბილისისა და რესპუბლიკის პროკურატურათა ცენტრალური აპარატის მუშაელები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ **ა. კარანაძემ**.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორმა **ა. ტაყაიძემ**. მოხსენების გამოკამათში მონაწილეობდნენ აჭარის ასსრ რესპუბლიკის პროკურორი **დ. ბაჭელიძე**, აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი **ნ. ქვანაია**, ქ. თბილისის პროკურორი **შ. ლეჟავა**, ქალაქ ქუთაისის პროკურორი **ა. ჟღერტი**, რესპუბლიკის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი **ვ. ასეიშვილი**, ზუგდიდის რაიონის პროკურორი **გ. გვახალია**, რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსი **მ. ქურდაძე**, გურჯაანის რაიონის პროკურორი **ო. ჟღერტი**.

აღმინისტრაციული ორგანოების მუშაობა, რომელიც იბრძვის დამნაშავეობისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევების წინააღმდეგ, მუდამ იდგა პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრში. სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები დიდ მუშაობას ეწევიან, რათა განამტკიცონ მართლმსაჯულება, დაცვან სახელმწიფოსა და მოქალაქეების ინტერესები, აღზარდონ საბჭოთა ადამიანები კანონებისა და სოციალისტური ერთადცხოვრების წესების განუხრედი დაცვის სულისკვეთებით. ამისთანა აღინიშნა თათბირზე, პროკურატურისა და სასამართლოს საქმიანობის დონე რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მთლიანად არ შეესაბამება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს სოციალისტური კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების შესახებ დანაშაულთა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის.

იუსტიციის ორგანოების სახელმწიფო ხელმძღვანელობის დონის ამაღლების, სახალხო მეთრენობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების, კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მიზნით შექმნილია საქართველოს

სსრ იუსტიციის სამინისტრო, სამინისტროები აფხაზეთსა და აჭარაში და იუსტიციის განყოფილება სამხრეთ ოსეთში. ამ ორგანოების წინაშე მტად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანები დგას.

დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებას პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის პირობებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ.

ბევრი რამ გაკეთდა სასამართლოსა და პროკურატურის მუშაობა იდეურ-პოლიტიკური დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

მაგრამ სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები, ითქვამთ თათბირზე, ჯერ კიდევ საკმარისი სიღრმით არ ანალიზებენ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობას, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ იმ მიზეზებისა და პირობების გამოვლინებას, რომლებიც ხელს უწყობენ სამართალდარღვევებს. დამნაშავეობის თავიდან აცილების პროფილაქტიკა კი ამ ორგანოების უპირველესი ამოცანაა.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის პროკურატურის, სასამართლოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები ჯეროვანად არ ათანხმებენ თავიანთ საქმიანობას სამართალდარღვევების მიზეზების შესწავლისა და გამოვლინებისათვის, რაც იწვევს პარალელურად მუშაობაში და აფერხებს მის ეფექტიანობას.

სერიოზული ნაკლოვანებანია რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო აპარატის მუშაობაში, საპროკურორო ზედამხედველობის, გამოძიებისა და მოკვლევის განხორციელებაში, დაბალია გამოძიების ხარისხი, განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებისა. არის გაჭინაურების ფაქტები, დანაშაულობათა ნაწილი გაუსხნელი რჩება. ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურორი ვერ უზრუნველყოფს მტკიცებულებათა შეკრებისა და განმტკიცების საქმეში პირველადწყებითი საგამოძიებო საქმიანობის დროულ და ხარისხიან მოწყობას, ამისათვის კრიმინალისტიკურ ტექნიკისა და მეცნიერული რეკომენდაციების გამოყენებას. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა შეიქმნა ქალაქ ტყიბულში, დმანისის, დუშეთის, გეგუჭკორის, ახალქალაქის, ბოლნისის, წალენჯიხისა და სხვა რაიონებში,

რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილება მუდამ საქმაო პრაქტიკულ დახმარებას როდი უწყევს ქალაქებისა და რაიონების პროკურორებს საშიშ დანაშაულთა გახსნასა და გამოძიებაში.

გამოძიების ვადების დარღვევის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მოკვლევის ორგანოები დროულად არ უზღვნიან მასალებს გამოძიებლებს დანაშაულთა შესახებ, ხოლო პროკურორები არ ახორციელებენ ღონისძიებებს ასეთი მოვლენების აღსაკვეთად.

თათბირზე მოიყვანეს სისხლის სამართლის საქმეების დაუსაბუთებლად შეწყვეტის მაგალითები. მკაცრად ვაკრიტიკეს უკანონოდ დეკრეტების, დაბატიმრებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის ცალკეული შემთხვევები.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საგამოძიებო აპარატებისა და საპროკურორო ზედამხედველობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ვაკიანურებისა და უხარისხო გამოძიების სისხლის სამართლის საქმეების დაუსაბუთებელი შეწყვეტის არც ერთ შემთხვევა, და ამ გზით მკვეთრად ავამაღლოთ გამომძიებლებისა და პროკურორების პასუხისმგებლობა მინდობილი საქმიანობის.

დამნაშაევებისა და სხვა სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკებმა უფრო მჭიდრო და საქმიანი კონტაქტი უნდა დაამყარონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ქმედითი დახმარება გაუწიონ ამხანაგურ სასამართლოებსა და ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებს.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მოპოვებულია სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების განხილვაზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებაში. პროკურორები ხშირად გამოდიან როგორც სახელმწიფო ბრალმძღებლები, მათი გამოსვლებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებებზე პროტესტების ხარისხი, ამასთან დასჯის სასამართლო პრაქტიკა გაუმჯობესდა. მაგრამ ამ საქმეშიც არის ხარვეზები. თათბირზე მკაცრად ვაკრიტიკეს ცალკეული ფაქტები, როცა სასამართლოებს დაუსაბუთებლად რბილი განაჩენი გამოჰქონდათ საშიში დამნაშაევების მიმართ, და ეს განაჩენები დროულად არ გააპროტესტეს ქალაქებისა და რაიონების პროკურორებმა. უნდა გვაძლიეროთ პროკურორის როლი, აღნიშნეს თათბირის მონაწილეებმა, სახალხო სასამართლოების გამსვლელი სესიების ორგანიზაციასა და მოწყობაში, განაჩენების შესრულებისადმი ზედამხედველობის განხორციელებაში.

თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ უნდა გაძლიერდეს ბრძოლა სახალხო დოვლათის დამტაცებლებისა და მექრთამეების წინააღმდეგ, უნდა გააქტიურდეს მათი გამოვლინება საზოგადოებრიობის დახმარებით და მკაცრად დაისჯონ კანონის მოთხოვნების შესაბამისად. კამათში გამოსულებმა ვაკრიტიკეს საგამომძიებო-საპროკურორო მუშაობის ამ უბანზე არსებული ნაკლოვანებანი.

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო საქმეების სწორ გადაწყვეტას მოქალაქეთა შრომის, საოჯახო, საბინაო, ქონებრივი და სხვა უფლებების დაცვას. თათბირის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შეუწყნარებელია უყურადღებობა მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებებისადმი, ნაკლოვანებანი მათი მიღების ორგანიზაციაში.


თათბირის მონაწილეებმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს აგრეთვე იმას, რომ უნდა გაუმჯობესდეს საბჭოთა კანონების პრობაგანდა და მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, სამართლებრივი აღზრდა, საჭიროა უფრო გულდასმით შეირჩეს ლექციების, საუბრების, მოხსენებების თემატიკა. ამ საქმესანობაში უნდა ჩავაბათ სასამართლოსა და პროკურატურის ყველა მუშაკი, უნარიანად გამოვიყენოთ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის შესაძლებლობანი.

თათბირზე ითქვა აგრეთვე, რომ ნაკლოვანებანი პროკურატურის კადრების შერჩევაში, განაწილებაში და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაში.

თათბირის მონაწილეებმა პირობა დადეს, რომ რესპუბლიკის საპროკურორო ორგანოთა მუშაკები, ახორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვნად ამაღლებენ მთელი თავიანთი საქმიანობის დონეს, რათა განამტკიცონ სოციალისტური კანონიერება და საზოგადოებრივი წესრიგი, გააძლიერონ ბრძოლა დამნაშაევების წინააღმდეგ და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაჭრაში.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე **მ. ვვასალიამ**.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი **ვ. მაისურაძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ს. ქაჯაია**, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **კ. კეთილაძე**. (საქდესი).



საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გამართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი. პირველ საკითხად პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის **ს. ი. ქაჯაიას** მოხსენება — „სასამართლო ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები დიდ მუშაობას ეწევიან მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, დანაშაულებასთან საბრძოლველად, სახელმწიფო ინტერესებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის.

ამავე დროს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სასამართლო ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ხარვეზები. ბევრი სასამართლო სუსტად ასრულებს დაკისრებულ ამოცანებს, ღრმა ანალიზს არ უქეთებს დანაშაულობის მდგომარეობას, არ სწავლობს მათი წარმოშობის მიზეზებს და არ ღებულობს ზომებს, რათა აღმოფხვრან ისინი, არ გამოაქვთ კერძო განჩინებები, სათანადო ორგანოებში არ შედიან წარდგინებებით და სხვ.

ამხ. ს. ქაჯაიამ კონკრეტული მაგალითებით დაასაბუთა, რომ ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის სახალხო სასამართლო გადაჭრულ ბრძოლას არ უცხადებს სახელმწიფო ქონების გატაცების, მექრთამეობის და სხვა საშიშ დანაშაულს, სათანადო სიმკაცრით არ სჯის მექრთამეებს, არ ღებულობს ვადამწყვეტ ზომებს სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის სრული ანაზღაურებისათვის.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სასამართლო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის კონტაქტის განმტკიცების აუცილებლობაზე, სახალხო რაზმეულებისა და ამხანაგური სასამართლოების მიმართ დანაშაულის გაძლიერების საპირობაზე, ილაპარაკა მოსახლეობაში საბჭოთა კანონების პროპაგანდის შემდგომი გაფართოების შესახებ.

მომხსენებელმა მკვეთრად გააკრიტიკა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, აჭარის და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს ხელმძღვანელობა, ამ სასამართლოების ზონებზე მიმავრებული მოსამართლეები, რომლებიც კმედიად ვერ ეხმარებიან სახალხო სასამართლოებს ყოველდღიურ საქმიანობაში, ეგუებიან სახალხო სასამართლოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, არ იჩენენ მათდამი საკმაო მომთხონებლობას.

ამხ. ს. ი. ქაჯაია შეეხო აგრეთვე საკასაციო კოლეგიების მუშაობას და აღნიშნა, რომ კოლეგიებში საქმეთა განხილვის ხარისხი ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს. ამის შედეგია ის, რომ გასაჩივრებელი განაჩენები და ვადამწყვეტილებები დიდი რაოდენობით უქმდება ზედამხედველობის წესით.

მეორე საკითხზე მოხსენებით — რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ამის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 მარტის, 1962 წლის 24 ივნისის და 1969 წლის 11 აპრილის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ, — გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ამხ. **თ. შავგულიძე**.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზემოთ აღნიშნულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის რესპუბლიკის სასამართლოს ორგანოებში გარკვეული მუშაობა გასწიეს. უკანასკნელ პერიოდში ამ კატეგორიის საქმეებზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დასჯითი პრაქტიკა, უფრო სრულყოფილად და მიზანშეწონილად ხდება სასჯელის დამატებითი ღონისძიებების გამოყენება, გაიზარდა განაჩენთა სტაბილობა. უფრო მეტი ყურადღება ექცევა დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პრობემების გამორკვევისა და თავიდან აცილების საკითხებს.

მომხსენებელი ვტკობდა შეჩერდა იმ ნაკლოვანებებზე, რასაც ადგილი აქვს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების საქმიანობაში ამ კატეგორიის საქმეთა გარჩევის დროს. სასამართლოები სახალხო დოვლათის დამტაცებელთა მიმართ ზოგჯერ იჩენენ დაუსაბუთებელ ლობიერებას. სამართალში მიცემულ პირებს უფარდებენ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიში ხარისხისადმი შეუსაბამო სასჯელს. სათანადო შეფასება არ ეძლევა კანონით გათვალისწინებულ ისეთ მნიშვნელოვან საშუალებათა გამოყენებას, როგორცაა ქონების კონფისკაცია, გარკვეული თანამდებობიდან განთავისუფლება ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

ილაპარაკა რა ამ კატეგორიის საქმეების განხილვისას სამსჯავრო სხდომის მომზადების მნიშვნელობაზე, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი საქმეების დიდი ნაწილი მიზანშეწონილია განხილულ იქნას გამსვლელ სესიებზე. მომხსენებელმა გააკრიტიკა გუდაუთის, ჩიხულეთის, ტყვარჩელისა და რესპუბლიკის

ზოგიერთი სხვა სასამართლო, რომლებიც იშვიათად აწყობენ გამსვლელ სესიებს ასეთ საქმეებზე.

მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ს. მაკარაძემ** და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. ღვინჯილიამ**. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოქქის სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. კაჩმაზოვამ**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ **გ. გაბუნამ**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა **დ. ბალათურამ**, **მ. გიორ-**

გობიანმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ **გ. იოსავამ**. საბოლოო სიტყვით გამოვიდა **ს. ქაჯაია**.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი: პლენუმს ესწრებოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ა. კვაჭიძე**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილემ **მ. ა. გვასალია**, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი **ვ. ი. მაისურაძე**.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორი **ა. ე. ტაყიძე**.

ზ. მენდენიერი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი.

წიგნის საჯარო განხილვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის თაოსნობით 1970 წლის 24 ივნისს გაიმართა საჯარო განხილვა ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომლის, იურიდ. მეცნ. კანდ. ი. ფუტყარაძის წიგნისა „საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება“ (მეცნიერება, 1969).

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და ისტორიული ფაკულტეტების, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენლებმა.

საჯარო განხილვის ხელმძღვანელმა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილების გამგემ აკად. ი. დოლიძემ აღნიშნა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის საკვანძო საკითხების მეცნიერულ კვლევა-ძიებას, ილაპარაკა იმ გავრდილ ინტერესზე, რასაც განსაკუთრებით ამ ბოლო დროს იჩენენ ჩვენი ისტორიკოსები და იურისტები, მათ შორის განსახილველი ნაშრომის ავტორი, ქართული საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარების პრობლემისადმი.

მომხსენებელმა პროფ. ი. კაჭარავამ დაწვრილებით და ყოველმხრივ მიმოიხილა ი. ფუტყარაძის ნაშრომი. მან აღნიშნა, რომ ავტორს დიდი და ნაყოფიერი შრომა გაუწევია პრობ-

ლემის შესწავლა-გამოკვლევისათვის. ხაზი გაუსვა თემის აქტუალობას თანამედროვე პირობებში. ეროვნული სახელმწიფოებრიობის ბედი — განაცხადა მომხსენებელმა — დიდი პოლიტიკური და მეცნიერული ინტერესის აღძვრელი პრობლემაა. წიგნის გეგმა ძირითადად სწორადაა შედგენილი. ავტორმა ფრიად საინტერესო და გონებამახვილური დაკვირვებანი წარმოგიდგინა ნაშრომის შესავალ ნაწილში, სადაც მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს ძველ ისტორიასა და სახელმწიფოებრიობის საკითხებს. მართალია საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდს იგი ძალიან მოკლედ იხილავს, მაგრამ მიანც ახერხებს რიგი საკითხების ახლებურ გააზრებას. სახელდობრ, მხედველობაში მაქვს სოციალისტური რევოლუციის ზოგიერთი სუბიექტური ფაქტორის საკითხი. სოციალისტური რევოლუციის შეყოვნების სუბიექტური ფაქტორთა შორის ი. ფუტყარაძე ასახელებს „ქართველი კომუნისტების მიდგომას ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხისადმი“ (გვ. 18). იგი მართალია, როდესაც წერს, რომ „საქართველოს ყველაზე გვიან ვასაბჭოება არსებითად სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნებოდეს“ (გვ. 20). სწორია იმაშიც, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელში და ისარგებლა ამით სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ.

პროფ. ი. კაჭარავას აზრით, ი. ფუტყარაძე ძირითადად სწორ თვალსაზრისს აყალიბებს რევოლუციის შესახებ. ავტორი მოკლედ, მაგრამ



მართებულად აშუქებს ახალი ეკონომიური პოლიტიკის თავისებურებებს საქართველოში. მართებულადაა გააშუქებული აგრეთვე სახ-კომსაბჭოს საკითხი რევკომების მმართველობის პერიოდში. ასევე არ შეიძლება არ დავეთანხმეთ ავტორს საქართველოს რესპუბლიკის შიგნით ავტონომიური ერთეულების შექმნის ისტორიაზე მსჯელობისას. საქართველო სამართლიანადაა მიჩნეული „პატარა ფედერაციად“. სწორად არის გარკვეული სსრ კავშირისა და მასში შემავალი რესპუბლიკების, აგრეთვე ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების ურთიერთობა, სახელდობრ, სუვერენიტეტისა, ფედერაციიდან გამოსვლისა და სხვა საკითხები.

მომხსენებელმა აღნიშნა ნაშრომის ზოგიერთი ნაკლიც. სახელდობრ, ავტორს სათანადო სისრულით არ აქვს განხილული საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობა თანამედროვე ეტაპზე, რომელიც ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ი. ფუტყარაძემ კი ამ საკითხს წიგნის მხოლოდ ერთი მესამედი დაეთმო. უმჯობესი იქნებოდა, რომ მას ეს საკითხი უფრო დაწვრილებით განეხილა „პროლეტარიატის რევოლუციის წინაღობის დელი საქართველოს პოლიტიკური წესწყობილების“ მიმოხილვის ხარჯზე. არ არის ზუსტი, რომ რუსეთის კონტრრევოლუციონერთა მიერ შექმნილი „მთავრობებისა“ და მენშევიკების ხელმძღვანელობით დამყარებული დიქტატორის „კლასობრივი ბუნება“ არსებითად ერთნაირი იყო (გვ. 21). ასევე არაზუსტია ისიც, რომ უცხოელი იმპერიალისტები ცდილობდნენ აექულებინათ საქართველო ეომა რუსეთის წინააღმდეგ (გვ. 24). მომხსენებელი არ ეთანხმება ავტორს, როდესაც. ეს უკანასკნელი იზიარებს პროფ. გრ. ყვანიას დებულებას იმის თაობაზე, რომ რუსეთ-საქართველოს 1920 წ. 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულებამ გააიოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა საქართველოში. ავტორი არსებითად არაფერს ამბობს „საქართველოს ნაგვიანევი ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობის ზანმოკლე ისტორიაზე“ (გვ. 29). საქართველოს კ. ცენტრალური კომიტეტის 1922 წ. 15 სექტემბრის დადგენილებასთან დაკავშირებით მას უფრო საფუძვლიანად უნდა განეხილა ლენინის მიერ 1922 წ. 31 დეკემბერს გამოთქმული მოსაზრება საკავშირო სახელმწიფოს შესახებ.


ი. ფუტყარაძე კარგად გვიჩვენებს საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიზაციის დაწყებულ პროცესს, მაგრამ დამაჩერებლად არაა დასა-

ბუთებული მისი მსჯელობა პროლეტარიატის დიქტატურის საერთო სახალხო სახელმწიფოდ გადაზრდის შესახებ.

დასასრულ, პროფ. ი. კაჭარავა ასკვნის, რომ მიუხედავად ზოგიერთი სადავო მოსაზრებისა, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, ი. ფუტყარაძის გამოკვლევა „საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება“ არის საკითხის ცოდნით სათანადო მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომი. იგი ემყარება მდიდარ წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიულ ბაზას. ავტორს მხედველობიდან არ გამოჩენია მისი კვლევის ობიექტის შესახებ ისტორიულსა და იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი. იგი ამ მოსაზრებებთან საკუთარ დამოკიდებულებას გვიჩვენებს ისე ზუსტად და კეთილსინდისიერად, რომ მცირედი ნიუანსიც კი არ რჩება აღუქმსხავი, რაც საშუალებას აძლევს ახალგაზრდა მეცნიერს თავი აარიდოს ზოგადი და ტრაფარეტული ფრაზებით მსჯელობას. ამ ნაშრომის სახით ქართულმა ისტორიოგრაფიამ კარგი მეცნიერული გამოკვლევა მიიღო.

მეორე მომხსენებელმა პროფ. გ. ერემოვმა, პირველ ყოვლისა ხაზი გაუსვა ავტორის დამსახურებას აღნიშნული პრობლემის გამოკვლევის საქმეში. ეს ნაშრომი როგორც ისტორიული, ისე იურიდიული მეცნიერების კარგი შენაძენია. წიგნის ერთერთი ღირსებაა ისტორიული მასალების იურიდიული ანალიზი. ავტორს კეთილსინდისიერად უმუშავნია, იგი ობიექტურია წინამორბედ მკვლევართა მიმართ. აქვს აზრის ლაკონურად გადმოცემის საუცხოო უნარი, წერის განსაკუთრებული მანერა.

მომხსენებელს მიაჩნია, რომ წიგნი უთუოდ მოიგებდა, მას რომ დართოდა სახელთა საბჭოთა და რეზიუმე რუსულ ენაზე. უმჯობესი იქნებოდა ავტორს ნაცვლად „გასაბჭოებისა“ ეხმარა „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება“, „გასაბჭოება“ ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს რევოლუცია ვარგვანი ძალების გავლენით განხორციელდა. მომხსენებელი არ ეთანხმება ავტორს რევკომების გაგების საკითხში. იგი ლაპარაკობს რევკომის იურიდიული ბუნების, სამთავრობო ფუნქციებისა და უფლებამონაცვლე ორგანოების შესახებ. მისი აზრით, ცდება ი. ფუტყარაძე, როდესაც უარყოფს პროფ. ა. კიკვიძის დებულებას, რომ საქართველოს რევკომის პრეზიდიუმი იყო კანონმდებელი ორგანო. არასწორია, რომ „სათემო რევკომთან იურიდიულად გათანაბრებული იყო რაიონული რევკომი“ (გვ. 42). ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი შეიქმნა არა 9, არამედ 6 მარტს, ხოლო საქართველოში დეკ-



რტი მიწის შესახებ მიიღეს არა 7, არამედ 6 აპრილს. ასევე, რევოლუციის შემდეგ აპარატი არ საჭიროებდა გაქართულებას, ვინაიდან მენ-შევიკების ღრის სახელმწიფო ზედმეტად გა-როვნულულებულიც კი იყო.

მილიციის შესახებ რამდენიმე აქტი იქნა მიღებული, ავტორი კი მხოლოდ 1922 წ. დე-ბრულებას ასახელებს. არასწორია მოსაზრება, რომ ძველი სასამართლო სისტემა რუსეთში დაიმსხვრა ერთბაშად, საქართველოში კი თან-დათანობით. ეს პროცესი ორივეგან ერთნაირად მიმდინარეობდა. მომხსენებელი არც საქართვე-ლოს საბჭოების მორიგ ყრილობათა პერიოდულ-ად მოწვევის ვადებში ეთანხმება ავტორს. რესპუბლიკებს შორის ურთიერთობა სსრ კავ-შირის შექმნამდე იყო კონფედერაციული და არა ფედერაციული. ავტორი ასახელებს „100-ზე მეტი ეროვნების აღამიანს, მაშინ როდესაც ჩვენს ქვეყანაში 131 ერი და ეროვნება ცხოვ-რობს.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, განსახილველი წიგნის გამოცემა უთუოდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

მომხსენებთა შემდეგ გაიშარა კამათი. შეე-ხო რა ი. ფუტყარაძის ნაშრომს (გვ. 93) პროფ. ა. კიკვიძემ უკმაყოფილება გამოთქვა თავისი დებულებების ავტორისთვის კრიტიკის ფორმის გამო. ამასთანავე მან დაიცვა მის ნაშრომში („საქართველოს ისტორია“, ნაწ. III, 1967 წ.) გამოთქმული და ი. ფუტყარაძის დასახელებულ წიგნში გაკრიტიკებული შეხედულება, რომ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ავ-ტონომიურად მოწყობის საკითხი დამუშავდა და გატარდა ბარტულ ორგანიზაციებში და საბჭოთა ორგანოებში 1922-1923 წლებში, რო-დესაც კიდევ შეიქმნა სხენებული ავტონომიე-ბი საქართველოს 1922 წლის კონსტიტუციის საფუძველზე. მისი სიტყვით, ცდება ავტორი, როცა საქართველოს თვლის ფედერაციულ სა-ხელმწიფოდ. ასევე ეკამათება იგი ი. ფუტყა-რაძეს აჭარის მეკლისის თაობაზე (გვ. 101). პროფ. ა. კიკვიძის განცხადებით ავტორი ამ წიგნში არ უნდა შეხებოდა საქართველოს ძველ ისტორიას, რითაც თავიდან აიცილენა შეცდომებს. კერძოდ, მონარქი ჩნდება, ბურ-ჟუაზიული წყობის ჩასახვის ღრის. მონარქზე, ფეოდალურ მონარქიაზე შეიძლება ვილაპარა-კოთ მხოლოდ დავით აღმაშენებლის ღრვიდან და არა ვახტანგ გორგასალის ეპოქაში. მას უმართებულოდ მიაჩნია ის აზრიც, რომ საქარ-თველოს გაერთიანების ვახზე (სრული გაერ-თიანება არსებითად დამთავრდა 1122 წ.) VIII-IX ს.ს. არსებობდა „მეფე აფხაზთა“, „მეფე ქართუელთა“ და „მეფე კახთა“, ხოლო შემდეგ (X ს. დასასრულ — XI ს. დასაწყი-

სი) თანდათან დაფუძნდა ერთობლივი საქარ-თველოს მეფობა („მეფეთა-მეფე, მეფე აფხაზ-თა, ქართუელთა, კახთა და რანთა“), არასწორია ავრთვე ცნება „ადრეკლასობრივი“ („ადრე-კლასობრივი საზოგადოება“) და საერთოდ აღ-რე კლასობრიობის თეორია. ამ შენიშვნების საფუძველზე პროფ. ა. კიკვიძის წიგნი დას-რულუბულ მონოგრაფიად არ მიაჩნია.

პროფ. ე. შვანია ეთანხმება მომხსენებლებს, რომ ი. ფუტყარაძის წიგნი „საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება“ არის პრობლემის სერიოზული გამოკვლევა, ავტორი გამოირჩევა განსაკუთრებული მეცნიე-რული კეთილსინდისიერებით. ღრის სიმცი-რის გამო — ამბობს ორატორი — მე აღარ შევეხები ნაშრომის სხვა დადებით მხარეებს და პირდაპირ გადავალ შენიშვნებზე. კარგი იქ-ნებოდა არსებითად და ვერცლად შეჩერება მენშევიკების სახელმწიფო აპარატზე. ორატო-რი ეჭვს გამოთქვამს ეროვნული სახელმწიფო-ებრიობის საკითხისადმი მიდგომის, როგორც რევოლუციის შემაფერხებელი სუბიექტური ფაქტორის რაობის შესახებ. მისი აზრით ავტო-რი ცდება, როდესაც ლაპარაკობს „ეროვნულ უმცირესობებზე“ და საქართველოს მიიჩნევს ფედერაციულ რესპუბლიკად. ფედერაციის სა-ფუძველია მისი სუბიექტების თვრილილი თა-ნასწორობა, როგორც ესაა საერთო-საკავშირო სახელმწიფოში. რუსეთის მაგალითი საქართვე-ლოსათვის არ გამოდგება. საჭირო იყო საქარ-თველოს რეკომის შუამდგომლობის სრულად დასახელება, უფრო მეტი დასაბუთება იმ დე-ბულებსა, რომ 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრუ-ლებამ გააიღო საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა, ავრთვე იმისა თუ რატომ იყო ეს ხელშეკრულება 1921 წ. დასაწყისში „ფაქტიუ-რად გაუქმებული“.

პროფ. ი სურგულაძე თვლის, რომ განსა-ხილველი წიგნის სახით მნიშვნელოვან გამოკვ-ლევასთან გვაქვს საქმე. ავტორს შეუსწავლია დიდძალი ლიტერატურა, მოცემული აქვს პრობლემის ჭეოვანი მეცნიერული ანალიზი. ნაშრომში ბევრი საკითხი ორიგინალურადაა გადაჭრილი. წინაა წამოწყებული თემის არსე-ბითი მხარეები და დასმულია ყველა ძირითადი საკითხი. მაგრამ ზოგიერთი საკითხი მაინც და-ზუსტებას საჭიროებს. ზუსტად არ არის წარ-მოდგენილი ადრეკლასობრიობის თეორიის არ-სი: მხედველობიდანაა გამოჩენილი პირველ-ყოფილი თემური წყობა. მთავარია ის, რომ სამი საწყისის პირველყოფილი — თემური, მონათმფლობელური და ფეოდალური ურ-თიერთობების ბრძოლაში ფეოდალური წყო-ბა იმარჯვებს. მოსაზრებე ფორმაციითაა გა-მიჯნვის შესახებ ციტატი მარქსის ნაშ-



რომიდან არ ეთანწყობა ავტორის მსჯელობას. შეიძლება გვერდის ავლა არჩილ მეფის საკითხისათვის. საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს დამლაშე მსჯელობისას ყურადღება უნდა გამახვილებულიყო შინაგან ფაქტორებზე. მართალია ი. ფუტყარაძე როცა ქართული ფეოდალიზმის ისტორიას IV-საუკუნეიდან იწყებს, მაგრამ ასეთი დასკვნა არ შეიძლება გაკეთდეს აკად. ს. ჯანაშიას ნაშრომებზე დაყრდნობით. ამასთან ერთად საჭირო იყო ფეოდალური ეიარაქის უფრო მეტად დაკავშირება საქუთრებასთან. ორატორი პროფ. ა. კიკვიძის საწინააღმდეგოდ აღნიშნავს, რომ საქართველოში ვახტანგ გორგასალის დროს ნამდვილად იყო მონარქია.

პროფ. ვ. აბაშმაძემ მოკლედ გადმოსცა საკითხის შესწავლის ისტორია და არსებული ვითარების გათვალისწინებით განსახილველი წიგნი ერთ-ერთ საუკეთესო ისტორიულ-იურიდიული მონოგრაფიად მიიჩნია. მაგრამ, — ამბობს იგი, — წიგნის შინაარსი არ პასუხობს სათაურს, ვინაიდან ავტორი საქართველოს ძველ სახელმწიფოებრიობასაც ეხება. რევიზიის საკითხი არაა საბოლოოდ დადგარი. ამ მიზნით, აგრეთვე იმისათვის, რომ გაშუქებულიყო სახელმწიფო აპარატის რეფორმები, რაც ჩატარდა 1924 წ. კონტრრევოლუციურ გამოსვლებსა და კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით საჭირო იყო საარქივო მასალების მოშველიება. ვ. აბაშმაძემ არ გაიზიარა თავისი დებულების ავტორისეული კრიტიკა (გვ. 53): მოსაზრებას რევოლუციის მიერ პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ამოცანების განხორციელების შესახებ ი. ფუტყარაძემ დაუბიროსპირა ციტატა სკპ პროგრამიდან, მაგრამ მხედველობიდან გაუშვა ის, რომ პროგრამაში სხვა რამეზე, სახელდობრ, პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული მისიის შესრულებაზე ლაპარაკი. ორატორის აზრით, ნაშრომის ცალკეული ნაწილი ვაშლა-ვაფართოებას საჭიროებს.

დოც. ა. მენაბდის აზრით ი. ფუტყარაძის წიგნი „საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება“ უსათუოდ იმსახურებს მაღალ შეფასებას. ორატორი არ ეთანხმება პროფ. ა. კიკვიძის მოსაზრებას განსახილველ ნაშრომზე და აღნიშნავს, რომ ა. კიკვიძემ წიგნი ობიექტურად ვერ შეაფასა, მონოგრაფიაში. აშკარად შესამჩნევი დადებითი მხარეებიც კი ვერ დაინახა. ავტორმა შესძლო თითქმის ყველა არსებული წყაროს შესწავლა, გაანალიზება და მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების გაკეთება. ამ ასპექტში ეს საკითხი ასე ღრმად არავის შეუსწავლია. ამავე დროს ა. მენაბდემ აღნიშნა, რომ საჭირო იყო ავ-

ტორს თავისი უთუოდ სწორი აზრი რევოლუციის ბუნებისა და არსის შესახებ უფრო ვრცლად გაეშუქებინა და სათანადოდ დაესაბუთებინა. ასევე ფართოდ უნდა ყოფილიყო განხილული ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და ლიკვიდაციის კანონზომიერებისა და საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარებაზე ამ ფედერაციის გავლენის საკითხი, რომელსაც ნაშრომში თითქმის მთლიანად გვერდი აქვს ავლილი. არაა სწორი, რომ ზოგჯერ თითქოსდა შეიქმნა „კონტრრევოლუციური რევოლუციები“. უმართებულა ჩვენი მემარტყენე სოციალისტ-ფედერალისტების შედარება რუსეთის მემარტყენე ესერებთან. ორატორი არ ეთანხმება აგრეთვე ი. ფუტყარაძეს საბოტაჟების არსებობის ძველი აპარატის გამოყენებისა და კომპარტიასთან მემარტყენე სოციალისტ-ფედერალისტების გაერთიანების საკითხებში. ამიერკავკასიაში 1917 წელს არ მომხდარა სოციალისტური რევოლუცია და ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომპარტი „წალიკა“ ოქტომბრის რევოლუციის ტალღით“ (გვ. 21). ის რომ რევოლუციას წაელეკა, მაშინ აქ კვლავ კონტრრევოლუციური ორგანო კი არა, საბჭოთა მთავრობა შეიქმნებოდა. გაურკვეველია თუ ვინ და რატომ გაუქმა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება. ავტორი არ უნდა მიმხრობოდა უ. ბახტაძეს (გვ. 102), რომელსაც ვახვიადებულად აქვს წარმოდგენილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამართლებრივი სტატუსი.

დოც. ა. მენაბდე ხაზს უსვამს ი. ფუტყარაძის მეტად შრომატევად საქმიანობას. საკვლევაძიებო თემის დამუშავებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მან ამ შრომისათვის მოზოვებული დიდძალი მასალის მხოლოდ ნაწილი გამოიყენა წიგნის მცირე მოცულობის გამო. ორატორი იმედოვნებს, რომ ავტორი კვლავც გააგრძელებს მუშაობას ამ პრობლემაზე.

წიგნის რედაქტორმა, იურიდიული მეცნიერების დოქტორმა დ. ფურცელაძემ ილაპარაკა თავის სრულ სოლიდარობაზე ი. ფუტყარაძის ნაშრომის აღნაგობის განსაზღვრისას და ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში. მან სთქვა, რომ ავტორს მოუხდა პრობლემის სრულყოფილად გაშუქების შემაბრკოლებელი ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორის დაძლევა, როგორიცაა გამოკვლევის მოცულობის საგრძობლად შემცირება საგამომცემლო გეგმის შეცვლის კვალობაზე. ცხადია, თემის ცალკეულ საკითხებზე შეიძლება მონოგრაფიების დაწერა, მაგრამ დღეს ჩვენი მსჯელობის საგანია ი. ფუტყარაძის ხსენებული ნაშრომი და სასიამოვნოა, რომ მან კომპენტენტურ მეცნიერთა

მხრივ ესოდენ მაღალი შეფასება დაიმსახურა. ავტორმა თავის საპასუხო სიტყვაში მადლობა გადაუხადა მომხსენებელსა და კამათში გამოსულთ, აგრეთვე დამსწრე საზოგადოებას მისი ნაშრომისადმი გამოხენილი ყურადღებისათვის. ნაწილი შენიშვნებისა, — თქვა მან, — მეტნაკლებად მისაღებია და გავითვალისწინებ შემდგომ მუშაობაში. ყველა საცილო საკითხის აქვე სახელდახელოდ გარკვევა-გადაწყვეტა ცხადია, არ მოხერხდება. ზოგიერთ სადაო საკითხებზე კი ოპონენტთა მიერ წამოყენებულ მოსაზრებებზე და წიგნში განვითარებულ შესაბამის საწინააღმდეგო თვალსაზრისის არსებობის რამდენადმე თანაბარი საფუძველი აქვთ. ამას თვალნათლივ ადასტურებს ის, რომ განსახილველ წიგნში წარმოდგენილი და აწ საცილოდ გახდილი ცალკეული დებულება ოპონენტებმა სრულიად სხვადასხვანაირად შეაფასეს. მაგ. რევკომების იურიდიული ბუნების შესახებ, ერთმა მომხსენებელმა პროფ. ი. კაჭარავამ მოიწონა ხოლო მეორემ პროფ. გ. ერემოვმა კი დაიწუნა. ასეთივე ბედი ეწია კიდევ რესპუბლიკის ფედერაციულად მიჩნევისა და ძველ სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებულ საკითხებსაც.

ავტორმა არ გაიზიარა პროფესორ ი. კაჭარავას შენიშვნა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მისის აშშ-ში გადმოღობო ხელშეკრულების შესახებ. მისი აზრით აღნიშნულმა აქტმა და მასთან დაკავშირებულმა შედეგებმა უქველად გაართულეს საბჭოთა სოციალურ ფელტებისათვის პრაქტიკა საქართველოში, ამას მოწმობს ლეგალიზაცია ბოლშევიკური ორგანიზაციებისა, მათი გაერთიანება და საქართველოს კომპარტიის ჩამოყალიბება, გაზეთ „კომუნისტის“ დაარსება და სხვა. ასევე სწორია ის დებულებაც, რომ უცხოელი იმპერიალისტები ცდილობდნენ აქტიულებინათ საქართველო (ისევე როგორც პოლონეთი, ფინეთი და სხვა) ენა რუსეთის წინააღმდეგ.

ავტორმა არ გაიზიარა პროფ. გ. ერემოვის შეხედულება ტერმინ „გასაბჭოების“ თაობაზე. მისი აზრით მართებულად ვერ ჩაითვლება ის, რომ შესაბამისი რუსული ტერმინისაგან („სოცეტიზაცია“) განსხვავებით ქართული „გასაბჭოება“ შინაარსის ყალბად გაგების გამო ჩვენს ლექსიკონებშიც კი არაა შეტანილი. არ დაეთანხმება აგრეთვე გ. ერემოვის, რომელმაც შედარად მთიანი ავტორისეული კრიტიკა პროფ. ა. კიკვიძის მოსაზრებისა საქართველოს რევკომის პრეზიდიუმის საკანონმდებლო უფლებამოსილებით აღჭურვის შესახებ. როგორც ცნობილია, ამბობს იგი, რესპუბლიკის ხელისუფლების და მმართველობის ორგანოთა კომპეტენციას სახელმწიფო აპარატის ერთიან სის-

ტემაში მათთვის მიჩნეული ადგილის ცვალობაზე, განსაზღვრავდა საქართველოს რევკომის 1921 წლის 21 აპრილის დეკრეტის საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ და 1922 წლის 10 იანვრის დადგენილება ხელისუფლების ორგანოთა ერთიანობის შესახებ. არც ერთ ამ დოკუმენტში, აგრეთვე რევკომის სპეციალურ დადგენილებაში, რომლითაც განისაზღვრა სათანადო უფლებამოსილების მქონე, იქვე სახელდებით აღნიშნულ ორგანოთა აქტების ძალაში შესვლის წესი, მინიშნებულიც კი არაა პრეზიდიუმის საკანონმდებლო კომპეტენციის უფრო მეტიც, იგი ზემოაღნიშნული დოკუმენტების მიხედვით არც კი იხსენიება ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში. ავტორი იცავს აგრეთვე პროფ. ერემოვის მიერ გაკრიტიკებულ ზოგ სხვა დებულებასაც:

1) რაიონული რევკომი იურიდიულად სათემო რევკომთან რომ იყო გათანაბრებული, ეს პირდაპირაა აღნიშნული 1921 წლის 8 აპრილის დეკრეტში ადგილობრივი რევკომების შესახებ;

2) ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი შეიქმნა 1917 წლის 9 მარტს, რაც აშკარად დასტურდება იმით, რომ დროებითი მთავრობის სათანადო დადგენილება სწორედ ასე დათარიღებული. 6 მარტი კი, როგორც ამ დადგენილებაშია ნათქვამი, არის ამიერკავკასიის მხარის მოწყობის საფუძვლების გამოცხადების თარიღი;

3) რესპუბლიკის საბჭოთა სახელმწიფო აპარატის გაქრთლების საჭიროება კარგად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მასზე, როგორც ეს ნაშრომშია აღნიშნული, თვით ლენინსაც კი მოუხდა ყურადღების საგანგებოდ გამახვილება;

4) წიგნში საჭიროებისამებრ და სათანადო მინიშნებით (იხ. გვ. 47) მითითებულია მილიციის საქმიანობის მოწესრიგებულ ძირითად დოკუმენტზე;

5) ძველი სასამართლო სისტემა რუსეთში, როგორც ცნობილია, მთლიანად დაიმსხვრა ერთი დეკრეტით. საქართველოში 1921 წლის 22 მარტს გამოცემულ დეკრეტს კი არ მოუხდა ყველა ადრინდელი სასამართლო დებულება. ამ დეკრეტის დამატება იყო იმავე წლის 15 აპრილისა და 26 ივლისის აქტები, რომელთაგან პირველმა გააუქმა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, ხოლო მეორემ — საოლქო და სამობრივებლო სასამართლო-დაწესებულებანი. ასეთი ფაქტები და სწორედ მათ ემყარება მოსაზრება, რომ ძველი სასამართლო სისტემა რუსეთისაგან განსხვავებით საქართველოში გაუქმდა თანდათანობით;

6) პროფ. გ. ერემოვი აღნიშნავს მთლიანად სსრ კავშირში მცხოვრები ერისა და ეროვნებახაროდენობას, განსახილველ წიგნში დასახელებ-



ბული ციფრი კი, როგორც იქვეა ნათქვამი (გვ. 116), მარტოოდენ საქართველოს სათანადო მაჩვენებელია.

ი. ფუტყარაძემ აღიარა, რომ პროფ. ა. კიკვიძის მიერ აღნიშნულ შემთხვევაში, მისი ერთ-ერთი დებულების გაკრიტიკებისას (გვ. 93) იგი მართლა ვერ მოიქცა ტაქტიანად, სხვა მხრივ-კი ავტორი არ ეთანხმება პროფ. ა. კიკვიძეს და ასაბუთებს თავის მოსაზრებებს ორატორის მიერ აღძრულ საკითხებზე. აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის საკითხთან დაკავშირებით იგი მიუთითებს ორ გარემოებაზე:

1. ცნობილია და განსახილველ ნაშრომშიცაა მოყვანილი (გვ. 96—101) იმის ნათლად დამადასტურებელი ფაქტები, რომ შესაბამისი სახელმწიფოებრივი ერთეულების მოწყობის საქმე მოგვარდა რევოლუციის გამარჯვების წელსვე და არა 1922-23 წ.წ. როგორც პროფ. ა. კიკვიძე ამბობს (მარტოოდენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა გაფორმდა 1922 წლის 20 აპრილს);

2. პროფ. ა. კიკვიძე 1922 წელს თუ 1923 წელს მიიჩნევს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის თარიღად. იმის დამატებით, რაც შემოთ აღინიშნა აფხაზეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულის შესახებ, აქ უნდა ითქვას, რომ აფხაზეთი 30-წლებს დასაწყისამდე იურიდიულად იყო ხელშეკრულებითი სსრ და მხოლოდ ამ დროიდან იწოდება ავტონომიურად.

წიგნის შესავალ ნაწილზე პროფ. ა. კიკვიძის შენიშვნის პასუხად ი. ფუტყარაძე ამბობს, რომ საქართველოს ძველი სახელმწიფოებრიობის ძალზე შემჭიდროებული განხილვის საჭიროება სათანადოდ და დასაბუთებული ნაშრომში (მისი მიზანშეწონილობა აღნიშნა აგრეთვე პროფ. გ. ევანიაშვილი), ხოლო ამ ისტორიული ექსპურსის დადებით მხარეზე უკვე ილაპარაკა ჩვენი ისტორიის ისეთმა ცნობილმა სპეციალისტმა, როგორცაა პროფესორი ი. კაჭარავა. ასევე ითქმის პროფ. ა. კიკვიძის მსჯელობაზე მონარქიის შესახებ. ამ საკითხზე განხილულ წიგნში გატარებული აზრის სისწორე არ დადასტურა პროფ. ი. სურგულაძემ. მეფობის დაფუძნება საქართველოს გერმანიის დაფუძნებასა და მისი გზაზე მართლაც იმგვარად რომ მოხდა როგორც ნაშრომშია ასახული, ეს ნათლად ჩანს იქვე მითითებული ისეთი ავტორიტეტული წყაროდან, როგორცაა აკად. ი. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორია“. აღრეკლასობრიობისთან დაკავშირებით, განაგრძობს ი. ფუტყარაძე, — პროფ. ა. კიკვიძის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო ცნება ფართოდ გამოიყენება მეცნიერებაში და აღრეკლასობ-

რიობის თეორია მეცნიერთა ფართო მსჯელობის საგანია.

შემდეგ ი. ფუტყარაძე შეჩერდა პროფ. გ. ევანიას შენიშვნებზე და თავის ერთ-ერთი მოსაზრების დასაცავად აღნიშნა, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის თანახმად კომუნისტების დამოკიდებულება ეროვნული სახელმწიფოებრიობისადმი უთუოდ მიეკუთვნება რევოლუციის სუბიექტურ ფაქტორთა ჯგუფს. ასევე საბჭოთა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მშენებლობის პრაქტიკასა და თეორიაში მტკიცედ აღმკვიდრებული, რომ ავტონომიის ბაზაზე წარმოქმნილი სახელმწიფო გავითარდება (რსჭოთა) ფედერაცია არის. ნაშრომში რუსეთის მაგალითი ბრძალ კი არაა გადმოტანილი, არამედ სათანადო აღვილას (გვ. 94) აღნიშნულია საქართველოს თავისებური პირობები.

აღრეკლასობრიობის თეორიაზე მსჯელობისას, ამბობს ი. ფუტყარაძე, პროფ. ი. სურგულაძის გამოსვლასთან დაკავშირებით—მხედველობიდან არაა გამორჩენილი პირველყოფილ-თემური წყობა; იგი, როგორც აღრეკლასობრივი საზოგადოების ერთ-ერთი საწყისი, ივლისისმგება სიტყვებით — „საზოგადოების ძირითადი მასის პირადი თავისუფლებისა და სამეურნეო დამოუკიდებლობის შენარჩუნების პირობებში“... (გვ. 6). ავტორის აზრით, ნაშრომის მე-9—მე-10 გვერდზე მოტანილი მასალა იძლევა იმის საკმარის საფუძველს, რომ IV ს. ქართული საზოგადოება და სახელმწიფოებრიობა აკად. ს. ჯანაშიას შრომებზე დაყრდნობით მივიჩნიოთ ფედერალურად.

შეგონა რა პროფ. გ. აბაშაძის შენიშვნას რევოლუციური კომიტეტების იურიდიული ბუნების შესახებ, ი. ფუტყარაძემ აღნიშნა, რომ იგი არც ისახავდა მიზნად საბოლოო პასუხი გაეცა კითხვაზე წარმოადგენდა თუ არა რევკომი პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას. ამ საკითხის გადასაწყვეტად, ცხადია, საჭიროა მოშველიება სათანადო დოკუმენტური მასალისა, რომელიც, უნდა ითქვას, ახლა უკვე საკმარის რაოდენობითაა გამოქვეყნებული. მართალია სკკპ პროგრამაში ლაპარაკია პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული მისის შესრულებასზე, — ამბობს ორატორი ერთ-ერთ სადავო საკითხთან დაკავშირებით, — მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს არსებითად იგივეა, რაც პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ამოცანების განხორციელება.

ბოლოს ი. ფუტყარაძემ პასუხი გასცა დოც. ა. მენაბდის შენიშვნებს. კერძოდ, იგი არ ეთანხმება ოპონენტის ერთ-ერთ მოსაზრებას და ამბობს, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და ლიკვიდაციის კანონზომიერების გარ-

კვება დამოუკიდებელი კვლევის საგანია და სცილდება მისი თემის ფარგლებს. საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე ამ ფედერაციის გავლენის შესახებ კი საჭიროებისამებრ და საქმაოდაა მსჯელობა წიგნის სათანადო ადგილებზე (მაგ. გვ. გვ. 67, 104—106 და ა. შ.). ანტისაბჭოთა ელემენტებმა ზოგან (სახელდობრ კი აჭარაში) „კონტრრევოლუციური რევკომების“ შექმნა მოახერხეს, ეს უღაოდ დასტურდება ნაშრომში მითითებული ისეთი უეჭველად სანდო წყაროთი, როგორცაა საბჭოების ყრილობების სტენოგრაფიული ანგარიშები, 34 გვერდზე, — განაგრძობს ავტორი, — ლაპარაკია ჩვენი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებისა და რუსეთის მემარცხენე ესერების პოზიციების ურთიერთდამხვევაზე პროლეტარიატის დიქტატურის იდეის კონსტიტუციურად განმტკიცების საკითხში. ესაა ფაქტი, რის აღნიშვნაც ავტორს შეცდომად არ უნდა ჩაეთვალოს. ისიც ფაქტია, რომ რუსეთის დროებითი მთავრობის ადგილობრივი ორგანო — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი — ოქტომბრის რევოლუციის ტალღით წაიღეკა.

განხილვის შედეგები შეაჯამა აკად. ი. დოლიძემ. მან აღნიშნა განსახილველი წიგნის შესახებ გამართული მსჯელობის მაღალი მეცნიერული დონე და საქმიანი ხასიათი. აკად. ი. დოლიძე შეეხო ორატორთა ზოგეერთ კრიტიკულ შენიშვნას, რომლებიც მისი აზრით, უთუოდ უნდა გაით-

ვალისწინოს ავტორმა შემდგომ მუშაობაში. შესავალ ნაწილში, რომელიც ამ სახით შეიძლება მართლაც არ დართვოდა ნაშრომს, ცალკეული მოსაზრებები დაზუსტებას საჭიროებენ. რევკომები, განაგრძობს იგი, ნამდვილად არ წარმოადგენდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას. წიგნი ალაგ-ალაგ ფრაგმენტულია და ერთგვარად ხელოვნურია საერთო-სახალხო სახელმწიფოზე გადასვლა. უფრო მკაცრად უნდა გაკრიტიკებულიყო პროფ. ვ. ფარქოსაძის მცდარი შეხედულება სახელმწიფო ენის თაობაზე (გვ. 160). ნაშრომის ზოგერთი ადგილი აღწერილობითი ხასიათისაა, III თავი ძირითადად 1937 წ. კონსტიტუციის მიხედვითაა აგებული. ნაშრომი ზედმეტად პოლემიკურია, ამასთან ერთად მეტი ტაქტია საჭირო.

საჯარო განხილვის საერთო შედეგების მიხედვით, — ასკვნის აკად. ი. დოლიძე, — ი. ფუტკარაძის წიგნი „საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება“, უთუოდ დადებითი შეფასების ღირსია. ავტორმა ამ ნაშრომით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ ისტორიულ-იურიდიულ მეცნიერებაში — დღევანდელი პაექრობა კი უდავოდ შეუწყობს ხელს პრობლემის კიდევ უფრო ღრმა და ყოველმხრივ მეცნიერულ დამუშავებას.

ნ ე კ რ ო ლ ო გ ი

პარლამ ანტიმოზის ძე ფხალაძე



მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი, მპრლამ ანტიმოზის ძე ფხალაძე.

ვ. ფხალაძე როგორც ადვოკატი ცნობილი იყო საზოგადოებისათვის პროფესიული ოსტატობის მაღალი დონით და მომთხოვნელით საკუთარი თავისა და მინდობილი საქმისადმი.

ვ. ფხალაძე დაიბადა 1907 წელს, ვანის რაიონის სოფელ ზეინდარში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, 1930 წლიდან, 40 წლის განმავლობაში მთელი არსებით ემსახურებოდა მართლმსაჯულების განხორციელების უაღრესად სათუთ დარგს. ასეთივე სათუთი იყო მისი დამოკიდებულება არჩეული პროფესიის მიმართ.

ვ. ფხალაძისათვის არ არსებობდა დიდი და

პატარა საქმე. ყველა საქმეს იგი სწავლობდა უდიესი გულმოდგინებით. მას არასდროს ჰქონია მოცალეობა და მოსვენება. ესოდენ დიდი იყო მისი შინაგანი დისციპლინა და პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი თავისა, მართლმსაჯულებისა და ადამიანთა საზოგადოების წინაშე.

ვ. ფხალაძე უნივერსიტეტში სწავლის დროს პირადად გაეცნო ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერებსა და იურისტებს: ლუარსაბ ნანდრონიკაშვილს, ჯოჯო ნანეიშვილს, შალვა ნუცუბიძეს, ალექსანდრე ვაჩიშვილსა და იროდიონ სურგულაძეს. მათი ლექციების მოსმენის შემდეგ იგი მოხვდა ცნობილი ადვოკატების შალვა მესხიშვილის, იოსებ ბარათაშვილის, იოსებ მაჭავარიანის და სხვათა გარემოცვაში, რაც არანაკლები სკოლა იყო პროფესიული დაოსტატებისა და იმ მაღალმორალურ თვისებათა შესისხლნორცებისათვის, რამაც ნათელი მოჭფინა მის შემდგომ მოღვაწეობას.

ორმოციანი წლებიდან, საქართველოში თითქმის არა ყოფილა დიდი და მნიშვნელოვანი საქმე, რომლის სასამართლო განხილვაში ვ. ფხალაძეს მონაწილეობა არ მიეღოს, არ გამოემუდავნოებისთვის თავისი დაუცხრომელი ენერჯია, თავდადებული შრომა, საქმის ღრმა ცოდნა, ანალიზის იშვიათი უნარი. ეს ღირსებები შეადგენდა მისი ხასიათის, ცხოვრებისა და მრწამსის ნიშანდობლივ თვისებებს.

ვ. ფხალაძე იყო თავისი სამშობლოს გულანთებული პატრიოტი, შესანიშნავი მეოჯახე, მეგობარი და მოქალაქე. მან დასტოვა გულთბილი, ჰუმანური ადამიანისა და თავისი ქვეყნის თვალსაჩინო იურისტის სახელი.

ვ. ფხალაძის ხსოვნა დაუვიწყარი იქნება მის მეგობართა შორის.